







899.962.1-32

თხზულება

თეოფ. ზუსკიგაძისა.

1881—1891 წ.



საზღვრისგარეთ
კ. თავართქილაძის სტამბა.



НОВО-СЕНАКИ
Типография Таварткиладзе.

Дозволено Цензур. Тифлисъ, 29 Мая 1892 г.

მწარე სვედრი

მწარე სკედრი.

მოთხრობა

(აქედგინი მასწავლებელ ქალს სინო იუკრაქას.)

„ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის
ეს განწირული სულის კვეთება
და გზა უვალი, შენგან თელილი,
მერანო ჩემო, მაინც დარჩება!“

ნ. ბარათაშვილი

I

სოფელი ღვინეთი ზემო იმერეთის თაიგულია. ერთი უმშვენიერესი სოფელია ზემოთში. მის სიტურფეს და სილამაზეს ბევრი ახლო-მახლო სოფლები დანატრიან. მართლა რომ ბუნებას ამ სოფლისათვის მოუცლია და მაცხოვარს თავისი კალთა სიუხვისა სწორეთ აქ ამ სოფელში დაუბერტყია. მშვენიერი ანკარა ციცივი წყაროები, ხშირ ხშირი ვენახიანი ხეები, ანუ „დობილოები“ ამ სოფელს ერთს საუკეთესო საზაფხულო ადგილად ხდიდენ. საუცხოვო მდებარეობა აქვს ღვინეთს: ერთის მხრით ისეთი ფითალო კლდეები აღმართულან, რომ პოეტის სიტყვები „უფსკრულნი ჩაბნელებულნი, კლდენი თვალგადუწვდენელნიო,“ ნამდვილად ამ კლდეებზედ არის გამოჰრილი. მეორე მხრით გაჭიმულია უზარმაზარი ვებერთელა თვალ-უწ-

ედენელი ქალა, რომლის ერთ მხრივ ტყით შემოსილი მაღალი სერები და მეორის მხრით ნაკვეთ-ნაკვეთად დასერილი სოფლები, შუაზედ გველის მგზავსად დაკლაკნილი მდ. ღრიალა და ზედ კრავალ თვლებიანი წისქვილები. სულ კიდევ ზევით თითო სართულიანი კოპწია ხის სახლები, რომლებსაც დარაჯის მზვავსად გადმოჯგომეია ძველი მონასტრის ნანგრევი კედლები. იქვე მათ შორის ას წლოვან მუხას თავისი გრძელი ტოტები გაუშლია და მწარის დაწუხებულს სახით შესჩერებია ხავსით დაფარულ ტაძრის კედლებს, თითქო ეუბნებოდეს:

„ჰეი ტაძარო. მტრისგან დამწყარო,
აჰდესი სისხლი შენთვის დაღვრილა,
მაგათმ ქაათელისა, შენი მმაათელისა
ქედი მტრის წინა ძირს აა დახრილა!“

ამ გეარ ბუნებით დაჯილდოვებულ სოფლის შუა ადგილას, ეკლესიის გალავანის ახლოს და ძმურად ხელი ხელს ჩაკიდებულნი ორი ხის შენობა წამოჯგომულიყვნენ. პირველის შეხედვითვე შეატყობდით, რომ ერთი იმათგანი ახლად აშენებული ღვინეთის სკოლის შენობა იყო და მეორეც ამავე სოფლის კანცელარია. კანცელირიის წინ მამაპაპური და სანატრელი ჩრდილოიანი ბებერი მუხა იდბა და მის ქვეშ დაბარებული გლეხები ჩიბუხებით ხელში ელოდინებოდნენ მომრიგებელ შუამდგომელის მოსვლას და მასლაათობდნენ:

— კვირიავე! თუ ძმა ხარ, ერთი ეს მითხარი: დღეს მამასახლისმა რათ დაგვიბარა თუ იცი?

— ღმერთმა ნუ იცის მისი თავი, რავეცი წუხელ

სალამოს მოვიდა და ეზოს კარებიდან დამიძახა! ხვალ კანცელარიაში ხართ დაბარებულიო, ღღეს მოვედი და არც მე ვიცი რათ ვარ დაბარებული.

შე ცოდვის შეილო, როგორ არ იცი რისთვის გიბარებენ. ასე ყრუთ, შეიძლება, ადამიანი იქმნეს სულ თავის სიცოცხლეში? არკი გვეძახოდა იმ ღღეს „პოპოშნიკი“ —ხვალ კანცელარიაში ჩვენი „პოსლენიკი“ მოვა სკოლის გახსნის თაობაზედ და კომლზედ თითო კაცი უნდა გამოცხადდეთო! ჩაერია სხვების მუსაიფში-იქვე მხარეთხოზედ წამოწოლილი გოგია გლეხიკ.

—თუ ღმერთმა ინება და მართლა გაგვეხსნა სკოლა, რაი ძმა, სულ რომ ულუკმო პურით დაერჩე, ტანს არ ჩაეიცვა და ცოლ-შვილი დავაგირაეო, ჩემს სანდრუას მაინც მივაბარებ სკოლაში. განაგრძო გოგიამ. მართლაც რა ვართ, ბიჭო, ჩვენა? ჩვენ ვართ ერთი უენო პირუტყვი, რომლებსაც მუშაობის მეტი და ისრც უთაებოლო მუშაობისა არაფერი გაგვეგება რა

რათ ღირს კაცმა, სხვას რომ თავი დაეანებოთ, თავისი სახელი და გვარის მოწერა იცოდეს. განა ის არ კმარა რომ მე ვაგინებ მამაჩემს, რაიყო ერთი ორითდე „ანა ბანა“ ჩემთვის ესწავლებია, რომ მეც არ ვაგინებო და ცუდათ არ ვახსენებოთ თავი ჩემს სანდრუას?

—თუ მართლა ღმერთმა მოგვხედა და გაგვიხსნეს სკოლა, მეც უნდა მივაბარო ჩემი ვანუა. თუმც ის არის ჩემი სადილის მომტანიც, მწყემსიც და ხარების წინ გამხლოლიც, მაგრამ რა ექნათ, ისეთი დროა,

რომ უსწავლელ კაცს პურის ქამა უჭირს. უთხრა გოგიას იქვე მდგომმა გლეხმა.

— რაო, რაო? წამოიძახა ერთმა გლეხმა, რომელიც ამ ლაპარაკის დროს მოშორებით იდგა და ვილასას ელაპარაკებოდა. მართლა სკოლის საქმეზედ მოდის დღეს „პოსლედნიკი“?

დღეს უსათუოთ უნდა გადაესწყვიტოთ მასწავლებლის დაქირავება და მისი ჯამაგირის გაწერა. სთქვა გოგიამ.

გოგიას ლაპარაკს სხვებმაც მოჰკრეს* ყური, შეიკრიბნენ ერთად და მხურვალე მსჯელობა და ბაასი ასტყდა მათ შორის. ყველა თავისებურად მსჯელობდა. ეინ წინაღმდეგი იყო და ეინ მომხრე სკოლის გახსნისა. ბაასმა და მსჯელობამ ფიცხელი სახე მიიღო. მოკამათენი ერთმანეთს შეებნენ და ისიც იყო კამათობა და ფიცხი ბაასი კინალამ „მუშტი კრივზედ“ მიდიოდა როდესაც უეცრივ კანცელარიის ეზოში, ოფელში გაქაფული ბიჭია ჩაფარი შემოვარდა და დაიძახა: „პოსლედნიკი“ მობრძანდება. ხალხი უეცრივ შეჩერდა ყველანი ფეხსეღ წამოცინდნენ, კანცელარიის აიენის წინ დადგნენ და ქუდ მოხდილები დაუხდნენ მომავალ მომრიგებელ შუამდგომელს.

ნახევარ საათს არ გაუფლია, რომ სურათი შეიცვალა, ს. ლეინეთის კანცელარიის პატარა აივანზედ სდგას მომრიგებელი შუამდგომელი მას ცოტა მოშორებით უდგას მამასახლისის თვისი მწერლით და უკან კიდევ ორიოდ გლეხი დგანან.

— ძმებო, დღეს ერთ ფრიად სასარგებლო საქმეზედ

ენა ჩაკმედილი გავიდა გარეთ, მაგრამ „პოსტოლდნეის“
ჯაერი საწყალ ბერუა ბიჭზე ამოიყარა.

ბერუამ მისდა საუბედუროთ მომრიგებელ შუამდ-
გომლის სიტყვებზედ „გსურთ თუ არა სკოლის გახ-
სნაო“, უნებლიეთ წაიღულულა: „კი ბატონო გესუ-
რსო“. ერთი კი შეუბღერა იქვე მდგომმა გოგიტე-
ლამ, შემდეგ მოკიდა ხელი, მიიყვანა დაფარულ კან-
ცელარიის კუნჭულში და იმისთანა დღე თქვენს მტერს
დაადგეს, იმან ბერუას დღე დააყენა:

— შე გამოაყრუებულო ბერუავ, რაც გადასახადი
გაწევს კისერზედ, ის რომ ვერ გადაგიხდია თავი
შიშშილით გიკვდება და ცოლშვილი, სკოლის და
„უჩიტილის“ ფულს რა გადაგახდევინებს, რომელი სა-
შეაღებით გინდა აძლიო? შე ცოდვის შვილო, როდის
უნდა გამოიღვიძო, გამოიფშენიოთ თვალები. რა
აგიშვია ენა დაღრიალებ: უნდა გავხსნათ სკოლა,
თანახმა ვართ ბატონო, თქვენიო.

ამ სიტყვებზედ ბერუაც ისე გაშეშდა, რომ საბ-
რალომ შიშისაგან ვერც „ჰო“ უთხრა და ვერც
„არა“.

გოგიტელა გაუმძლარაძეს თავისი ტკივილი
ჰქონდა. გოგიტელა ყოველ მხრით თითქო ბედნიე-
რი იყო, მაგრამ ერთი მეცნიერის არ იყოს „სრული
ბედნიერება კარგის მქნელის ჯილდოთ არის გაჩენი-
ლიო და, რადგან ყველა კეთილად არ მოქმედობს,
ამიტომაც ყველანი არ არიან სრული ბედნიერნიო“.
ჩვენს გოგიტელასაც—ერთი რამ ნაკლი აწუხებდა და
ცივი ლოდევით აწვა გულზედ. მხოლოდ ერთი რამ

აწუხებდა, უთუთქავდა სიმდიდრისაგან გაამაყებულს და გაამპარტავენებულს გულსა. გოგიტელას ეს ოცი წელიწადია რაც ცოლი ჰყავს და ჯერ შეილი არ გაჩენია.

—უბედურ კაცს და მოძმეს ჰოლალატეს, ბოროტებით და სიმუხთლით საესე გულთან დამაანს ღმერთიც კარგათ ხელავს და იცნობსო. ამბობდა ხალხი-მთელი ს ღვინეთის მცხოვრებნი დიდი და პატარანი

—განა ღმერთმა კი არ იცის, ვენაცვალე მის ძრიელებას, რომ რაც ამ ათი თორმეტი წლის განმელობაში შეუძენია—ყველაფერი მოძმეს ღალატათ,! ქვეშ ქვეშ ძრომით და ენა ტანიაობით შეუძენია? ნუ თუ ამ გვარს კაცს ღმერთი დააჯილდოვებს და შეიღოს გაუჩენსო. ხშირად გაიგონებდით ამ გვარ ჰაზრს გოგიტელა გაუმაძლარაძეზედ ს. ღვინეთში და მის ახლო მაზლო მდებარე სოფლებში.

ნათქვამია ოხრათ ნაშოვარი, ოხრათვე წავაო. ასე ემართებოდა გოგიტელასაც. ოხრათ და ძუქთად ნაშოვარი ქონება—ოხრათვე უნდა დარჩენოდა და ერთი მანეთის გამომეტება ეძნელებოდა საზოგადო საქმისათვის.

—თუ გინდ ასე იყოს, გავხსნათ სკოლა, მაგრამ „უჩიტლის“ ფული ვინ უნდა იხადოს? ჰკითხა გოგიტელამ მამასახლისის.

—რასაკვირველია ჩვენ ყველამ, ჩემ სამამასახლისოში თვითოეულმა გლეხმა სახელშიწიფო გადასახადთან „უჩიტლის“ ფულიც უნდა გადიხადოს. უპასუხა მამასახლისმა

უნდა მოგელაპარაკოთ. ბრწყინვალის სახით გადმოიძახა შუამდგომელმა. ყველა თქვენთაგანი ჰხიდავთ და გრძნობთ, თუ რა ტურთა ქვეყნის მფლობელნი ვართ, ვგრძნობთ, რომ ყოველ გვარის სიმდიდრით აღესილია ჩვენი ქვეყანა, მაგრამ რათ გვინდა ეს აუარებელი სიმდიდრე? ამ სიმდიდრით ჩვენ ვერ ვსარგებლობთ, არ ვიცით მისი მოხმარება და შერგება. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი უმთავრესად ის არის, რომ ჩვენ ჯერ უსწავლელნი და გაუნათლებელნი ვართ. დღეს ისეთი დროა, რომ ვისაც სწავლა-ცოდნა აქვს—კაციც ის არის და შეძლებაც მის ხელშია. სწავლა ყოველ სიმდიდრეზედ უფრო ძვირფასია. სწავლას რაკი მიიღებ, მუდამ შენია, შენთან იმყოფება; გვერდში ამოგდგომია და მიჰყავხარ იმ გზისკენ, საიდანაც ბედნიერი ბრუნდებიან. სწავლა ისეთი ქონება არის, რომ ვერც გაყიდი, ვერც დააგორავებ და ვერც დააწინდრებ სადმე. აი- ამ გვარს ცხოვრების გამაუმჯობესებელ საშუალებას თქვენი შეილები სკოლიდან გამოიტანენ.

—მართალს ბრძანებთ ბატონო, მაგრამ რა ექნათ სიღარიბეს ველარ წამოედგომივართ. გადასახადი, ვალი, ეახჩი, ყველაფერი კისერზედ გვაწევს. გვეშინია შენი ჭირიმე, რომ „უჩიტლის“ ფულს კიდევ მოგვიმატებენ გადასახდელათ, თორემ ვინ იტყვის სკოლის წინააღმდეგს რამეს. წამოიძახა ერთმა გლეხმა.

მართალია ღარიბნი ხართ, მაგრამ არც ისეთი ღარიბნი ხართ, რომ წელიწადში თითო მანეთი მასწავლების ფული ვერ გადიხადოთ. მაშ მუდამ სიღარი-

ბეში ხომ არ გასურთ იყოთ. ამ გეარ სიღარიბისაგან ამომხსნელი სწავლა ცოდნაა. მაშ თანახმა ხართ, თუ არა სკოლა გავხსნათ და სახარჯო ფულიც გავსწეროთ დღესვე?

— ბატონო „პოსლედნიკო“, თუ ჩვენი სურვილია სკოლის გახსნა, ან თუ ჩვენ რასმე გვკითხავენ, მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ ახლა სკოლისათვის არ გვცალია. შეხედეთ, ბატონო, ამ ხალხს, ფეხზედ ქალმანი არ აცვიათ და ტანზედ ჩოხა. რომელი ერთი გადასახადი უნდა გადავიხადოთ, რომელ ერთს უნდა გავუძლოთ. ნუ თუეს ამოტვლა გადასახადი არ გვეყოფა, რომ კადიც „უჩიტლის“ ფულიც მოგვემატის! არა, ბატონო, არა თქვენი ჭირიმეთ, სკოლის შენახვა ჩვენ არ შეგვიძლია და ვერც გავხსნით. მოახსენა შუამდგომელს გოგიტელა გაუმაძლარაჟემ, რომელიც შუამდგომლის უკან იდგა-კანცელარიის აივანზედ.

— შენ გეტყობა, რომ ამ ხალხის დაღუპვა გნდომებია. მოუბრუნდა შუამდგომელი გოგიტელას. ვინ იქნება შენსავეთ უგუნური, რომ ადამიანს ურჩიოს. მუდამ სიბრწლევში იყავი და სინათლეს ნუ იხილავო. შენ მარტო ამბობ ამას, თუ სხვებიცა გყავს მომხრენი?

— არა, ბატონო, მაგას სულ სხვა დარდი აწუხებს, წამოიძახა ხალხის ბრბომ. სკოლა უნდა გავხსნათ, ჩვენი შვილები უსათუოდ უნდა დაეზარდოთ.

— ეხლა რალა გაქვს სათქმელი. ხომ შეგარცხვინა შენმა მოჰმეებმა. სჩანს ყველას სურს და შენ მარტო ყოფილხარ წინააღმდეგი. გოგიტელა გაბრუნდა და

სწორეთ ეს მშვენიერი საღამო იყო, როდესაც ს. ლენინეთს ახლად განწყობილი მასწავლებელი მათე გულკეთილაშვილი იჯდა ცხენზედ და წინ სოფლის ჩაფარი ბიჭი მიუძღოდა სკოლისაკენ. მათე გულკეთილაშვილი ახალგაზდა, სულ ცხრამეტ-ოცი წლის ყმაწვილი კაცი იყო. კოკობი და ქერა წვერულეაში, ლამაზი და ჭკუიანური სახის გამოუმეტყველება, შავი თვალწარბი და ლამაზათ, მოქნილი, მინიოს მგზავსი კოხტა ცხერი—მათეს მშვენიერ და სასიამოვნო შესახედ ყმაწვილ კაცად ხდებდა. ჩაცმა დახურვა მათემ წმინდათ და ფაქიზათ იცოდა და ყველაფერში საზოგადოთ წესიერება და სიწმინდე უყვარდა. მათე ერთი ღარიბი მღვდლის შვილი იყო. მამის მრევლი ძრიელ ღარიბი ხალხისაგან შესდგებოდა. მათესმამას შვილები ბევრი ჰყვანდა და შეძლება კი არ საიდგან იყო. ჯერ თეიონ მათეს მამასაც გაუჭირდა კურთხევა, თორემ მისს შვილს, საოხტატო სემინარიელს, ვინლა უკურთხებდა?

მათე რადგან სასულიერო წოდებას ეკუთვნოდა, სამღვდლოდ იყო მოზადებული პატარაობიდანვე და კიდევაც აპირებდა კურთხევას, მაგრამ ხშირად სემინარიაში დაღლილ დაქანცული გაკვეთილების კითხვით წაიოწვებოდა სკამლოგინზედ და მიეცემოდა ხოლმე ამ გვარ ფიქრებს: მართლაც, რომელი წინ სდგას: სახალხო მასწავლებელი თუ სოფლის მღვდელი? რომელი ასპარეზი სჯობია საშრომლოდ? ჩემის აზრით ორთავეს მძიმე ტვირთი აწევს კისერზედ: ორთავე, თითქმის, ერთი მიზნით და მიმართებულებით უნდა

იყენენ გამსჭვალულნი. მღვდელი და მასწავლებელი არიან ხალხში. ის ბნელში მნათობნი ეარსკვლავნი, რომელნიც უნათებენ გზას უმეცარს და გაუნათლებელ ხალხსა. ორთავეს ერთი მწუხარება უნდა აწუხებდეს და ერთი სიხარული ახარებდეს. ერთია ზნეობის ამაღლებელი, პატიოსნების და სარწმუნოების მქადებელი, მეორე კი გონების გამწვრთნელ-გამავარჯიშებელი და ორთავენი ერთად ხალხის კეთილ დღეობის და ბედნიერ ცხოვრების შემკავებელნი, შემწენი და ყოველ გვარ გაჭირვებისგან მხსნელნი და მშველელნი....

მათეს დიდხანს აწუხებდა ამ გვარი ფიქრები და ჯერეთ კიდეც ვერ გადუწყვეტუია, მღვდლად წავიდეს, თუ ისევ სახალხო მასწავლებლის ასპარეზზედ შესწიროს თავისი ახალ გაზღური სიცოცხლე და ნოაჩი, გამოუცდელი ძალა!...

მათეს ხალხი უყვარდა: ხალხთან დროს გატარება და მუსაიფი მისთვის დიდი ჯილდო იყო. თუმც მძიმე ტვირთს იკიდებდა კისერზე, მაგრამ

„სთქვა: მოვარე იქ უნდა, სადაც კი დაჰე ბნელა;

ცეცხლისა შემოკეთება, თუ კაცის გრძნობა ნელა

ჭანის დაძაგრა ხართაგან, თუ მიწა ასახუნელა

და იქვე ჩაბმა გაუგატა, სადაც კი უფრო მნელა!“

კანცელარიაში იმ დღეს მამასახლისი დახვდა და ორი კიდეც სხვა გლეხი, მათეს იმ წამსვე ცხენები ჩამოართვეს, ამბავი ჰკითხეს და შემდეგ მამასახლისი შეუძღვა იმ ოთახში, რომელსაც „უჩიტლის“ ოთახს ეძახოდნენ ეს ოთახი პატარა იყო. სულ სიგრძით ექვსი არშინი

— 'მეილიანმა და უმეილომაც?

— რასკვირეელია ყველამ.

— ნეტავი დედა ჩემს! შენმა ვანუამ და კოტემ „წიგნები“ ისწავლონ, „კლასიონი“ გამოვიდნენ და გოგიტელა გაუმაძღარაძემ ფულები იხადოს და „უჩიტელს“ ჯამაგირი აძლიოს?! იო!, რა ჭკუიერი 'მეილი გაუზრდიხარ მამაშენს! მაგას მაინც არ ეიზამ, მამასახლისო, რომ დღესვე „პოსლედნიკმა“ საცემბი-როთ მომაწერიოს ხელი!...

მამასახლისის გოგიტელას პატივისცემა ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი. აქ ველარაფერი უთხრა, რადგან ხალხი უყურებდა და გოგიტელას შერცხვენა არ სურდა. ხელი მოკიდა, ოთახში შეიყვანა და ჩუმათ უთხრა:

— შე ჩემო გოგიტელა, ნამეტანი თავეასული ბრძანდები. ცოტა ენას რომ მოუკლებდე, არ გაწყენს. ხომ იცი, მაგისტანა ლაპარაკი არ ეარება იქ, სადაც შენი არ გაგივა. ხალხში მაგისტანებს, როდესაც ამბობ, მე არ შემიძლია არ აღვიგრძალო და შეურაცხყოფაც არ მოგაყენო, რადგან უამისობა შეუძლებელი საქმეა, ჩემო გოგიტელა.

ხომ იცი, ისეთაც რას არ გვიგონებენ, და მაშინ ხომ დარწმუნდება ხალხი, რომ შენი მხარე მიჭირავს და მოქრთამულოც გყავარ. ჰო, და ჰო, სუ, ხალხში ჩემთან მაინც ნურაფერს ილაპარაკებ და უჩემოთ, რაც გერჩიოს ისა სთქვი მე ყურსაც არ გათხოვებ....

გოგიტელა მაინც თავისას არ იშლიდა. ხელი-კივით დაძვრებოდა ხალხში და უსინდისოთ, უსირ-

ცხელილდ აგონებდა ხალხს სკოლის უსარგებლობაში
— უთხარით, ბიჭო, „პოსლედნიკს“ ჩეენთვის
სკოლა არ არის საჭირო, არ გეინდა „უჩიტელი“
და ვერც ვიღებთ მის შენახვას თავზედა თქო, თორემ
მალე მოგადგებათ კარზედ „ბოჩიკი“ და გნახავთ
შეილოხან, მორბოდეთ ჩემთან ქეაბების და მამულის
დასაგირავებლად.

ამ გეარის სიტყეებით თუმც ბეერი გაღიბრა
გოგიტელამ მაგრამ ყრილობამ მაინც გადასწყეიტა:
„გახისნეს სკოლა და მასწავლებლის ჯამაგირიც
დღესეე გაიწეროსო.“

II

ზაფხულის დამლეეია. საღამოს ქამმა პოაწია.
მზის სხიეებმა თან და თან უკლეს გამათობებელი ზედ-
გაველენა. მიღამო ბუნების არეჟარეზედ. მზის მერთა-
ლი სინათლე თანდათან სუსტდებოდა, იწურებოდა
დასაელეთისაკენ და ვარდის ფერად ღებედა ლაჟერ-
დოვან ცას. უმზეობისაგან დაობლებულ ქეეყანას
მწუხარების და მგლოვის მზეგაცსად თან და თან შავი
სამგლოვიარო ზეწარი ეფარებოდა და ნეტარ-სანატ-
რელი ნათელი - ბნელით იცელებოდა.

მაგრამ ბუნების სიმდიდრე და წესიერება ბეერად
მაინც არ ირღეეოდა. პატარა ხნის უკან აღმოსაე-
ლეთით, სწორეთ იმ ადგილის პირდაპირ, სადაც
ფერ წამხდარა ბუნების მეფე—მზე ჩაესეენა—ამოჰყო
თავი, მორცხეათ და კრძალეთ, გაბადრულმა „ღამის
გუშაგმა“ მთვარემ და გაანათლა თავისი ნაზის სინა-
თლით გარშემო ჩაბნედილი არე-მარე.

იქნებოდა, სიგანით კი უფრო ვიწრო. მარცხნივ ერთი კარი ჰქონდა და მარჯვნივ დასავლეთისკენ ორი ფანჯარა, იქვე ბუხარი და ბუხართან, ცოტათი მოშორებით საწერი ცაცხვის მაგიდა. მარცხნით ოთახის სიგრძეზედ სამი თუ ოთხი მუხის ხისაგან გაკეთებული „საიმედო“ სკამები იდგნენ და ოთახის ერთ კუთხეში სადა, ხისეე სკამლოგინი. აი ეს შეადგენდა მათეს ოთახის მორთულობას.

მათე გულ ახდილ და პირ ნათლად ებასებოდა ორიოდ გლეხს და ღვინეთის მამასახლისს იმ ღამეს ეახშმათ, რომლებმაც იქვე ახლო მცხოვრებ გლეხებს მოატანიეს „უჩიტლის“ ეახშამი და „უჩიტელთან“ თვითონაც კარგა ლაზათიანათ შეზარხოშდნენ. ნაევანშემეს თვითოეული ცალცალკე გამოემშვიდობა მათეს:

— ღამე მშვიდობის ბატონო „უჩიტელო!“ უთხრა გლეხმა.

— ღამე სიამისა, შენი ჭირიმე, უთხრა მეორემ და გაუდგენ. გზასა, მამასახლისი იქვე-მეორე ოთახში გავიდა და მოისვენა.

მათემ თავისი ლოგინი გაასწორა. მაგიდა, რომელზედაც სანთელი ედგა, ახლოს მოიწია, ტანისა. მოსი გაიხადა და ჭრიჭინა სკამლოგინზედ გულადმა დაღლილ დაქანცული გაიდღლა. ეგონა თუ დაწოლა და დაძინება ერთი იქნებოდა. თუმცა გლეხებმა ღამე სიამისა უსურვეს ჩვენს მათეს, მაგრამ ეს ღამე მისთვის უფრო აღმაშფოთებელი იყო, ვიდრე მშვიდი. იმ ღამეს მათეს თვალებს ლუღი არ მოჰკიდებია. საოცარი ოცნება და ფიქრები იტაცებ-

დნენ მის ნორჩს და გამოუტდელ გონებას.

ხალხში მომავალი სამსახურის სიძნელე უჩინრად სტუქსადა და ჰქენჯადა მათეს ნორჩ გულსა. მის ეიწრო ფანჯრებში ისარივით სტყორცნიდა გაბადრული მთვარის შუქი და ანათებდა მაიეს მყუდრო ბინას სუსტი სინათლით, თითქო ეხატება დაქანცულ მათეს ძილი არ გაუუთხოვო. ახლომდებარე ტყის ატომატიული სუნნელება, რომელიც დრო გამოშვებით შემოჰქონდა წყნარს და გრილს ნიაეს, ატკობდა მათეს აღლელებულს გულსა. ხანდიხან ტყიდგანვე მოისმოდა რაღაც უცნობი ფრინველის ხმა, რომელსაც ბანს აძლევდა იქვე მჩქეფარე პატარა მოჩუხჩუხე რუტ. —

დიდ ხანს სტკებოდა მათე ამ გეარის სიმშენიერით, ფიქრებსა და ოცნებაში გართული. შემდეგ შემოხურა ფანჯრები და ჩაწვა ლოგინში, მაგრამ ძილის მაგიერ კიდევ ფიქრებმა და ოცნებამ გაიტაცეს:

დღეის შემდეგ მეუნდა ვემსახურო ხალხს. უნდა-აღეზარდო მამულის სიყვარულითსავე და იმედიანი ახალგაზღობა. მე უნდა ვიქნე დღეის შემდეგ ჩემი მოძმეების, შეძლებისა და გეარად ვაების და ჭირას შემცირებელი, ლხინის და ბედნიერების მომნიჭებელი; მჩაგვრელთა მეთოქე და დაჩაგრულთა მშველელი, რომ ნამდვილად

„მისი წელუდი მახნდეს წელუდად

ქეწოდაეს მის ტანჯვით სულთ,

მის ბედიო და უბედობიო“

დაქედაგოს მტკიცედ გულთ!“

ასე ფიქრობდა მათე ბოროტის მოსპობაზედ. უმეცრების დამხობაზედ, სიმართლის და ჭეშმარიტების

მოფენაზედ მაშინ, როდესაც მის თვალებს თან და თან ლული ეპარებოდა და დიდ ხანს არ გაუეღია, სასიამოვნო „ხერინეაც“ გამოისმა მათეს ოჯახიდან. მათეს ტკბილად ჩასძინოდა ლოგინში. გათენებამდის სულ რამოდენიმე საათი-ღა დარჩენილიყო.

დილის მზის სხივებმა პწკარი ჰკრეს თუ არა, ღვინეთის და მის ახლო მახლო მდებარე სოფლის პატარა ბიჭები თავალების ფშტვენით და ზალოზნი. კით, გვერდზედ პარკ ჩამოკიდებულნი, მრსდედენ თაფიანთ მამებს სკოლაში შესასვლელად. ახალი სკოლის ეზო ყმაწვილებით და მათი მშობლებით გაივსო. მშობლების ხმა მალლა ლაპარაკმა და პატარა ბიჭების ჟღივილ-ხივილმა მათეც გამოაღვიძეს ყმაწვილების ცნობის მოყვარეობას სამზღვარი არ ჰქონდა. ისინი დიდის მოწიებით ეკითხებოდნენ ერთმანეთს:

—კოტე, „უჩიტელი“ ნახე?

—არა, კაცო, მე არ მინახავს, მაგრამ მამა ჩემმა მითხრა, ძალიან კარგი „უჩიტელია“ არც როზგი იცისო და არც ყურების აწევო.

—უჰ, ნეტავი მაჩვენ,ღა?!

—ვანო, ვანო, მოდი აქ. აი ამ ჯუჯრუტანაში შეიხედე და „უჩიტელს“ დაინახავ.

—სად ბიჭო, აქა?!

—ჰო, ჰო, მანდ; ცალი თვალი დახუჭე და შეხედავ.

—ჰო, აგერ, აგერ ბიჭო, ადგა ლოგინიდან და პირს იბანს, აგერ შეხედე კოტე!

დილა. აღმოსავლეთით მზის სხივები ნაწათ და ქურდულათ ეპარვიან მთის წვერებს მოთარულ დარცხვენული და ფერწამხდარ მთვარეს, თითქო სურსთ შეიპყრონ თავის სამეფოში და ანგარიში მოსთხოვონო. კლასის ეზო საესეა ხალხით. სუფთა და დიდ დარბაზში, ერთ კუთხიე ხატია. წინ მამა ოქროპირი სდგას და ლოცვას ჰკითხულობს. იქვე თავ მოხდილი გლეხები და მათი შვილები სდგანან და ლოცულობენ მამა ოქროპირმა დღეს კლასი აკურთხა და კურთხევის შემდეგ რამდენიმე გრძნობიერი სიტყვები უთხრა ხალხს და მიულოცა ახალი სკოლის შეძენა.

III

პატარა ზარის რაწკუნნი გაისმა სკოლის ეზოში და ცელქი მოთამაშე სკოლის შევირდები ერთ წამს ყველა სკოლაში შეკრიბა. გრძელ, შავათ შეღებილ ხას სტოლებზედ ისხდნენ გლეხის პატარა ბიჭები და მათ შორის დადიოდა მასწავლებელი მათე გულკეთილაშვილი, ხან ერთთან მივიდოდა, ხან მეორესთან, ეკითხებოდა მათ სახელსა და გვარს და მათის შემწეობით ტყობილობდა მათ მშობლის ეიწაობას. ყმაწვილების სახეზედ ნათლათ წაიკითხავდით სიამოვნებას და მზიარულებას. ეტყობოდათ სრული ბედნიერნი და ყმაყოფილნი იყვნენ, როგორც მასწავლებლით ისე სკოლაში მიბარებიოდა.

— შენ რა გვარა ხარ პატარა? გაუარა მათემ ერთს ყმაწვილს გვერდია და ჰკითხა.

— ბედკრულაძე გახლავარ ბატონო!

— სახელი რა გქვიან?

— სანდრუა ბატონო!

— მამაშენი რა მოხელოა?

— მიწისქვილეა, ბატონო.

— შენ? ჰკითხა მეორეს.

— მე ბატონო მახათაძე გახლავარ!

— სახელი შენი?

— კოტია ბატონო!

— მამა შენი რა მოხელოე კაცია?

— მე მამა აღარ მყავს ბატონო. სოქვა ეს და თვალებიდგან ცრემლები გადმოუშვა.

— მაგის მამა ბატონო, ქაჯმა დაამტერია წამო-
იხახა იქვე მჯდომმა კოტიას ამხანაგმა.

— როგორ თუ ქაჯმა, რას ამბობ?

— კი ბატონო, მამა ჩემი ქაჯმა დაამტერია. ავით მყოფი მოვიდა შინ და მაშინვე დაეასიეთ ექიმები, მაგრამ ვერას გაეხდით. რამდენი მკითხავები, რამდენი გამოლოცვა და ზეთის კურთხევა და სხვა საშუალება არ ეიხმარეთ, მაგრამ მაინც ვერაფერი ეუშველეთ. ერთ კვირაში გაგიჟდა და მეორე კვირაში კიდეც გარდაიცვალა.

— შენ კოტე, ნამდვილ გჯერა, რომ მამა შენი ქაჯმა დაამტერია?

— კი ბატონო!

— თქვენ გჯერათ? ჰკითხა მათემ მთელ შეგირდების გროვას.

— კი ბატონო, როგორ არ გვეჯერა. ქაჯი ნამდვილათ არის. ერთხელ თურმე მამაჩემს გზაში შეხვდა ქაჯი და დაეჭიდა. მამა ჩემი ყმაწვილობაში

თურმე ლონიერი იყო, მაგრამ მაინც იმ წყეულ ქაჯს დაეძლია, დაეცა და ერთი გვერდი მოეტეხა. მას აქეთ ცალი მკლავი და გვერდი გამხმარი აქვს. წამოიძახა ერთმა შევირდმა.

— ბიძა ჩემმა ბატონო, კიდეცა დაიჭირა თურმე თევზაობის დროს, მაგრამ ისევე გაეშვა, რადგან ბევრი მეზვეწაო. წამოიძახა მეორემ.

— არა ჩემო ძვირფასნო პატარა მეგობრებო! ესენი, რასაც თქვენ მოჰყევით ყველა ტყუილია. ამ გვარი ამბები ყველაფერი შიშისაგან წარმოსდგება. ერთი ეს მითხარით: ქაჯი ხომ მაშინ გიხედებათ წინ, როდესაც მარტო მიდინართ სადმე?

კი ბატონო, ორი ადამიანი „მცველია“ და ძრიელ ეშინია თურე ქაჯსაც. იმ წყეულს ძალა მარტო ერთ კაცთან აქვს თურმე!

— ჰო, მაშ ეს, ჩემო კარგებო, ქაჯი კი არა, ფიქრებია, რომელნიც შიშისაგან ხან ქაჯათ იქცევა და ხან, ვინ იცის, რათ. ამ გვარ ცრუ მორწმუნეობას უნდა ერიდოთ, არ დაიჯეროთ.

დღეის შემდეგ იცოდეთ, რომ თუ გზაში შიშის ფიქრები არ გაგიტაცებსთ და არაფრის შიში გულში არ ჩაგივარდებათ, მაშინ, მერწმუნეთ, არც ქაჯი დაგიხედებათ წინ და არც ჰინკა, ალი და სხვანი.

ეს ჩემი სიტყვები თქვენ მშობლებსაც გადაეცით და დარწმუნეთ, რომ ეს ასეა.

— შენ ხომ ეტყვი ჩემ სიტყვებს შენს მშობლებს? ჰკითხა მასწავლებელმა სანდროს.

— კი ბატონო, ვეტყვი, მაგრამ არ ვიცი რომ დაიჯერონ.

— რატომ არ დაიჯერებენ?

— მიტომ, ბატონო რომ მამა ჩემი თითონ ექი-
მია.

რა გვარი ექიმი, როგორ ავადმყოფებს არჩენს?

— გიყვებს და ქაჯისაგან დამტერეულებს
არჩენს!

— როგორ, რა ნაირათ არჩენს გიყვებს?

როგორ ბატონო, და აი ამ ნაირად: ერთი
ბლის ჯოხი აქვს და რაც უნდა გაგიყვებული იყოს,
ამ ჯოხს დაადებს გულზედ, ერთჯერ ან ორჯერ
შეშინებულისას გამოულოცავს და ავით მყოფი იმ
წამსვე მორჩება.

აქ მათემ შეაჩერა მთელი შეგირდები და განუ-
მარტა; თუ რამდენი ამისთანა მატყუარა და ცრუ
მორწმუნე ხალხის „მყელფელნი“ ჰბუღობენ ჩვენ
სოფლებში და თავიანთის დამდაბლებულის ზნეობით
და სინილისით ამახინჯებენ და აფუჭებენ ხალხს,
როგორც ზნეობით მით უმეტეს უფრო მატერია-
ლულად; რომ ყველაფერი ეს სიცრუეა და ამ გვარ
ექიმებს მხოლოდ იქ შეუძლიანთ იეჭიმონ და ატყა-
ვონ ხალხი, სადაც სწავლა მეცნიერებას თავისი
გამკურნებელი. სხივი არ მიუფენია. სადაც სწავლა
და განათლებას ჯერ კიდევ არ გაუდგამს მგარი და
საიმედო ფესვები.

მათეს სკოლას ცარიელი ადგილი ბლომით
ჰქონდა შემოღობილი; მათემატ მიჰყო ზელი ამ ცა-

რიელის ადგილის შემუშავებას. წელაწადში მას, თითქმის ხუთი თვე ჰქონდა თავისუფლება და რაზედ უნდა მოეხმარა ეს თავისუფალი დრო, თუ არა ამ გეარ კეთილ საქმეზედ? წასულიყო ქალაქებში, მიეხედ-მოეხედა, წაეკითხა თავის მძიმე მოვალეობის შესახებ თუ რაიმე დაიწერა ან ითქვა -- არ შეეძლო, რადგან, არამც თუ „საქალაქო“ ფულები — მთელი ზამთარი საზაფხულო ტანისამოსით, უ „პალტოთ“ უნდა გაეტარებინა. მთელი ორი-სამი თვე და მეტიც ისე გაეიდოდა, რომ ფულს თვალთ ვერ დაინახავდა რადგან ჯერ ვერ მოესწრობოდა მამასახლისის „კლანჭებიდან“ ამოძრობას და თუ გახდებოდა როდისმე ღირსი, რა უნდა ექმნა ისეთ ჯამაგირს, რომელიც ძლიერს ჰყოფნიდა აუცილებელს საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

პირველი ჯამაგირის მიღება მათეს ძრიელ დაუგვიანეს. სამი-ოთხი თვე მათეს ჯიბეს ფული არ ენახა. რამდენჯერ, დაელრიჯებოდა მამასახლისის და ჯამაგირს თხოვდა იმდენჯერ ამ გეარ ტკბილ სიტყვებით მოუქონიდა თავს:

— რა ექნა, ჩემო მათე, ხომ ხედავ დღეში ათს და მეტსაც მოწერილობას ესწერ „ბოჩიკებს“ მაგრამ ვერას გაეხდი. როდესაც კი შეაგროვებენ და წარმო-მიდგინენ შენს ჯამაგირს რა დაუდგება წინ? შენ ჯამაგირს ჯაგრობ, ძმაო, და მე იმ დღეს „ნაჩალიკა“ კინალამ ულვაშებისაგან არ გამცალა: ეს რა ამბავია, რატომ სახელმწიფო გადასახადი საქმდის არ შეაგრო-ვეთ და არ წარმოადგინეთო?

— შე კი რაღა უნდა ექნა, ჩემო მამასახლისო? განა

არ იცი, რომ მე აქ ნათესავი არ მყავს და ვინ უნდა შემინახოს მუქთათ-უფულოთ?! კიდევ ღმერთმა აკუროთხოს თედორე ღარიბაშვილის ოჯახი, თორემ ვინ მარჩენდა ამდენ ხანს უფულოთ?

ღღეს კი მეც სინიდისი არ მაძლევს ნებას, რომ ცოტაოდენი მაგიერი პატივისცემა არ გადაუხადო და ჩემი პატივისცემა, რასაკვირელია, რა უნდა იქნეს, თუ არა ხარჯის ფულის მიცემა?

თედორე ღარიბაშვილი ერთი შეუძლებელი გლეხი იყო. შვილები ბევრი ყავდა, შეძლება კი ნაკლები ჰქონდა მთელ წელიწადში სულ სხვის მიწებს მუშაობდა ხანახევროთ. თედორეს ოთხი ქალი და ერთი ვაჟი ჰყავდა, სულ შვიდი სული იყო მისი სარჩენი. ერთი ხის ძეგლული სახლი, მიწის იატაკიანი, ზედ მოდგმული ფიცრის ერთი თვალი პატარა ოთახი, იქვე სკოლის გვერდით, კანცელარიის მახლობლად ედგა. თედორე ერთი გულკეთილი, ალაღმართალი და მარილიანი მოლაპარაკე გლეხი იყო. თუ ღმერთს ან სიმართლეს არ ახსენებდა, ისე სიტყვას არ იტყოდა. „სიმართლით უნდა იარო, სიმართლით უნდა იმოქმედო, რომ ღმერთმაც მიიღოს მონაწილეობა შენს მოქმედებაშიო, თორემ სიმდიდრე და სიღარიბე დაძმანი არიანო.“ თედორე ღარიბაშვილი, როგორც უფრო ახლო მეზობელი მათესი, ხშირად დადიოდა მათესთან და მათეც ხშირად დაიწყო თედორეს ოჯახში სიარული. მათე თედორეს ოჯახში სადილობდა. თუმცა თედორეც ძირეულ ღარიბი იყო, მაგრამ მათე კი მასზედ უფრო ღარიბი იყო. ღარიბმა გულმა თანაუგრძნო

თავისებურ ღარიბ და გაღატაკებულ გულს და თედორეს ოჯახში ჰპოვა პატიოსნება, უმანკო სიყვარული და ღრმა პატივისცემა. მათე თედორეს მეუღლეს დედობილს ეძახოდა, და თედორეს ერთი ქალიშვილთაგანი, კოპწია მაკრინე, ნიადაგ ურეცხუკერავდა და უფრო ყურადღებას აქცევდა მათეს, ვინემ სხვა მისი დები. ხანდისხან დაფარული სიყვარულის ქრუანტელით ათრთოლებული მაკრინე კიდევ გაუღიმებდა ხოლმე მათეს. მათე თუმც ამჩნევდა ამას, მაგრამ განგებ არ აქცევდა ყურადღებას; თითქმის დარწმუნებული იყო, რომ მომავალ ბუნებით დაწესებულ ცოლ-ქმრობის კავშირს საუკუნოთ უნდა გამოთხოვებოდა, რადგან არამც თუ ცოლშვილის შენახვა, თავის საზრდო ლუკმა პურიც უჭირდა, მაგრამ „სიყვარული სსჟა რამეა არ სიძვისა დასადარია“

ამბობს ჩვენი უცვლადი შოთა.

მაკრინეს სიყვარულის ნაპერწკალი მათეს გულსაც მოხედა და შეათამაშა მისი გრძნობიერი აგებულობა. დღეიდგან მაკრინეს შეხედვა თავიდგან ფეხებამდის, მთელს ტანში რალაც ქრუანტელს გაურბენდა და შეშინებული მზგავსათ ათრთოლებდა, ააცახცახებდა ხოლმე საბრალო მათეს.

თედორე ღარიბაშვილის ოჯახის პატივის ცემა და სიყვარული მათეს გულში სულ უფრო და უფრო დიდებოდა და ღრმით იდგამდა ფესვებს.

მაკრინეს უმანკო სიყვარულში მათე დარწმუნებული იყო. მისმა პატიოსნურმა შრომამ, უმანკო, გრძნობით სავსე სიყვარულმა, თედორე ღარიბაშვილის

ზნეობრივმა ოჯახმა და პატიოსანმა თანაგრძნობამ მათეს ყველაფერი დაუვიწყა. მათე დღეიდგან მომავალ სიღარიბეზედ აღარ ფიქრობდა. გული სულ მაკრინესკენ ჰქონდა, მხოლოდ ეძებდა იმ ბედნიერ შემთხვევას, როდესაც გამოტყუილად და პირ-ნათლათ შესძლებოდა მაკრინეს მშობლების წინ თავისი სურვილის გაცხადება. აი ეს სანატრელი ბედნიერებაც მალე ეღირსა: კვირას, წირვის შემდეგ, მათე თედორე ღარიბაშვილის ოჯახში გადავიდა და თავისი სურვილი ათრთოლებულის ხმით და გაწითლებულის პირის სახით თედორეს და მის ცოლს გამოუცხადა. ამ გვარმა მოულოდნელმა ამბავმა უცებ შეაჩერა თედორე და მისი მეუღლე, რაღაც სიხარულგანცეიფრების სხივმა გადაუარა ორთავეს პირისახეზედ. დიდ ხანს იყვნენ ამ გვარ მღვდმარეობაში. შემდეგ გადაეხვივნენ მათეს და გრძნობით გადაჰოცნეს. თედორე და მისი ცოლი სრული ბედნიერანი იყვნენ, რომ ღმერთმა ამ გვარი ბედი მისცა მათს ლამაზ მაკრინეს. შეზობლის გოგონები კი ხარბის თვალთ შეჰყურებდნენ მაკრინეს და ამბობდნენ: „ეს ოხერი ბედი რა ბრმა არისო, განა მაგაზედ ლამაზი და უფრო მზითევიანი ჩვენებიანთ სალომე არ არისო!“

ერთის კვირის შემდეგ მათე თავის სკოლაში გადმოვიდა ცოლიანათ.

ორი წლის შემდეგ მათემ საუცხოვო ბალი გააშენა სკოლის ეზოში. გლეხ-კაცობა და მათეს შეგირდები სიამოვნებით ადევნებდნენ თვალ-ყურს მათეს მებალობას. ბევრი სასარგებლო ახალი ცოდნა შეიძინეს

მისგან და მით გააუკეთეს თავიანთი მეურნეობაც. სწორედ სიამოვნების სხივი მოგეფინებოდათ პირის სახეზედ, როდესაც შეხედავდით ნასადილევს ან უქმე დღეებში: მათე იდგა ბალში, გარშემო ცნობის მოყვარე გლეხები და მათი პატარა ბიჭები შემოხვედნენ და ალტუცებით უგდებდნენ ყურს თავიანთ მასწავლებელს, რომელიც იქვე გაშენებულ ფუტკრების როფებს ათვალიერებდა და აგონებდა ხალხს: კარგი საქმეა, ფუტკრების გამრავლებას ხელი მიჰყავითო. თვითველ გლეხს ცალ-ცალკე აჩვენებდა და უხსნიდა, თუ როგორი როფები უნდა ფუტკრებს ან როგორ უნდა მოუაროს კაცმა, რომ მეტს გამოარჩეს. აბრეშუმის ჭიები მათეს ძრიელ ცოტა ყვანდა, რადგან ამისათვის ცალკე სახლი არ ჰქონდა და დროებით თავის სამზარეულო სახლში გამართა. სამზარეულო კი თავის საწოლ ოთახში მოათავსა, ასე რომ ერთი ოთახი ჰქონდა მათეს სასტუმროთაც და მისაღებ-დასაწოლ ოთახათაც. მთელი სოფლის გლეხობა ემადლიერებოდა მათეს. მხოლოდ გულ-ჩახვეული და გაიძვერა მამასახლისი რალაც გვერდზედ უყურებდა.

მამასახლისის ამ გვარი სიძულვილი მათემ იმ დღის შემდეგ დაიმსახურა, როდესაც რამდენიმე თვის ჯამაგირის მიღებაზედ არც თავისი „გასამჯელო“ მისცა და კიდევაც უჩივლა მაზრის უფროსთან. ამ დღიდან მათე და მამასახლისი აღარაფერი მეგობრები იყვნენ. ერთ აღგილას მამასახლისს კიდევაც დაეკვებნა: ეს უღელში არ შესწმის, თუ მაგ „უჩი-

ტელს“ აქედგან ფეხს არ აუდგამო“!

ერთხელ ადგილობრივ გაზეთში გამოქვეყნებული იყო რამდენიმე ბოროტ-მოქმედება და გაიძვერობა ლეინეთის მამასახლისისა. ადგილობრივმა ბოქაულმა პასუხი მოსთხოვა. მამასახლისმა ეს საქმე ჩეულებრივად საიდუმლოთ „მოაქრო“. მაგრამ ამის შემდეგ კი სრულებით დარწმუნდა, რომ მათე გულკეთილად შეიღი მისი მოსისხლე მტერია და მტერს მტრულათ უნდა მოექცეო.

მათე მაინც თავისას არ იშლიდა, თან და თან უახლოვდებოდა ხალხს და ტყობილობდა მათ ცხოვრების ბედ-იღბალს, შედიოდა მათ მდგომარეობაში და ყოველ წამს იმას ფიქრობდა, რა ნაირად დაეხმარო ამ გვარ მდგომარეობაში ჩაცეწილ ბედკრულ ხალხსო, მაგრამ ყველგან სიღარიბე, შეუძლებლობა და მუდამ „ხვალინდელ ღლეზედ“ ფიქრი უხვდებოდა თვალ წინ და სტანჯავდა მათეს. ხშირათ გაკვეთილის დროს სკოლასში შემოეარდებოდა ხოლმე პატარა ვასიკო, მათეს უფროსი ეაჭი, და გულ საკლავათ ეტყოდა: „მამილო, ღღეს სადილათ არაფერი გვაქვს“, ან კიდევ „დედამ შეშა ვერსად ვიშოვნეო და სადილი რითი გაეაყეთოვო.“ ამ გვარი სცენები ხშირი იყო მათეს ოჯახში, მაგრამ მათე მაინც არ ებუებოდა ამ გაჭირებას. ხალხს ცალკე ეხმარებოდა და ცოლშვილს კიდევ ცალკე ასაზრდოებდა თვისი მცირედის ჯამაგირით. ან კი რომელს ერთ გაჭირებას უნდა დამორჩილებოდა: ერთის მხრით ცოლშვილი ეკიდა კისერზედ და მეორეს მხრით მართებლობის მოთხოვნი-

ლება სკოლაში. სკოლის პროგრამმა და გლეხების ცხოვრების მოთხოვნილება სულ სხვა-და-სხვა იყო. რომლის მოთხოვნილება შეესრულებია? მთელი ღამე სამთლის წინ იჯდა და ფიქრობდა: რაწაირად უნდა მოვიქცე, როგორ ვიმოქმედო, რომ არც წვადი დაეწვა და არც შამფურიო: ბევრი ტანჯვან გაიარა, მაგრამ თავის დანიშნულ მიზანს თანდათან უახლოვდებოდა.

მათემ თავისი სკოლა და გლეხების ოჯახი ძრიელ საიმედო კავშირით შეაერთა: დაუახლოვა ერთი მეორეს. მათეც ამ გვარის კეთილეს საქციელით შეიქმნა საყვარელი და სასარგებლო მასწავლებელი არამც თუ მარტო თავის პატარა მეგობრების—სკოლის შეგირდებისთვის, არამედ მთელი ს. ლეინეთის მცხოვრებლებს „თელში რომ ჩაეარდნოდა ხელს არ ამოისევამდნენ.“

—სენნაე, ბიჭო! ღღეს „ბოჩიკა“ მიეცი რამე?

—რას მივსცემდი, ძმაო, რომ აღარაფერი გამაჩნდა სკოლის მზითევში მოყოლილი ერთი სპილენძის ქვაბი მქონდა და ისიც წაიღეს, ღღეს შეჭამადი ვეღარაფერში მომიხარშია!?

—ბიჭო! „უჩიტელთან“ არ ყოფილხარ?

—არ ყოფილხარ, ძმაო, რადგან მრცხვენია, ყოველთვის მისი შეწუხება. თვითონ რომ ჰქონდეს, კიდევ ჰო, თორემ უნდა წავიდეს დასხვას გამოართვას. ეხლა მაინც ცუდ გუნებაზედ არის თურმე საწყალი. აი თუ გახსოვს, ბედკრულაძეს რომ თავედებათ დაუღვა გაუმადლარაძესთან ოცი თუმნის ვექსილით—იმ

წყეულს უჩივლია მათესათვის და მთლათ ყველაფერი აუწყრია.

— მაშ რას იზამ, ძმაო, თუ არა „უჩიტელი“, ეინ გაშოვინებს ფულებს? გოგიტელა გაუმაძღარაძეს ხომ მუდამ აქეს ფული, მაგრამ ცეცხლი გაუჩნდეს იმის „ჯიბეს“.

იმან ქრისტიანულათ ფული გასესხოს?!

— არა, ჩემო ძმაო, „უჩიტლისგან“ მე დიდი და-ჯილდოვებული ვარ, ბევრჯერ გამოუყენიერ გან-საცდელისაგან თავისი ძმური და გონიერი დახმარებით. ერთხელ, იმას შემწეობა არ აღმოეჩინა, ჩემი დედაკაცი ცივ სამარეშიმეყოლებოდა, მისი რჩევით წავედი ექიმი, მოვიყვანე და მესამე დღეს დედა-კაცმა ფეხზედ სიარული დაიწყო. სწორეთ ერთი თვე იყო, რაც „მკითხავები“ და ჩვენებური ექიმები, წამლობდნენ და ვერას უშეეღეს.

ამ გვარ მუსაიფს ხშირათ გაიგონებდით ს. ლენინ-თის მცხოვრებლებიდან, რომლებიც საღამ-საღამოებით შეიკრიბებოდნენ თავიანთ სკოლის ეზოში და ტკბილ საუბრით და სიცილ-ხუმრობით ატარებდნენ დროს თავის საყვარელ და ტკბილ „უჩიტელთან“.

მათე კარგათ გრძნობდა, რომ სკოლაში ნასწავლ გლეხის ბიჭებს შემდეგში გონებითი საეარჯიშებელი საქმე ცოტა ჰქონდათ. ამისათვის განიძრახა მან თავის სკოლაში პატარა წიგნთ-საწყობი გაემართა, რომ წიგ-ნების კითხვის მსურველთათვის ეძლია საკითხავი წიგნები. მათემ ბარათები დაარიგა თავის ნაცნობებში და სთხოვედა წიგნებით ან ფულებით დახმარებოდ-ნენ ამ ნაირ სასარგებლო საქმეს. ყველამ თანა-

გრძნობის წერილები მოსწერეს და რამდენიმე ხნის განმავლობაში ს. ლეინეთის წიგნთ-საწყობში ბევრი კარგი ქართული წიგნები მოიპოვებოდა. ამ გვარათ მათეს შემწეობით ბევრმა სოფელელმა გაიცნო ჩვენი წარჩინებულის მწერლის გონებითი ნაწარმოები, განსაკუთრებით ქალები ეტანებოდნენ წიგნის კითხვას. ქალების კითხვას მთელი ოჯახი ღიღიდგან პატარამდის ყურს უგდებდა და სიამოვნებდა. „თორნიკე ერისთავის“ შინაარსს, „განდევილს“ თითქმის ზეპირად გეტყოდნენ; „კაცია აღამიანი“ და „გლახის ნამბობი“ ხომ მოხუცებულებმაც იცოდნენ! ისეთებმა, რომლებსაც წერა-კითხვის არაფერი გაეგებოდათ, მაგრამ სკოლაში მოსიარულე შეგირდები და ოჯახში ახალ-გაზდა ქალები ისე ხშირად კითხულობდნენ და ბაა სობდნენ, რომ მოხუცებულებმაც ყურის გდებით უნებლიეთ ზეპირად დაისწავლეს. გულმოდგინეთ შეჰყურებდნენ „გლახის ნამბობის“ კითხვას და შენატროდნენ მასში გამოხატულ სოფლის. მღვდლის გულკეთილობას.

გლახობას თავად-აზნაურობაც მოჰყვა, კნეინებმა გაიგეს, რომ ლეინეთის მასწავლებელს კარგი საკითხავი წიგნები აქვსო და ხშირადაც უგზავნიდნენ ამ გვარ წერილებს:

ბ. მათე ივანის ძე:

გაგიგე, რომ თქვენ კარგი საკითხავი წიგნები გქონიათ და თუ შეიძლებოდეს ერთი რაიმე საკითხავი

წიგნი გამოგვიგზავნე. მოწყენილობა გვაწუხებს. საქმე არაფერი გვაქვს. იმედია პატივს გცემთ.

თქვენი პატივისცემის მსურველი

ან. მელანიძე

ერთს წელიწადს ს. ლენინის ეწვია, რალაც გადამ. დები სენი, რომელსაც გლეხები „შავ ჭირს“ ეძახოდნენ. მთელ სოფელს მუსრი გაავლო. ოჯახი არ და რჩენილა, რომ ერთი მაინც არ მომკვდარიყოს; ზუთიოდე მათეს სკოლის შეგირდებიც იმსხვერპლა. მათემ სწავლა დროებით შეაჩერა და თვითონ ერთი ოჯახიდან მეორეში დადიოდა და შეძლებისა და გვარად ეხმარებოდა ხალხსა. დიდიდგან საღამომდის მათ მოელაში იყო და საღამოს კი მიეცემოდა მწარე ფიქრებს: როდემდის უნდა იყოს ეს ხალხი ასე დაზარალებული, ასე ღარიბი და უმეცარი? აი დღეს მაგ., ყანაში, ვეღვად მუშას, რომელიც მწარე ოფლის დერის ლუკმა ჰურისათვის, იტანჯვის, ძველ ძონძებში გამოჩენილ ხორცის კანს სწევას ცხოველი მზე და იქვე, ღობის გადაღმა, მოდარაჯებულია მისი მოვალე, რომელსაც „ლისტი“ ხელში უჭირავს და ბოქაულიც უკან მოსდევს: შრომობს, იწრიტება ოფლისაგან და ნაშრომი კი სხვას მიაქვს. რითი უნდა დავეხმარო ამ გვარ მდგომარეობაში მყოფ ხალხს? რა ღონისძიებით უნდა დაეხმარა ისინი ამ გვარ გაჭირვებისაგან? აი ფიქრები, რომლებიც მწარეთ ანაღელიანებდნენ მათეს და უჩინრად ჰქენჯნიდნენ მის ნორჩ გულსა. მათემ

სასოფლო მალაზიის გამართვა განიზრახა. „პროექტი“ შეადგინა და მართველობას დასამტკიცებლად წარუდგინა. ის დღე-დღეულობით მოელოდა მართველობის ნებართვას.

ერთს სალამოს მათე ბედკრულაძიანთ ოჯახში გადავიდა, სადაც „შავის ჭირით“ ბედკრულაძის მეუღლე იყო ავად.

საბრალო ავადმყოფი იწვა სარეცელზედ და თავზედ უფროსი ვაჟი-შვილი ადგა. ახლო-მახლო მეზობლები ყველანი მორიდებოდნენ და სადღაც გადახიზნულიყვნენ. მათე შევიდა სახლში, ავად-მყოფი ნახა, იმედი მისცა და გამოემშვიდობა წასასვლელად. გზაში რაღაც უქეიფობა იგრძნო. შეატყო, რომ მუხლები თან-და-თან უსუსტდებოდნენ. შინ მივიდა თუ არა, ლოგინში ჩაწვა. ამ სენს კიდევ უფრო დამტანჯველი სენი მიემატა: გოგიტელა გაუმაძღარაძემ „ლისტით“ ხელში და ბოქაულით მოირბინა და და მათეს ოჯახის მოწყობილობას აწერა დაუწყა.

ქვის გული უნდა ჰქონოდა ადამიანს, რომ არ შესკოდებოდა მათეს სახლობა. გაფითრებულს და შეწუხებულ მათეს ცოლს გარს შემოხვევოდნენ შვილები და საცოდავის ხმით ეკითხებოდნენ: „დედილო, ვინ არის ეს კაცი, მამას ტანისამოსი სკამები, სტოლები რომ მაიქეს, მამასაც ხომ არ წაგვართმევნო და სხვა?“

ამ გვარი სიტყვები უფრო უთუთქავდნენ ისეთაც დამწვარს და შეწუხებულს გულს; მათე გულკეთილ-შეილს და არ იცოდა რით ენუგეშებია თავიც და

ცოლშვილიც. მას ნათლათ ჰქონდა წარმოდგენილი, რომ თავის სიკვდილის შემდეგ ცოლ-შვილი ულუკმა-პუროთ რჩებოდა, ვინ იცისვის ხელში უნდა ჩაეყვანილიყვნენ? ისინი ამ გვარ ტანჯვის დროს სწეულება თანდათან უფრო იდგამდა ფესვებს მათეს აგებულიებაში. ავადმყოფობამ შემდეგში სულ სხვა სახე მიიღო, და ჩვენი მათე ლოგინიდან ვეღარ წამოდგა. სიცხე თან-და-თან ემატებოდა. მათე საოცრათ სწუხდა და იტანჯებოდა, რომ ასე უდროვით ესაღმებოდა თავის საყვარელს სკოლას, შეგირდებს, ხალხს, უპატრონოთ დაგდებულ წვრილ ცოლ-შვილს, და თავის დაწყებულ სასოფლო მალაზიის გამართვას.

სკოლა ყოველ დღე სავსე იყო მწახველ გლეხებით და შეგირდებით, რომლებმაც ექიმიც მოჰგვარეს, მაგრამ სულ ამაოთ, ექიმის მოსვლამდის სიცხემ თან-და-თან იმატა და თვითონ უფრო და უფრო სუსტდებოდა. შუალამის მესამე სათი იქნებოდა სწორედ, როდესაც მათემ უეცრივ გვერდი შეიბრუნა, ერთი მწარეთ ამოიხენეშა და საუკუნოთ გამოესაღმა ამ წუთი სოფელს.

IV

შემოდგომის ცივი დღე იყო. სუსხიანი ქარი ჰქროდა და გაყვითლებულს ხის ფოთლებს ძირს ყრიდა. აქა იქ ურმების ჭრიჭინიც მოისმოდა. იქვე ახლოს, გზის პირად, ღობის ჯუჯარუტანებში იცქირე-

ბოდნენ. თავშეხვეული დედაკაცები, რომლებსაც თვალეზიდ ცხარე ცრემლი მოსდიოდათ და ერთმანეთს რაღაცას შესწუწუნებდნენ. პატარა ყმაწვილები ღობეზედ შემდგარიყვნენ და ეტყობოდათ რაღაც უჩვეულებრივო სანახავს ელოდებოდნენ. ეს გზა წმინდის გიორგის ეკლესიის გზა იყო, მაღალ მათე გულკეთილშვილს საუკუნო ბინას უმზადებდნენ. აღმოსავლეთით ამ ეკლესიას ძველი სამრეკლო ჰქონდა, რომლის სიძველეს ტანზედ შემოხვეული სუროს ფოთლები ამტკიცებდნენ.

დღის თორმეტი საათი იქნებოდა სწორედ, როდესაც სამრეკლოდგან სამგლოვიარო ზარის ხმა გამოისმა ს. ლენინეთის არე-მარეში.

ს. ლენინეთის სკოლა საესეა გლენებით. ყველანი დიდათ მწუხარენი არიან. ცხარე ცრემლები გადმოდით თვალებიდგან დაობლებულს და გამწარებულს მათეს ცოლშვილის შემხედვარეთ.

—სუ, აგერ ხალხის ტირილი და ქვითინი შესწყდა. სიჩუმე გამეფდა. ყველანი „უჩიტლის“ ოთახისკენ იცქირებიან, საიდგანაც ხის კუბო შიჩსვენებული მათე გულკეთილშვილი თავის შეგირდების ხელით გამოასვენეს სკოლიდგან და ეკლესიისაკენ წაასვენეს.

წინ მამა ოქროპირი მიუძღოდა, მასთან მოყვებოდნენ მათესაგან ობლათ დატოვებული ცოლშვილი, თვალ-ცრემლიანი სკოლის შეგირდები და მათი მშობლები. შეგირდები ათრთოლებულისხმით „წმინდაო ღმერთოს“ უგალობდნენ და წყნარათ მიასვენებდნენ

თავიანთ საყვარელ მასწავლებელს, მათე გულკეთილ-
ლაშვილს.

მათეს ცოლშვილი ულუკმა-პუროთ დარჩნენ. პირ-
ველ ხანს ხან ერთიოჯახი უგზავნიდა ხარჯს და ხან
მეორე. ერთ თვეს არ გაუვლია, რომ ს. ლეინეთის
მცხოვრებლებმა 'მუა სოფელში მათეს ქერიეს და
ობლებს შეგროვილის ფულებით ადგილი უყიდეს და
საზრდოება მათი მთელმა სოფელმა იღუა თავზედ,
და ამნაირად დაასახლეს. სანამ ობლები არ წამოიზრდე
ბოდნენ, მათეს წმინდის გიორგის ეკლესიის გალავანში
უბრალო ძეგლი აუგეს და ზედ ერთ გვერდზედ დააწერეს:

„ხალხის სამსახურს ნიჭი, ღონე მან მოახმარა,
სიცოცხლეც ბოლოს მას შესწირა, — აღარ აკმარა...
მწაიკე მოღრუბლულს ყოფაში კი ცისა კამარა
მას არ უხილავს არც ერთჯერაც წმინდა ანკარა.“

მეორე გვერდზედ: „აქ განისვენებს გვამი პატროს-
ნის მშრომელის მათე გულკეთილშვილისა, საუკუ-
ნოთ იყოს ხსენება მისი.“

ს ა ნ დ რ ო

(მოთხრობა)

„იმ დღიდან სადაც გაკედა
სადაც გადაკედა ფესია,
იქ დამსედა მწარე ნადეკლი,
ააჰში დამეცა მესია.“

ა. მოჩხუბარიძე

I

ზაფხულის დამდეგი იყო. მზე შუბის ტარზედ იქნებოდა დასული, რომ დიდის ზენეშით და კენესა გოდებით მოადგა ...-ის რკინის გზის სადგურს ორთქლით მატარებელი და რამდენსამე წამის შემდეგ გაუმძლარ ვეშაპის მზგავსათ ჩაგვეყლაპა, მოგვიქცია მუცლად და იმავე მწუხარების ღრიალ-კივილით მოგვაშორა სადგურს.

რკინის გზის ეგონი გაჭედილი იყო მგზავრებით: ვინ იჯდა და ტკბილად მუსაიფობდა, ვინ დასაჯდომ ადგილს ეძებდა, ვინ ფანჯრებში იცქირებოდა და „ოდელიას“ ლილინით სიამოვნებით სტკბებოდა.

ამათში მხოლოდ ერთი მგზავრი იქცევდა ადაქიანის ყურადღებას. სამსრეთის მზრით, დახურულ ფანჯრის წინ, ერთი ყმაწვილი კაცი, თა-

ვიდგან ფეხებამდის გრძელ „პლედში“ გახვეული იჯდა, გრძელი შავი თმა კისერზედ ეფენა: მკრთალი ფერი, გამხდარი პირის სახე, ჩავარდნილი, დასუსტებული თვალები და ზედ წამოდგმული შავი სათვალეები ნათლათ გეუბნებოდათ მის ენაობას.

ეს ყმაწვილი ცალკე იჯდა და დროგამოშვებით ჩაახველებდა; ყველას იმას სთხოვდა — კარები ან ფანჯრები დაეხურათ და სიო არ შემოეშვათ. გარეთ მშვენიერი ზაფხულის დღე იდგა. ბუნების სიკეკლუცით ყველანი სტკებოდნენ. საბრალო, ეტყობოდა, რალაც სენს შეეპყრო და დაუზოგველად ღერღნიდა მის ნორჩ ქმნილებას; მის სახის გამომეტყველებას ნათლათ აჯდა ნალელით და ბოლშით სავსე მწუხარების ბეჭედი. თითქო მას არაფერი არ ახარებდა, ისე ზიზლით და ზანტათ უცქეროდა ყველას. ცალკე, სხვებზედ გაშორებული, იჯდა, რალაც გაზეთს ჩასჩერებოდა და თვალებიდგან ცრემლების ნაკადულ-მკრთალ ღოჯებზედ ჩამოსდიოდა.

შევხედე ამ ყმაწვილს და უნებლიეთ დაეუკვირდი. გაშტერებით დაეუწყეცქერა. იმანაც რალაც შემატყო, მე უფრო ახლოს მიუჯექი და გაზეთის თავაზი ესთხოვე, რომელიც იქვე გვერდით დასდო.

— მიირთვით! თავაზიანად მითხრა ყმაწვილმა, თვალები ამოიწმინდა და გაზეთი მომაწოდა.

მე გაზეთი ჩამოვართვი და ცნობისმოყვარეობა კიდევ უფრო გამიორკეცდა. კიდევ თვალიერება დაეუწყე. რამოდენიმე ხნის შემდეგ ორთავემ შევაჩერეთ

გაზეთის კითხვა. მე გაზეთი გადავეცი ღიდის მადლობით და კრძალვით ვკითხე:

—სად მიბრძანდებით ყმაწვილო?

ს. X-ში მივდივარ. რკინის გზის სადგურიდგან სულ ვერს ნახევარი არ იქნება ჩემ სახლამდის. მომიგო წყნარის და დასუსტებულის ხმით.

—საიდან მობრძანდებით? კადეც ვკითხე.

—რუსეთიდან მოვდივარ. მომიგო.

—რუსეთში ხომ არ მსახურებთ?

—არა მე ჯერ მოსწავლე ვარ და სამსახურს, შეიძლება, სულაც ვერ ვეღირსო, რადგან ასე უცოდველათ შემიპყრო ამ უწყალო სენმა.

რა გვარი ბრძანდებით?

—ბედკრულაძე.

—სანდროო?!

—დიახ, სანდრო ბედკრულაძე გახლავართ. თქვენ ვილა ბრძანდებით? რალაც მეცნაურებით, სადღაც მიწახეხართ...

—გახსოვს X-ის რკინის გზაში, რომ ვმსახურებდი? მაშინ ჩვენ კარგათ ვიცნობდით ერთმანეთს.

—აა, მახსოვს, მახსოვს. ეხლა ვიცი ვინაც ბრძანდებით. სოქვა და უფრო ახლოს მომიჯდა.

—სანდრო! წარმოიდგინე, რომ კინალამ ვერ გიცანი, ვგრე რამ გამოგცვალა ან რამ დაგანაღელიანა კაცო!

—ოხ! ძმაო, ჩემი ცხოვრების მატთან სულ სიმწარით და ნაღელით არის მოცული. ჩემი ცხოვრების აღწერა გრძელია. თქვენ, შეიძლება, ახლოს სადმე

მიბრძნდებით, რომ დაეწყო მაინც ვერ დავასრულებ, თორემ გიაშობთ ყველაფერს რამაც გამომცვალა, რაჲ დამანაღელიანა.

— არა, მე X-ის სადგურამდის მივდივარ, იქამდის კარგი დიდი მანძილია.

— მაშ რადგან გსურთ ჩემი ცხოვრების ამბავი შეიტყუთ, უური დამიგდეთ და დაწერილებით მოგიყვებით. სთქვა ეს და წყნარის-დასუსტებულის ხმით დაიწყო:

II

რკინის გზის X-ის სადგურის გაღმა, ერთ მაღლობზე აღვილას, მერცხლის ბუდის მგზავსათ ერთი პატარა ქვის ეკლესიაა მიშენებული. ამ ეკლესიის გარშემო რამოდენიმე ხის ქოხია ჩალით და ზოგან წალმით დახურული, გარშემო ამ სოფელს გარდა გაუვალი კლდე-კდურისა და ჩაბნელებული ხრამ-ღელებისა არაფერი არ გააჩნია. რკინის გზით გავლის დროს ამ სოფლის შემხედვარე უნებლიეთ იკითხავს: ნეტავ რით სცოცხლობს ეს სოფელი ან სადღედან მოჰყავს მთელი წლის სარჩო-სანაგვარიო.

სწორედ ეს სოფელი გახლავსთ ჩემი სოფელი, სადაც ეს ორმოცი წელიწადია, რაც მამა ჩემი მღვდლად არის განწესებული.

ეს ღარიბი ეკლესია და მისი ღარიბივე მრევლი, თქვენაც მიხედვით, რა ხერხს დააყრიდა ცხოვრებულ მამა ჩემს.

ცოლ-შვილით ბედნიერი იყო, მაგრამ მათი სა-

ზრდიება, აღზრდა განვითარება კი მკველად აღგა
გულზედ საცოდაეს მამას. ორი-სამი ქალიშვილი
ძალზედ გასათხოვარი იყვნენ და მეც კლასში შესა-
სელები წლოვანება მიმდიოდა. ეს იყო ჩემი დედ-
მამის საველილო და სადარდელი საგანი: რა. ვქნათ,
რა საშველებით გაეთხოვოთ ორი სამი ქალიშვილი
და ან რა საშველებით გავზარდო სანდრო, რომელ-
საც დღეს თუ ზვალ თორმეტი წელიწადი შეუსრულ-
დებაო, არ გავზარდო და დღეს უსწავლელ კაცს
ლუკმის ქამა უძნელდებაო. ამ დროს ჩვენს სასწავ-
ლებელში წლოვანებას იმდენ ყურადღებას არ აქცე-
ვდნენ, რამდენსაც დღეს.

ერთ დილას ჩვეულებრივზედ უფრო ადრე ავ-
დექი. თითქმის ტანმაც მიგრძნო, ვარეთ გავიხედე და
ენახე, რომ მამი ჩემის ჯორი შეკაზმული ღობეზედ
ება და მეორე ცხენზედ ჩემი ბარგი ზაბაკი ეკიდა. ეს
ჩემ სასწავლებელში წასაყვანად დავმზადებიათ. შემ-
დეგ შემსვეს ცხენზედ და თვალ.ცრემლიანი ქალაქ
X-კენ გამისტუმრეს. მძიმეა საზოგადოთ იმ ადგილის
მოშორება, იმ ოჯახის კერიის მიტოვება, რომელსაც
ამოტელა კაცი აღუზრდიზარ, სადაც შენი ტკბილი
სიყმაწვილის თავისუფლებით საესე ცხოვრება ყვაეო-
და. დიახ, ძნელი ასატანი იყო ჯერ საზოგადოთ
ყველასთვის და უმეტესათ ჩემთვის. ერთის მხრით სა-
ყვარელი მშობლების მოშორება, რომლებსაც დღემ-
დის ერთ ღამესაც არ მოვშორებივარ და მეორეს
მხრით ჩემი უცხო ქვეყანაში ცხოვრება და სწავლა
იმდენად მაწუხებდა, მღრღნიდა გაყოუცდელ ნორჩ

გულს, რომ უნებლიეთ გული ამიჩუყდებოდა და სევდით საესე ცრემლებს, ჩემდა უკითხავად, თვალებიდან ლაპა-ლუპი გაჰქონდა.

რალა ბეერი გაეგარძელო, სალამოს რვა თუცხრა საათი იქნებოდა, რომ ქალაქ X-ში ჩავედით და დავბინადრით ერთ ჩემ მეზობელ სოფლის მდებლის ოქროპირის შვილთან.

თუ როდისმე ქალაქ X-ში ყოფილხართ უსათუოდ გეცოდინებათ „უხიმერიონის“ მთა ანუ კიდე „ცოდვინი გორა“. ამ ორ სახელში ერთსა და ერთსა უეჭველად მოჰკრავდით სადმე ყურს. ამ „გორას“ სიკეკლუტეს და მედიდურ შეხედულებას ძველი ციხე-და ნანგრევი კედლები აძლევენ ერთის მხრით და მეორეს მხრით ძველი ისტორიით სახელოვანი ტაძრის კედლები ისეთ დაღრეჯილი და თვალცრემლიანი გადმოსჩერებან თავიანთ გარშემო არე მარეს, რომ თითქოს ამას მოგახსენებდეს:

„აქ დაბლა მე ვარ მის მოწამე ღ იქ მაღლა წა,
რთგორ ამაღლდა საქართველო, რთგორ დაეცა...“

ამ კედლებიდან ჩრდილოეთის მხრით ერთი ქვიანი კლდე-კრდურია, ისეთი ფხეკი და ფერდოები, რომ როგორც იტყვიან „ქუდი რომ დაგიგორდეს მომწევი კაცი არ არისო.“ ამ ფერდოებ კლდე-კრდურში ფრთებ ჩამოცვენილ ბატების მგზავსად დაფრეტილ დაღრეჯილი ხის სახლებია წამოყუნტული. აი ეს გახლდათ ამ დროის ასეთ წოდებული „უჩენიკების

კვარტირები“, სადაც ესცხოვრებდით სასულიერო სასწავლებლის შეგირდები. ერთი ამ სახლებთანაა გახლდათ მამა ოქროპირის სახლიცა, სადაც იმ ღამეს დაგბინადით. ეს სახლი მამა ოქროპირმა თვითონვე ააგო, რადგან მიწა საეკლესიო იყო და ქირას არაფერს იხდიდა.

როგორც სხვებს ისე მამა ოქროპირსაც ბევრი ფული არ დაჟდენია ამ სახლის აშენება, სულ ოცი თუ ოცდახუთი მანეთით დამართეს სახლები და თავიანთი შეილები დააბინავეს.

საყოველთაოდ მდგომარეობაში ვიყავით აქ მცხოვრებნი შეგირდები და ეს გაჭირების დღი ბევრს ჩვენთანაა შემდეგში შეგვემჩნა, ცხოვრებაში გამოიჩინა თავი: ვინ მღვდლობის დროს დასწრულდა, ვის კუჭის ავთმყოფობა გაუჩნდა და ვინ ქლექში ჩაეარდა ანგარიში არ ჰქონდა. სხვას რომ თავი დავანებოთ, მე შემხედეთ რასა ვგავარ!!

ამ დროს რკანის გზის სადგურზედ მოვედით. პატარა ზარის რაწკუნის შემდეგ, ორთქლით მატარებელმა მიაყვია, მიაფსტვინა, გვაცნობა, რომ მესმის, შეეჩერდები, ნუ გეშინიათო. ახალ სადგურადგან კიდევ ახალი მგზავრები ჩასხდნენ და იმავე ზარის რეკით, კივილ-ჩხივილით მოეშორდით ისევ სადგურს.

ნაშუადღეის სამს საათზედ თავდებოდა ხუთი გაცვეთილი, განაგრძო სანდრომ. გაცვეთილების შემდეგ უნდა წავსულიყავით შეშა გვეშოვნა, სადილი გაგვეკეთებინა და მეორე დღისთვის ხუთი გაცვეთილი უნდა დაგვემზადებია. წარმოიდგინეთ ერთი პატარა ხის

ოთახი, მაწის იატაკით და უჭეროთ, გადახურული დამქოქვილ, ხავსით დაფარულ ყაერით, რომელშიდაც წვიმას თავისუფალი მსვლელობის ნება ჰქონდა მიცემული. ამ გვარ ოთახის ერთს კუნჭულში ჯირკების მგზავსათ წამომჯდარან საბან წამოხურული შეგირდები, წინ ქონის სამთელი, ჩადგმულ როდინში, სანდლის მაგიერ უნთიათ და კბილებ ძაგძაგით შესჩხვინანერთმანეთს რალაც მათთვის გაუგებარს და მეტად დამტანჯველს ლათინურ ფრაზებს

შესაბრალოსნი უფრო ზამთრობით ვიყავით, რადგან არც თბილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელი გვებადა და არც შემის ღერი გვქონდა. ყოველ გაკვეთილს საბანში გახვეულონი, კბილებ აძაგძაგებულონი ესწავლობდით და იმასაც ხშირად მშიერ მწყურალნი-ხარჯი სოფლიდგან ჩამგედიოდა. ხანდისხან მდინარეების აღიდეგის დროს, კაცი წყლებს ვერ გამოუდიოდა და აბა მაშინ უნდა გეყურებიათ ჩვენი წრიალი და ფათური ქვეილის შოვაზე. ეს ხომ სასმელ-საჭმელი იყო, ახლა სიწმინდე იკითხეთ: ჩვენზედ უჭუჭყესი და უბინძურესი ძნელად მოიძებნებოდა ადამიანი. მთელი ზამთარი ერთი ხელი საცვლით უნდა გაგვეტარებია, რადგან არც მეორე რწყილი გვქონდა და არც დრო გამოცელისა, გარეცხისა და გასუფთავებისა. მთელი ზამთრის ჭუჭყს გაზაფხულზედ იქვე მოდუღუნე პატარა „რუაში“ გავიბანდით ხოლმე.

ჩვენ ცხოვრებაში სოფლიდგან კაცის ჩამოსვლა და სანოვაგეს ჩამოტანა ერთ ისტორიულ მოვლენას შეადგენდა: მივესვოდით ყველანი და ვინიცის რაღატაცებით

ჩამოვადებდით . ფქვილიან ტომარებს ცხენიდგან . თვითეულ სახლში ანუ უკეთ რომ ესთქვათ ქოხში , რამოდენიმე შეგირდი ვიდექით , ჩვენ რიგ რიკად გექონდა განწყესებული სადილ-ვახშმის დამზადება : დღეს ერთს ჰქონდა მინდობილი ყოველ გვარი ოჯახეულობის მოთხოვნილების შესრულება და ხვალ მეორეს .

ყოჩალი ის ამხანაგი იყო , რომელიც უფრო კარგ სადილს დაგეგმევდრებდა რა საშვალებითაც არ უნდა მოეხერხებია , ეს ჩვენთვის სულ ერთი იყო . ჩემს დღეში არ დამავიწყდება ერთი ჩემი ამხანაგი , რომელსაც თავისი სისუქნით და ჩაფსკენილობით მეტს სახელს „დათუნია“ უძახოდით . ეს „დათუნია“ სწორედ რომ ცოცხალი , მარდი მცბიერი და სიტყვა-პასუხში მომსწრები ყმაწვილი იყო , თუმცა აგებულე-ბა სულ წინააღმდეგს გეუბნებოდათ .

ის გაკვეთილს ყოველთვის კლასში სწავლობდა და შინ მარტო იმაზედ ფიქრობდა თუ რა ნაირად გამოვიკვებოა ფერდებოა .

ამ „უჩენიკების კვარტირებთან“ გვერდით პატარა სოფელი აბია . იქ დღესაც სცხოვრებს რამდენიმე გლეხი ღარიბაშვილები . ამ ღარიბიშვილების ოჯახებისკენ ხშირად დადიოდა ჩვენი „დათუნია“ . დღისითვე ათთვალწუნებდა ქათმებს , ინდაურებს , ჭოკებს და სხვა შინაურ ფრინველებს . მსუნავ მელიასავით ერთს კი შეჰკრავდა თვალს და იმდამეს მის თვალს ისე ლუღი არ მოეკიდებოდა თუ ამ მამლაყინწებს „ფრანგების ქუჩას“ არ აჩვენებდა . ხშირად თოფიც

ბევრჯერ უსერიათ, მაგრამ ბედს ან შემთხვევას გადაურჩენია სიკვდილისაგან. ამას ხომ ღამე ჩაღიოდა. ეხლა დღე იკითხეთ რა ხერხს ხმარობდა. „დათუნამ“ კარგათ იცოდა რომ ქათმების დაჭერა დღე არ შეიძლებოდა, რადგან ყვირილს მორთავდენ და ქათმების ყვირილი „დათუნას“ არაფერს ხეირს დააყრიდა. მაშ რა ექნა! აი რას ახერხებდა: რამოდენიმე ანკესს ყიდულობდა, ზედ სიმინდის მარცვლებს წამოაგებდა და კარებიდან გადაუდებდა ხოლმე ქათმებს. ქათმები შარცვალს ეტანებოდნენ, ანკესს ყლაპავდნენ, ანკესი კისერში ამოეჩრებოდათ და გაგუდული ქათმები შემოყვებოდა ანკესს თან; ჩვენს სიცილს-კისკასს ამ დროს და „დათუნას“ სიყოჩაღეს ქება-დიდებას სამზღვარი არ ჰქონდა.

გაკვეთილების გამოტოვება ძნელი იყო. ისეთი ზედამხედველი გეყავდა, რომ თუ უმიზეზოთ გაკვეთილებს გამოუშვებდით იმწამსვე გაექანებოდა ჩვენ შინისკენ და მიზეზს გამოიკვლევდა.

სალამოს ქამი იყო. ღარიბაშვილის ერთი ქალიშვილთაგანი სალორეს კარებთან გაჩერებულიყო და ღორებს უძახოდა, დათუნია თურმე ამ დროს ერთ განდელში იყო. ერთი საუცხოვო ბურაკი შეუტყუებია სახლში, დაუჭერია და უსულ-გულოთ ცეცხლისპირას ეგდო. სწორეთ იმ დროს ჩაუშვა დულარეში, როდესაც ღარიბაშვილის ქალიშვილმა ღორებს დაუხმო.

მეორე დღეს სანამ ინსპექტორი მივიდოდა, დათუნას ყველაფერი გაუშმენდია. ღორი კედლისაკენ

მიუწვევია ლოგინზედ, თვითონ წინიღგან მოწოლია გვერდით, სქელი საბანი წამოუხურავს და ერთ ვაი ეაგლაზში და ხენეშაშია იმ დროს, როდესაც კარები გაიღება და ინსპექტორი შეიშლის.

„დათუნია“ ინსპექტორის შემოსვლაზედ უფრო მოუმატა კენესა და ოხერა.

ინსპექტორი მივიდა და ჰკითხა:

— დღეს სკოლაში რად არ ბრძანდებოდით?

— ბატონო, კლასში რა წამომიყვანდა, რომ დილას გამაცივა და ეხლაც სიცხეში ვარ.

ინსპექტორი დარწმუნდა, რომ „დათუნია“ მართლა ავად იყო, ქუდი დაიხურა და თავის გზას გაუდგა. დათუნია იმ წამსვე წამოხტა და თავის საქმეს შეუდგა.

ეს და ამის მზგავსი ამბები მაშინდელ შეგირდების ცხოვრებაში იშვიათი მოვლენა არ იყო. შიმშილით შეწუხებულნი ეინ ყურძენს აპარავდა, ეინ ხეხილებს და ეინ კიდეე შინაურ წერილს ცხოველებს ანადგურებდა—ანგარიში არ ჰქონდა. ამ ნაირად მიდიოდა ჩვენი ცხოვრების დღენი, მაგრამ სწავლით მაინც კარგათ ესწავლობდი. ყოველ საგანში წარჩინებული ნიშნები მქონდა, სწავლაც ერთ უკეთეს და ნიჭიერ შეგირდათ დედასრულე. თფილისის სემანარიაში სწავლის გაგრძელება იმ დროს ძნელიც იყო და წასასვლელი საშუალებაც არ საიდგან მომეპოვებოდა. ისევ ღიმნაზიაში გადასვლა ვარჩიე. აქ ბედმა გამიღიმა—მეოთხე კლასშივე მიმიღეს. სწავლა აქაც არ მიჭირდა, მხოლოდ სიღარიბემ აქ კიდეე უფრო დამტან-

ჯა. ღიმნაზიის შესაფერად არც ჩაცმული, ვიყავი და არც დაბურული. ეს მთავრობას სწყენდა და ყოველ დღეს შენიშვნას მაძლევდნენ ჩაცმა დაბურვის შესახებ. როგორც, იქნა, დიდის ვაი ვაგლახით, მეშვიდე კლასამდის მივალწიე, მაგრამ აქ კი მუხთაღმა წუთისაფელმა მიმტყუნა. ცხოვრების ჩარხი უკულმა დამიტრიალდა და სიყმაწვილის აღშფოთებულმა სიტყვობებამ უკულმართ გზაზედ დამაყენა: ჩემი მომავალი ცხოვრების იმედები დამლუპველ უიმედობის ზღვის ტალღებს მიმიცა. ოხ, საბრალო ჩემო მშობლებო! კიდევ უფრო საცოდავო სანდრო ბედკრულაძე!!.

ის დრო იყო, როდესაც სიყმაწვილის უგზური გატაცებულობა და გიჟური თავ დაუჭერლობა ერთად მიფეთქავდნენ ძარღვებში და სატრფოს სიყვარულის პირველი ნაპერწკალი მომხვდა. მომხვდა, გაგმირა ჩემი ნორჩი გული და სამუდამოთ დაკოდილ დამწვარი, ყოველს იმედს მოწყვეტილი დაავდო ღეთისამარა.

ვინ მე და ვინ სიტყვების ძებნა, სიყვარულის გრძნობა, მაგრამ დახეთ მის ძალას, მის გაველენას აღამიანზედ?! კაცი, რომელსაც ჯერ კუჭი არ გაძლომოდა და სიღარიბისგან წელშიგაწყვეტილი, მხოლოდ მომავლიდ, მხიარულობდა, ვაჟკაცობდა— სიყვარულმა შეიპყრო!? სიყვარულმა მოხიბლა და ვისმა სიყვარულმა? ჯერ არც კი ვიცნობდი, არ ვიყავი მასთან დალაპარაკებული. შემოყვარდა ერთის შეხედვით, ერთის თვალის გადავლებით და ეს პირველი ნაპერწკალი ჩემს გულში დროთა ვითარების გამო გაღვივდა და ობოლ ნაკვერცხლათ იქცა. დღე

დღეზე ვიწვოდი, ტანჯვა მემატებოდა და გამწვლე-
ბელი—სიტყვით იმედის მომცემი კი არსაიღვან იყო.
ან ვინ იქნებოდა, რომ ჩემს მეტმა ეს საიღუმლო
არავინ არ იცოდა.

ყოველს კლასში წამოსვლის დროს ერთს და
იგივე ადგილას შევხვდებოდით. მორცხვით ერთმანეთს
თვალებით სიყვარულის ისარს ესტყორცნიდით, შემდეგ,
თითქო რაღაც დიდი დამნაშავენი, უცებ მოვარიდებ-
დით პირს. იმან იცოდა მე გიმნაზიელი ვიყავი და მეც
ვიცოდი ის საქალებო გიმნაზიიდან იყო. ერთმანე-
თის გვარები მეორე დღესვე გავიგეთ. ამ გვარი შე-
ხვედრა რამოდენიმე დღე გაგრძელდა. მე დიდის
მოწიწებით მსურდა გამეცნო და, შეიძლება, არც ის
იყო ამის წინააღმდეგი.

ერთხელ ღიმნაზიიდან მოვდივართ. ქ. X-ში
ჩვეულებრივი ძლიერი ქარი ჰბერავდა. ხილზედ არ
იქნებოდა. მისული, რომ ქარმა წამოუბერა და ქუდი
წაგლიჯა თავიდან. მე იმ წამსვე მივარდი, ქუდი
აეულე და მიეთავაზე, ეშხით საესე თვალეში ჩაეხედე
და კინალამ ბნელა მომივიდა. ხელი გამომიწოდა, ჩად-
ლობა მითხრა და მთხოვა ერთმანეთს ვიცნობდეთ:
კატო ლამაზაშვილის ქალი გახლავართო. მეც ღარ-
ცხენით და თითქმის ძაგძაგით მივეცი ხელი და წა-
ვიღულულულე: სანდრო ბედკრულაძე გახლავართ
მეთქი. ეს იყო და ეს—ჩვენი ნაცნობობა დაკავშირდა.

დღის შემდეგ ჩემს გულში მუდმივი ბინა იყო
ლამაზი და უმანკო კატოსათვის. ჩემს ფიქრს მეტი
საგანი არ ჰქონდა; ჩემს გონებას მარტო კატოს

მდგომარეობაზედ ეავარჯიშებდი.

გაკვეთილებს, როგორც მოგვხსენებათ, გული აეუგორე. ჩემს თვალ წინ მუდამ კატოს აჩრდილი იდგა და ბრწყინვალე ვარსკვლავის მგზავსათ სიყვარულის სავესე თვალებით ჩამომციმციმებდა.

კატო ნიჭიერი ქალი იყო, მაგრამ მშობლებს დღიური ლუკმის მეტი ღონის ძიება არ გააჩნდა. კატო ერთი მდიდარი ადგილობრივი ვაჭრის ნათლული იყო. ნათლიამ საქალებო გიმნაზიაში მისცა და მთლად მის ხარჯზედ იზრდებოდა. რამდენი დრო მიდიოდა იმდენი უფრო ვუახლოვდებოდი კატოს და გულცივით ეკიდებოდი ჩემს პირდაპირ მოვალეობას — ღიმნაზიაში სწავლას. დღე ისე როგორ გავდიოდა, რომ მისი სახე არ დამენახა.

მისგან მოწერილი პირველი წერილი, რომელიც სიკვდილის ქამს გულზედ მეცხრის და ძეგლის მაგიერობას გამიწევს, უფრო მეტი დამწველი და დამტანჯველი შეიქმნა. დარცხენილად მწერდა; „ბატონო სანდრო! რუსული ენის მასწავლებელმა ძნელი ტემა მოგვცა და იმედია ამ ტემაზედ შეეს დამიწერ და დამაყალებთ. თქვენი კატო.“ თქვენი კატოვო,“ ეს სხვისთვის, რასაკვირველია, უმნიშვნელო სიტყვებია, მაგრამ ჩემთვის კი დაუფასებელი სიმდიდრე იყო. მასში გამოიხატებოდა კატოს ჩემდამო ლტოლვილება, სურვილი დაახლოვებისა და მეგობრულ დაკავშირებისა. რამდენჯერ მისგან ბარათი მომივიდოდა, იმდენჯერ ჩემი მდგომარეობის მთელი სურათი თვალწინ მებატოდა, ორ ცეცხლშუა ვიწვოდი. ჭეშმარიტი

სიყვარული უეჭველად გამოიწვევს ადამიანისაგან ბრძოლას და ტანჯვა-წვალებას, მაგრამ სამაგიეროდ მერმეთ დაატკობს და ნეტარების ზღვაში შეატყუებსო, სთქვა ერთმა მეცნიერმა. შეიძლება ეს ასე იყოს, მაგრამ მე კი სრულებით წინააღმდეგი მაგრძნობინა უდროვო დროს სიყვარულმა. შეიძლება ეს სიყმაწვილის ბრალი იყო. სიყმაწვილეს ბევრი შეუძლია. ნეტარება იმას ვინც ამ დროს თავ დაჰყრილია, ვისაც მშობლები ან თვალ ყურის მდევნელი მოეპოვებათ. რამდენი მოსწავლე ყმაწვილები იღუპება ამ ჰასაკში და უკუღმართ გზას ადგება. ოხ, ღმერთო! ესწყეელი და ეკრულავ იმ ქაშს, როდესაც უდროვოდ პირველმა სიყვარულმა შემიპყრო?!!

რამდენი ცივი ღამეები გამიტარებია ტყატრის ახლოს, გ'ეთ კედელთან ატუზილი, სადაც უცდიდი კატოს გამოსვლას, მაშინ როდესაც ჩემი ამხანაგები ისხდნენ და მეორედლისთვის გაკვეთილებს ამზადებდნენ. კატოს სახლამდის თითქმის ნახევარი ვერსი იქნებოდა, მაგრამ ტკბილ მუსაიფში გართულნი შეუმჩნევლად გავივლიდით ზოლმე ამ მანძილს. ერთს ამ გვარ სალამოს კიდეცაა გადავსწყვიტეთ და ერთმანეთს სიტყა მივეცით ცოლ-ქმრობისა. ის უმაღლეს კლასებში სწავლობდა და ერთი წელიწადი უკლდა, მე კი მე-შვიდეში ვიყავი და უფრო მეტი მაკლდა, მაგრამ ვისლა შეეძლო სწავლა, ვინ ფიქრობდა სწავლის გაგრძელებაზედ — ღიმნაზიის გათავებაზედ, როდესაც თავში მარტო მისი სიყვარული — ტრფიალება მიტრიალებდა. მასწავლებლები ყველანი გაკვირვებულნი

იყვნენ ჩემ ასე უცებ გამოცელაზედ.

დიდ ხანს არ გაუფლოია, რომ ღიმნაზიის მარ-
თველობამ გამოამრიცხა, როგორც უნიჭო და ზარმა-
ცი შეგირდი.

შეგირდის გამოარიცხვა და მერე უმაღლეს კლა-
სებიდგან, ვინ არ იცის, რომ მშობლების გულის
გამგმირაფი ლახვარია. ამდენი ხნის შრომა-წვალება
ხარჯი და მომავალი სიხარული ერთს დღეს უფსკრულ
მორევეში ცვივა და უგზო უკვალოთ დარჩენილი შეი-
ლი გრჩებათ ხელში. კიდევ კარგი ვისაც შეძლებული
მშობლები ეყოლება, მაგრამ მე რა უნდა მექნა, რომ
არსად არაფერი არ მომეძებნებოდა. მე თვითონ უნ-
და გამომეძებნა ცხოვრების გზა, დავდგამოდი მას
და რამე ღონისძიებით თავი მერჩინა. როდესაც და-
ვიწყე ცხოვრების წყაროს აღმოჩენა, მხოლოდ მაშინ
ვიგრძნე ჩემი შეცდომა, მაშინ ვიგრძნე ცხოვრების
ჭაპნის ზიდვის სიძნელე. აქ მივედი—ცუარი მითხრეს,
იქ მივედი თუმანი—თუთხმეტი მანეთი გამიჩინეს
თვეში; მივეყე ხელი ისევ შრომას იმ აზრით, რომ
შრომა ყველგან დასაჩუქრდება და ყურადღებას მო-
მაქცევენ მეთქი, მაგრამ აქაც სიმუხთლე, პატიოსნე-
ბის დაუფასებლობა და შრომის უმნიშვნელობა და-
მიხვდა თვალწინ. აქაც სასოწარკვეთილობამ შემიპყრო.

ამ დროებში კატომაც შეასრულა კუროსი და
მასწავლებლობის დიპლომი მიიღო. ეს და იყო ეხლა
ჩემი იმედი, ყველას გულციობის და გულქევაობის
მაგიერ აქ ვგრძნობდი ალერსიან სიტყვებს, იმედებით
საესე მომავალს და მშვიდ ბინას.

დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ერთ დაბაში, რკინის გზის ახლოს კატომ კერძო სკოლა გახსნა და მიჰყო ხელი შრომას საზოგადო ასპარეზზედ. უზომო ხარჯს და შრომას პირველად ყოველი საქმე მოითხოვს—კატოს შკოლასაც ასე მოუვიდა. მინამ სკოლა საზოგადოებას რამე ნაყოფს მისცემდა და თავს გაცნობდა—კატოს ბევრი შრომა და ჭაპან წყვეტა გადასწყდა. სწორედ ფაქტურ სიმამაცით და ენერგიით შეუდგა საქმეს და კიდევაც დაავიროგინა საცდელი. მთელ იმ მაზრაში მისი მზგავსი სკოლა არსად ყოფილა და კატოსებურ პატიოსან მშრომელ ქალს ხომ ჩვენს ქვეყანაში სანთლით ვერ იპოვნიდით.

გარეგნობით—სხვისი შეხედვით, კატოს საქმე კარგათ მიდიოდა, მაგრამ ის კი არ იცოდენ თუ რა ცეცხლი ენთო კატოს გულში.

რკინის გზის სადგურის უფროსი კარგი ნაცნობი იყო კატოსი. მის შემწეობით ორ თუმნიანი ადგილი ეიშოვნენ სადგურში. გახსოვს პირველი ჩვენი გაცნობა?! ყოველ დღე ეხლაერთად ვიყავით. ჯვარის წერას ეხლა აღარაფერი არ გვიშლიდა, მაგრამ თითქო ერთმანეთის თქმას უყურებდით. ამის შესახებ არცერთი კრინტს არ ეძრავდით. მე ჩემი მომავალი მაშინებდა; შეძლება არაფერი მქონდა და ჯამაგირიც ისეთი მცირე, რომ დღე დღეზედ ძლიეს გამოვდიოდი. კატოც, ალბათ, ამასევე ფიქრობდა.

ერთ საღამოს ზალაში მაგიდას უსხედით და ჩაის შევექცეოდით.

ქართული გაზეთი ხელში ავიღე და რაღაც

კარგი ამბავი წაიკითხე, შემდეგ გაზეთი დადევნი და კატოს მიემართე:

—კატო! ერთი აზრი მომივიდა, თუ შენც მოგეწონება.

—რა, მკითხა კატომ.

—ხომ კარგათ იცი ჩემო კარგო, რომ ნიჭი არ მაკლია, მხოლოდ შემთხვევას ამ მდგომარეობაში ჩაუვადივარ. ჩემს მდგომარეობას შენც ხედავ. საქმეს თუ ეაგვიანებ—მიზეზიც ეს არის. მაღალ სასწავლებელში მინდა წავიდე თავისუფალ მსმენელად. შენის შრომით, იმელი მაქვს, გაიჭირებ და რაც შეიძლება ცოტაოდენს დამეხმარები; მერწმუნე კატო, ან თავს შევესწირავ და ან „დიპლომია“ შინ დაებრუნდები.

კატოს ეს ამბავი ძლიერ ესიამოვნა, სიხარულით არ იცოდა რა ექნა. იმ წამსვე მომცა ფიცი, მთელი თვის ჯამაგირს თვითონ მოიკლებს და მე მიგზავნის. შრომით თავს არ დავიზოგავ და უკანასკნელ გროშს შენ მოგაწედი ოღონდ ეგ აზრი შეასრულებო, ოღონდ სხვის სასაძინოდ ნუ გამზდიო, მითხრა კატომ. ეს იყო და ეს ესტეკით და გადავსწყვეტეთ კიდევაც.

მეორე დღეს სადგურის ფუროსმა ხელის მოწერა გამართა ჩემ სასარგებლოდ და გზის ფული შემეიგროვეს. ოხ, ნეტავ იმ დროს, როდესაც X-ის რკინის გზის-სადგურზედ უკანასკნელად გამომესალმა ძვირფასი კატო და რუსეთისაკენ გზა დამილოცა!!

რუსეთის ჰაერმა ძრეელ ცდიუ გაველ. იქონია ჩემ ისეთაც დასუსტებულ აგებულებაზედ; როგორც

ბუნებაში, ისე ხალხმაც ძლიერ გულცივით მიმიღო. მაგრამ მე მაინც ჩემსას არ ვიშლიდი; მთელს გრძელ ღამეებს შრომა-მაცადინებაში ვათენებდი.

სიმშვილი აქ კიდევ უფრო საგრძნობელი შეეძენა. კატოსაგან ყოველ თვეში ოცი მანეთი მომდიოდა, მაგრამ რას უნდა ყოფნოდა ეს ფული. წიგნებს, სასმელ-საჭმელს თუ ბინას.

იმდენათ კუჭის საქმე არ მანაღვლიანებდა, რამდენათ ჭაერის აუტანლობა, ჩემი დასუსტება და ამის გამო შეუძლებლობა ეგზამენის დაჭერისა.

ყოველ ღამე ეს შქონდა სადარდელი: ჩუი თუ ჭაერმა კიდევ უფრო მიჰუხთლოს და ისევ იგივე სანდრო დაებრუნდეს შინ მეთქი. მაგრამ იმწამსვე წინააღმდეგი ფიქრები მომდიოდნენ. „არა, ნუ დარდობ 'მე ბედშავო ჩემო გულო, მინამ უკანასკნელი გროში გექნება ვიშრომებ, ვიტანჯვი და შინ დაბრუნებას აქ სიკვდილი სჯობია მეთქი. იტყვიან მაინც სწავლაში დალია თავის სიცოცხლის ღღენიო. როგორც დრო მიდიოდა ისე უფრო და უფრო ვსუსტდებოდი, მეცადინეობის ღონისძიება მეკარგოდა და ხშირად წიგნების კითხვის დროს ამხანაგები გადაქცეულს და სრულებით გულ შეწუხებულს, უგრძნობლად ჩაეარდნის მნახავდნენ.

ჩემს სისუსტეს და უძლოურ გულის კიდევ უფრო გამგძირავი ლახვარი მოხვდა და საუკუნოთ დაკოდა — დაშავა იგი. ამ დროებში კატოსაგან ბარათი მივიღე, სადაც რამოდენიმე სიტყვებით მწერდა:

„გავცივდი, ლოგინში ვწევარ. ექიმები თავს

მასეცია. ამ თვეში რამე ფრად იოლად წადი. ჩემგან ნურაფერს მოელო. თუ მოერჩი კვლავ განვაგრძებ დანაპირებს, თუ არა და ეს იქნება ჩემი უკანასკნელი სიტყვებიო.“

ენას არ შეუძლია გამოთქვას ის გრძნობა და სულის აღელვება, რომელიც ჩემში ტრიალებდა ამ ბარათის წაკითხვის დროს. ენა ჩავარდნილმა, ათრთოლებულმა დაეგდევ მაგიდაზედ ბარათი, დაედე თავი და მოესდევ ქეითინს. ესტიროდი მწარის ცრემლით, ესტიროდი ჩემს ბედს, კატოს სიმშენიერეს დაკარგვას, ჩემს დაუძლოურებას ამ გაუტანელ ადრის სენისაგან და შემზრალე—იმედის მომცემი არ საიდგან იყო.

ამის შემდეგ კატოსაგან ბარათი არ მომსვლია. ორი თვე კიდევ ამხანაგებმა—სტუდენტებმა შემინახეს. შემდეგ სამგზავრო ფული შემიგროვეს და სამშობლოსკენ გამომისტუმრეს.

რკინის გზის ერთ სადგურში აი ეს ქართული ძველი გაზეთი ვიყიდი და შემთხვევით ამ შავ განცხადებას თვალი გადავაეცი: „დღეს ჭავჭავაძის *ის წმ. გიორგის ეკლესიაში გამოასვენებენ ახლად გარდაცვალებულის X-ის სახალხო შკოლის მასწავლებლის კატო ლამაზაშვილის გვამს. სთხოვენ ნათესავთ და ნაცნობთ მობრძანდნენ და დაესწრონ დასაფლავებას“.

სიტყვა ეს, გაზეთი გადმომიგდო და თვითონ კი გულ დასაუთუტავ ქეითინს მიჰყო ხელი. ამ დროს იმ სადგურსაც მიეუახლოვდით, სდაც უნდა ჩამომხდარიყო ჩვენი თანამგზავრი. ჩვეულებრივით ორთქ-

ლით მატარებელმა კივილ ჩხივილით გვაცნობა სადგურის მიახლოვება, იქიდანაც ზარის ხმით აცნობეს: შობრძანდით, მზათ განლაგართო. სანდრომ თავისი ხაბაკი გადაიტანა და გრძნობით გამომემშვიდობა. ჰაერის გამოცვლაზედ ხელება აუტყდა და სუსტის ხმით მითხრა: „ღმერთმა ჰქნას კიდეც ერთად გვემგზავროსო, მაგრამ ან კი საიდგანო... და გამომემშვიდობა.

ჩემი მოგზაურობა ორი თვე არ გაგრძელებულა. გზაში სულ ამ ყმაწვილის მდგომარეობაზედ ვფიქრობდი. აქითობას უეჭველად მინდოდა მისი ამბის შეტყობა. X-ის რკინის გზის სადგურიდან ბლომით ჩასხდნენ მგზავრები. იმათში უმეტესათ გლეხები იყვნენ. ჩასხდნენ თუ არა „ვაგონში“, ერთი გლეხი მეორეს ეკითხება:

—გოგიავე, კაცო, ე რა საცოდაობა დატრიალებულა თქვენი მღვდლის ოჯახში?

—ჰო, და ღმერთო ჩემო, როგორ დაიღუპა საცოდავი მამა ივანე. რა სიბერის დღე ეწია საბრალოს. სიღარიბეს, სიბრმავე და თან ღრმით მოხუცებულობას ეს უბედურებაც თან დააწყდა. მიუგო გოგია.

—უბედურება და რა უბედურება მერე! ის რაღაც „ლივერია“, ის გამჟღად მკედარი, ში კაკალ საფეთქელში უკრავს საცოდაეს. ამბობენ ვიღაც ქალი უყვარდაო. ნეტა ნაკურთხი მიწა მაინც ღირსებოდა. სადღაც ღობის ძირში დაუსაფლავებიათ. ჩამოერია

მუსაიფში მესამე გლეხიც. გლეხების ამ გვარმა ლაპარაკმა ჩემი ყურადღებაც მიიქცია. მივედი ერთ იმათგანთან და ეკითხე: — ვინ იყო ეს ყმაწვილი, რომ თავი მოუკლავს მეთქი და მიპასუხეს. — ჩვენი მღვდლის შვილი, სანდრო ბედკრულაძე გახლდათო.

მკითხველი ალბათ კარგათ იციოხს ვინ იყო ეს სანდრო ბედკრულაძე. ეს ის ყმაწვილი გახლდათ, რომელიც ამ ორი თვის წინეთ რკინის გზაში შემხვდა, გამიცნო და თავის ვინაობის ამბავი მომიყვა.



საშინელი პალი.

საშინელი ვაღი. (*)

(აფხაზური ლეგენდა.)

აფხაზეთის ერთს პატარა სოფელში, რომელიც მდებარეობს მშვენიერ მთა გორიან ადგილზე, სცხოვრებდა ლამაზი ქალი რატი. ამ სოფლის მამასახლისის ურსანს ეს ქალი გაგიჟებით უყვარდა და კიდევაც უნდოდა ცოლად შეერთო. ურსანი შეხედულობით, მამაცობით და სილამაზით თავის სამამასახლისოში განთქმული ბიჭი იყო და რატსაც მოსწონდა, მაგრამ მისდამი განსაკუთრებითი სიყვარულს მაინც არ გრძნობდა ჯერ მისი ნორჩი გული.

რატი იყო ძრიელ ყმაწვილი ქალი. თოთხმეტი თუთხმეტი წლის თუ იქნებოდა. ცხოვრების გამო ჯერ არ ენახა და სრული კმაყოფილი იყო. თავისი ხვედრისა. თუმცა დიდი ხნის შეთარჯული იყო ურსანისაგან, მაგრამ გათხოვებას ვერც კი გაუმხელდა კაცი. როდესაც ურსანმა წინადადება მისცა ცოლად შეერთვისა — რატიმ არც ჰო, უთხრა და არც არა. რატი ობოლი იყო, მას ყვანდა მხოლოდ ერთი ძმა, რომელიც ერთი წლით თუ იქნებოდა მაზე უფროსი. რატს გასაოცრად უყვარდა თავისი ძმა. იმ დროს აფხაზების და წებელდელების შორის ნიადაგ დაუტ-

*) ეს ლეგენდა ერთ რუსულ ჟურნალში იყო დაბეჭდილი.

ხრომელი ჩხუბი და მტრობა იყო, რატის ძმა, რადგან პატარა იყო, ერთხელაც არ წაჰყოლია თავის მეზობლებს წებელღლებთან საომრად და მოწიწებით მოელოდა იმ დროს, როდესაც მათზე გულს იჯერებდა.

ურსანი შეჰპირდა რატის ძმას, წებელღლებთან საომრად წაყვანას. აი წასვლის დროც მოვიდა. მეზობლები წასასვლელად ემზადებიან. რატის ძმაც მოემზადა. მიდის. წასვლის წინ ურსანმა კიდევ განუმეორა რატს თავისი წინადადება. — აი, ხომ ხედავ, ჩემო ძვირფასო რატი, დღეს მივდივართ საომრათ. იქიდგან ან დაებრუნდებით ცოცხალი და ან არა. მოკცო სიტყვა, რომ, თუ ცოცხალი დაებრუნდე, ჩემი ცოლი იქნები. მომეცო სიტყვა, როშელიც გამაზენდიერებს და უფრო გამამხნევეს ომის დროს! ნუ მეპურობი აგრე გულ-ცივად, შედი ჩემ მდგომარეობაში, შემობრალე მე ბედკრული და საცოდავი. ამ სიტყვის დროს დინჯი და ვაჟკაცურათ წამოსადევი მამასახლისი გის — ურსანი, ისე დაბალის და ნაზის ხმით ემუსაიფებოდა რატის, რომ მისი გული და გრძნობაც უნებლიე დავიწყებას შეეცა, სრული სიყვარულის თანაგრძნობა გამოუტყადა.

რატიმ აღერსიანათ გადახედა თავის ლამაზ საქმროს და უთხრა: — კარგი, გის — ურსან, მე თანახმა ვარ შენი ცოლობის, მხოლოდ შემდეგის პირობით: შენ მიგყავს ჩემი ძმა საომრად, მომეცო სიტყვა, რომ მას დაიფარავ სიკვდილისაგან და ისევ ცოცხალს მომგერი. თუმც ბედი უღალატებს და მომიკლენ იმ

შემთხვევაში, თავი მაინც მომიტანე, რომ უკანასკნელად გამოვესაღმო ჩემს ძვირფას ძმას და აქ თავის სამშობლო დედა მიწას საუკუნოთ მივაბარო.

— შენს თავს ეფიცავარ, რატი, შეგისრულებ მაგ შენ სურვილს! მიუგო ურსონმა. შენ ამითი სულო, დიდი ლოდი ააშორე ჩემს გულს. ახლა თუ გინდა მთელი წებელდა ჩემს წინააღმდეგ მოვიდეს, მაინც არ მეშინია, რადგან შენ ჩემი იქნები და ესეც კმარა ჩემთვის გამარჯვებათ.

დაიარაღებული აფხაზები გამოვიდნენ სოფლიდან და დიდის სიფრთხილით დაუპირეს წებელდებებს თავზე დაცემა, მაგრამ ფიცმა და ფრთხილმა წებელდებლებმაც გაიგეს აფხაზების მოსვლა და ისინიც დაიარაღებულნი და საომრათ სრული მომზადებული დახედნენ.

გავიდა რამოდენიმე წამი და შეიქნა საშინელი ჩხუბი და ვაი ვაგლაზი. ორივე მხრით მრავალი დაიხოცა, ასე, რომ მინდორი, სადაც ეს საშინელი ჩხუბი მოხდა, ერთი საათის შემდეგ მთლათ დაფარული იყო თუ მკედრებით და თუ დაჭრილი აფხაზებით. ურსანს ერთი ნაბიჯიც არ დაუხვია უკან ისე ეაყკაცურად და მამაცურად უდგა თავის ამხანაგებს წინ და ომობდა. რატის ძმა გვერდით უდგა და არ იშორებდა. მაგრამ დახე, გაუტანელ ბედსა! ცხელი ტყვია ურსანს ბეჭში მოარტყეს და დაჭრილი, დაქანცული პირქვე ჩავარდა მკედრებ ამხანაგებში. ურსანი ისე დასუსტებული იყო დაჭრილობასაგან, რომ არ შეეძლო რაიმე ნაწილი თავის სხეულისა გაენძრია,

არ შეეძლო თავისით გადაბრუნებულ გადმობრუნებულიყო და ამ ნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როდესაც ნისლ გადაკრული თვალი მოჰკრა რატის ძმას, რომელიც დიდ ხანს მამაცურად ებრძოდა ერთს წებელდელს, მაგრამ ბოლოს სძლია ბოროტმა, დასცა პირქვე, მოჰკვეთა თავი, ჩაიღო ტომარში და გაუდგა გზასა. ურსანმა შეხედა თუ არა ამას ერთ საშინლად ამოიოხრა იმ წამსვე გული წაუვიდა და სრულიად გრძნობა დაჰკარგა. რამოდენიმე საათის შემდეგ ურსანი გონზე მოვიდა ადგა, მიხედ-მოიხედა თავის გარშემო. მაგრამ აღარც თავისიანები და აღარც მტერთაგანი იქ არავინ მოიპოვებოდა, ურსანის ირგვლივ რაღაც სიჩუმე და წარმოუდგენელი ღუმილი სუფევდა. ურსანი ეგდო მკედრებთან, საღაც თავისი დაუფიწყარი რატის ძმაც თავმოჭრილი იქვე ახლო ეგდო. ურსანმა შეხედა თუ არა რატის ძმის თავე მოჭრილ გვამს ყველაფერი გაახსენდა; რაღაც უხილავი ბოლმა მოაწვა გულზე და შეუბრალებლათ ჰქენჯნა დაუწყო.

„რა უნდა ეჰქნა მე საბრალომ, რა პირით უნდა დაებრუნდე ჩემ სოფელში და რა თვალთ შევხედო ჩემს ტურფა რატის!“

მე შეეფიცე რატის ძმის ან ცოცხლივ და ან მკედრად თავის მოტანას. რაღა ეჰქნა ეხლა, რომ ფიცის შესრულება არ შემიძლია. ეს ჩემთვის დიდი სირცხვილი და თავის მოჭრაა!

რაღა პირით უნდა გამოვიდე ჩემი სოფლის საზოგადოებაში. ნუ თუ ყველა ზიზღით არ დამიწყებს

ცქერას. ნუ თუ ყმაწვილების თითის საჩვენებელი არ გავხდები, როგორც სატრფოს მოლალატე, ფიცის გამტეხი და ლაჩარი! ოხ, რატი! რატი, შენ გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე!“ სთქვა ეს და თვალებიდგან მწარე ცრემლები გადმოუშვა, რადგან აქ გაახსენდა ყოველი ფერი, რასაც თავის ძვირფასს რატზე ჰფიქრობდა. „ერთილა დამრჩენია, კენესით ამოიოხრა ურსანმა, ავიღო ხანჯალი და ჩაეიკრა გულში, რომელსაც მწარე დარღები ასე ჰგლეჯენ და აწყუხებენ.“ სთქვა ეს და წაიღო ხელი ხანჯლისკენ, რომ ჩაეიკრა გულში და სამუდამოთ გამოთხოვებოდა თავის რატის. მაგრამ უეცრივ ეილაც უცნობის ხმა მოესმა: — დადგე! გააგდე ხელიდგან ხანჯალი! შე საცოდაო, ასე უბრალოდ რათ ეთხოვები ქვეყანას! ურსანმა განცვიფრებით აიხედა ზევით და დაინახა, რომ მის წინ იდგა მაღალი, მშვენიერი ტანადი წებელღელი ახალგაზდა კაცი, რომლის დაღვრემილი სახე და მაყვალივით შავი, ცეცხლის მსროლელი თვალები ნათლად ამ ტკიცებდნენ მის სიმამაცეს და ვინაობას. ამ კაცის დანახვით ურსანს ტანში რალაც მოულოდნელმა ქრუანტელმა გაურბინა. ეს ყმაწვილი სდგას და ურსანს ეუბნება: — შე საბრალოც! ნუ თუ არ იცი, რომ ქვეყანაზე არის ისეთი ძალა. რომელსაც შეუძლია შენი ბედნიერების დაბრუნება?! — იმისთანა ძალა, ქვეყანაზე არ იქნება, რომ ჩემი ბედნიერება უკანვე დამიბრუნოს! სასოწარკვეთილებით სთქვა ურსანმა და ხელ ახლავ წაიღო ხანჯლისკენ ხელი. — მთის ბოროტი სული? რალაც უცნაურის სიცილით უთხრა

ახალ გაზღამ. შენ მხოლოდ ახსენე მისი სახელი და ამწამში აქვე გაჩნდება და გიშველის... ურსანს ხან-ჯალი ხელიდგან გაუარდა, — „მთის ბოროტი სული,“ განიშვორა ურსანმა, და თან მოიგონა ის ლექსი, რომლითაც მოიწოდებენ ხოლმე მას, ჩაეარდა რაღაც დავიწყებაში და მოჰყვა ჩუმად ამ ლექსის კითხვას. უეცრივ ერთი საშინელი ხარხარი მოისმა და ბანი მისცა მას მთელმა გარშემო მთაველობამ. ახალ გაზღა უცნობმა კაცმა გადიხადა ნაბადი და ურსანმა განცეიფრებით დაინახა თავისი ძვირფასი რატის ძმის თავი. — აი შენი რატის ძმის თავი! წაიღე, უთხრა ახალ გაზღამ და მკედლის თავი ურსანს კალთაში ჩაუგდო. — მე შევესრულე შენი სურვილი... მე შენ ისეთი საჩუქარი მოგვცი, რომელიც ღღეს შენთვის ყველაზე უძვირფასესია, მაგრამ გახსოვდეს, რომ ღღეს შემდეგ ჩემი მოვალე იქნები. ათ წლამდე ხმასაც არ გაგცემ და როდესაც ათი წელიწადი შეგისრულდება — ისეთ რამეს წაუკრთმევ, რომელიც შენთვის იმ დროს ასეთივე ძვირფასი იქნება. სთქვა ეს და უზილავედ გაქრა უცნობი ახალ გაზღა. ურსანმა ჭრილობა შეიკრა, ჩაიღო სისხლით გათხერილი თავი ტომარში, რომელიც მთიულ ხალხს ყოველთვის გვერდზედ აქვს ჩამოკიდებული, და ნელის ნაბიჯით გაუდგა გზას თავისი სამშობლო სოფლისკენ. მთელი მისი სამამასახლისო დიდი ახტაცებით მიეგებენ ურსანს, რადგან იქიდგან დაბრუნებულმა აფხაზებმა სთქვეს, რომ ურსანი და რატის ძმა ორთავენი ბრძოლის ველზედ მკედრები ჰყრიანო.

მაგრამ ურსანს ამათი აღერსისთვის ყური არ უთხოვებია; მოსეღისთანავე გაექანა საბრალო რატის სახლისკენ, სადაც გულ დაშწვარი რატი იჯდა და სტიროდა თავის საყვარელ ძმას. რატმა დაინახა თუ არა თავისი ძმის მოჭრილი და სისხლით გასერილი თავი, უფრო გული დაეწვა და მწუხარებით იტანჯებოდა, მაგრამ ურსანი ყოველს დღეს ნუგეშს აძლევდა და ამშვიდებდა. ბოლოს, როგორც იქნა, რატიმ მწუხარებით გული მოიჯერა და თავის საქმროს ურსანს მიუბრუნდა და უთხრა: — შენ ხომ შესარულე შენი ფიცი, ჩემო კარგო, მაგრამ მეც უნდა შეგისრულო ჩემი დანაპირები. — არა ჩემო მტრედო! შენ თუ მისთვის მომყევები ცოლად, რომ სიტყვა მომეცი და შენი სიტყვა უნდა შესრულო, ეს მე არ მსურს და სრულიად თავისუფალი ბრძანდებით. რა ცოლი იქნები წყნ ჩემი, მაშინ, როდესაც ძალდატანებით მომყევები და არა ჩემდამი ნამდვილის ცოლ-ქმურის სიყვარულით. ურსანი სრულიად ბედნიერად თვლიდა თავის თავს მხოლოდ ერთი ეს აწუხებდა, რომ რატის არ უმხელდა იმ შემთხვევას, რომელმაც ფიცი არ დაარღვევია და ეს ბედნიერება მიანიჭა. მალე ჯვარის დაწერის დროც დანიშნეს მთელი სოფელი მონაწილეობას იღებდა ამ დღესასწაულობაში. ურსანი ბედნიერად სცხოვრებდა და თითქმის კიდევაც დააფიქვდა ის საშინელი ვალი; რომელიც უცნობმა წებელდელმა აღუთქვა: „ათის წლის შემდეგ გადაგახთეინებო.“ გავიდა ათი წელიწადი. ურსანი უწინდულად ბედნიერად სცხოვრებდა! მხოლოდ ეს უწუ

ხებდა გულს, რომ შვილი არ ჰყავდა.—ახ, ნეტა შვილი გვეყოლებოდეს! ხშირად ამოოხერით იტყოდა ხოლმე ურსანი. მათი სურვილი მალე შესრულდა. მეთე წელიწადზე დაებადათ მშვენიერი ვაჟი. ურსანი ახლა კიდევ უფრო ბედნიერად სთვლიდა თავს.

ურსანმა და რატმა მაშინვე მოძებნეს, ჩვეულებრივსამებრ, თავისი შვილისთვის მდიდარი აღმზრდელი. ყმაწვილის მიცემის დროც დანიშნეს, რომელიც უსათუოთ დიდის ღღესასწაულით და შექცევით უნდა გაეტარებინათ. ერთის დღის წინეთ ყმაწვილის მიცემისა, ურსანს ტკბილად დაეძინა თავის ოთახში. კარგა ხანს ეძინა. შემდეგ უეცრივ ძილში ვილაც უცნობის ხმა მოესმა. ურსანმა მსწრაფლ გამოიღვიძა. ის იყო მტრედის ფრად თენდებოდა და რა შეხედა: მის ნამძინარეს თვალებს წინ წამოუდგა რალაც უცნობი ადამიანის სახე, რომელიც მთლად წებელდელს ჰგავდა, რომელმაც რატის ძმის თავი დაუბრუნა. „ათი წელიწადი გავიდა, გესმის ურსან! დასტკბა მთის ბოროტმა სულმა, ხეალ ჩემი ვალი უნდა გადამიხადო!“ ურსანი შიშისაგან რალაც დაეიწყებას მიეცა შემდეგ გამოფხიზლდა და განცვიფრებული ჰფიქრობდა თავისთვის: ნუ თუ ეს ცხადია! ნუ თუ ეს მართლა სიზმარი არ არის!! არა, ეს ნამდვილი სიზმარია. ამით ანუგეშებდა გულს და სცდილობდა ყველაფერი, რაც შეიძლება, დაევიწყნა. მოვიდა ყმაწვილის გადაცემის დროც. შეიკრიბენ მეზობლები და დიდი ღღესასწაულით მიიბარეს ყმაწვილი აღმზრდელს. რატიც დიდის მწუხარებით გამოემშვიდობა თავის შვილს. აღმზრდელმა

აიყვანა ყმაწვილი და გაუღდა გზას. ამ დროს მოწმენდილ მოკაშკაშებულ ცაზე რაღაც შავი წერტილი გამოჩნდა. ეს წერტილი თანდათან დაუახლოვდა ყმაწვილს და როდესაც ახლოს მოვიდა, ნახეს, რომ საშინელი ფრინველი—არწივი იყო, რომელიც შეუბრალებლათ დაეცა აღმზრდელს, გამოგლიჯა ხელში ყმაწვილი, შეისხა ფრთებზე და დაიკარგა თვალ უწვლენელ ცის ჰორიზონტში. უეცარმა მწუხარებამ შეიპყრო ყველანი. რატი მწარეცრემლით სტიროდა, არ იცოდა რა ექნა. ურსანი იმწამსვე მიხვდა, ამ შემთხვევის მიზეზს; გამოეარდა ქოხიდან და გაუღდა მთებში, რომ ენახა მთის ბოროტი სული და წაერთმია თავისი ძვირფასი შვილი. ურსანი დიდ ხანს დახეტიალებდა მთებში და მიუღალ ადგილებში, იკვებებოდა შინდერის ხილით და სევამდა მჩქეფარე წყაროს წყალს. ბევრი სიარულის შემდეგ ავიდა ისეთ მთების წვეროზე, სადაც ჯერ ადამიანის ფეხი არ დადგმულა. იარა დიდ ხანს ასე უგზო უკვლოთ და შემდეგ უეცრივ სადღაც შორს მოესმა თავისი შვილის ტირილი და მთის ბოროტი სულის სიცილი. ურსანმა სული შეიგუბა, ყური დაუგდო და მთლად სმენათ გარდაიქცა. მაგრამ ამ დროს, როგორც ყმაწვილის ტირილი ისე ბოროტი სულის სიცილი უცფად შეწყდა. გარშემო ბუნება მიდუმებული იყო, ყველგან სიჩუმე და მყუდროება სუფევდა, მხოლოდ მთის ქვევით მოისმოდა მონადირის თოფის ხმა და ზევით არწივის ფართხალი. ერთხელ ურსანს ისე ახლოს მოესმა თავისი შვილის ტირილი რომ აღტაცებით შეუტია

და კინალამ იქვე მჩქევნარ მდინარის პირზედ უფსკრულში არ გააღინა გლეჯა. გაიხედ გამოიხედა ურსანმა და შეხედა თავის შვილს, მჯდომარეს ერთ კლდის იმისთანა ადგილას, სადაც ადამიანს მისეღა არ შეეძლო. ყმაწვილი არ ტიროდა, იჯდა გაბრწყინებული მზის სხივებით და თამაშობდა მშვენიერ ძვირფასის სათამაშოებით. ზევით მთის ბოროტი სული ადგა და სასიამოვნოთ „ნანას“ დამღეროდა. სასიამოვნო გრილი ნიაფი ჰქროდა და ბოროტი სული გარშემო ახვევდა თავის გრძელ და მაყალიფით „შავ თმას და ამ გრძელ თმებში გამოსჩანდა მისი უფერული სახე და ცეცხლის მსგავსი გამომეტყველი თვალები. ურსანმა ვერ მოითმინა ამდენი ცქერა. ერთიც ამოიოხრა და შეხოხდა ამ კლდის წვერზე. მაგრამ ამ დროს შეიქნა რალაც უცნაური სიცილი. ურსანი უნებლიეთ ჩამოვარდა ისევ ძირს და დაჰკარგა გრძნობა.—ურსანს მეორე დღესაც ასე დაემართა. ბოროტი სული აძლევდა ნებას ბედკრულ მამას მხოლოდ შორიდგან ეცქირა თავისი შვილისთვის და ეალერსნა. ყოველთვის ურსანი, როგორც კი მიუახლოვდებოდა თავის შვილს და ხელის მოკიდებას დააპირებდა, იმ წამსვე, რალაც მოულოდნელი თვლენა მოუვიდოდა ურსანს და დაეძინებოდა. ბოლოს, რომ ვეღარა გააწყო რა, ურსანმა გადასწყვიტა თავის დანებება და სხვა რამე საშუალების მოგონება. ურსანს გაახსენდა, რომ მის სოფლის ახლო არის განთქმული ღონიერი სიმამაციით და გაბედულობით ეინმე შირარი, რომელსაც მხოლოდ შეუძლია მისი შვილის ბოროტი სულისგან

წა'თმევა. გაახსენდა აგრეთვე, რომ შინ ჰქონდა მას დიდ ტარიანი ხანჯალი, რომელიც ომში ერთს ქრისტიანს წაართვა და რომელმაც ამ ხანჯალზე უამბო: ეს ისეთი იარაღია, რომ რაც უნდა მთის ბოროტი სული იყოს თუ დაინახა იმ წამსვე წეწა გლეჯას დაიწყებსო, თითქო ცეცხლითა სწვავენო.

ურსანმა მონახა გამოჩენილი შირარი. უამბო თავის უბედურების ამბავი და სთხოვა დახმარება, შირარი იმ წამსვე დაეთანხმა და გადასწყევითა მთის ბოროტი სულის პირდაპირ შეტაკება და ყმაწვილის წართმევა.

წავიდნენ ორთავენი მთაში, გაიარეს რამოდენიმე მანძილი და უეცრივ ყმაწვილის ხმა შემოესმათ და მასთან მთის ბოროტი სულის ტკბილი „ნანას“ მღერა.

— მშვიდობით ურსან! მომეცი მაგ ხანჯალი და შენ აქ მომიცადე. ახლა დაერწმუნდები იმ ქრისტიანის სიტყვებში რომელმაც მიაშბო, რომ მთის ბოროტ სულს ხანჯლის და ჯვარის ძრიელ ეშინიაო.

უთხრა ეს სიტყვები და ჯეირანივით შეეარდა კლდეზე, ერთი კლდიდან მეორეზე ავიდა და ცოტალა მანძილი დაჩა მთლად წვერამდის ასასვლელად; როდესაც მუხლებში რაღაც სისუტე იგრძნო, შეამჩნია, რომ ჩაღაც უნებლიე ძილი ეპარება მის თვალებს და იწყებს თვლივას. მაგრამ შირარმა მაშინვე თვალები გადიწმინდა და ურსანის უბედურებაზე და მის ქრისტიანის ხანჯალზე დაიწყო ფიქრი. შეიხვია თავი ბაშლაყით, რომ მისმა ყურებმა არ გაიგონოს

იმ მომხიბლავი „ნანას“ ხმები, რომელსაც მთის ბოროტი სული უგალობდა ურსანის შვილს; ამ ნაირად შირარი თანდათან ზევით და ზევით მიდიოდა კლდეზე: ერთი ნაბიჯიც კიდევ და მივა. იმ ადგილას, სადაც ზის ყმაწვილი და თამაშობს! მაგრამ უეცრივ სურათი გამოიცვალა. მის წინ, ორი ნაბიჯის სიშორეს, დგას მშვენიერი, კეკლუტი ახალ-გაზდა აფხაზის ქალი, რომელსაც ძვირფასი და გამჭერეტი ტანისამოსი აცვია და ისე ბრწყინავს, რომ შირარს ადვილად შეუძლია მისი თითოეული ძარღვი დაითვალოს.

გნცვიფრდა შირარი, ის იყო ბოროტმა სულმა დაიმორჩილა, მაგრამ დახე ბედსა!

შირარს გაახსენდა თავისი ხანჯალი, წაიღო ხელი ხანჯლისკენ და ეს მშვენიერება უეცრივ თვალიდგან გაქრა. ერთიც შეჰკივლა შირარმა, შეხტა ზევით და რამოდენიმე წამის შემდეგ მთის ბოროტის სულის წინ იდგა.

ბოროტი სული წამოვარდა, წაეღო ხელი ყმაწვილს და სურდა იქვე უფსკრულ კლდეში გადაეგდო. შირარი უნებლიეთ შეჩერდა. მაშინ ბოროტმა სულმა ისევ დასდვა ყმაწვილი ყვავილებზე.

შირარის გაუბედაობა დიდი ხანი არ გაგრძელებულა: ქვევრიდან მოესმა ურსანის ტირილი და ოხერა. ამით უფრო გამხსნედა. შირარმა გადატეხა ჯვრის ტარი ხანჯალს და წყველა-კრულვით გამოეკიდა ბოროტ სულს. ესროლა ხანჯლის ტარი... იკივლა ბოროტმა სულმა და შეიძრა მთელი გარეშეშო უზარ-მაზარი კლდეები.

ბოროტმა სულმა მიატოვა იქვე ყმაწვილი და უხილავათ, კივილ-ჩხივილით გადავარდა უფსკრულ კლდე-ღრეში. შირარმა მოჰკიდა მაგრათ ხელი ყმაწვილს და ჩამოვიდა მშვიდობით თავის მეგობარ ურსანთან, რომელიც ჰხედავდა თავის შვილს და არ ჯეროდა თუ ნამდვილ მისი შვილის ნახვის ღირსი კიდევ როდისმე შეიქნებოდა. არ იცოდა დიდ ხანს სიზმარში იყო თუ ცხადში.

ათხაზები ამბობენ, რომ იმ ადგილიდან, რომელსაც ეძახიან „შაითან-საინაბრიკ“ ესე იგი „აუთ მყოფ ბოროტი სულის კლდე“ ახლაც დრო გამაშეებით ისმის გულ დამწვავე კენესა და ოხერა მთის ბოროტი სულისაო,

ოქროს გული

ოქროს გული.

(მოთხრობა რუსულ-იდგან.)

I

სოფლის მღვდლის პატარა სახლში, ხატების წინ ბრწყინვალეთ ანათებდა კანდელი. ფიცრებით იყო გატიხრული ეს სახლი ორ ოთახათ: დარბაზთ და საწოლ ოთახთ, საიდგანაც მოისმოდა მძინარე კაცის ხერინვა. მესამე პატარა ოთახიდგან, სადაც ტანისამოსები ეკიდა, მოისმოდა მოხუცებული ქალის ლოცვის მსგავსი სიტყვები: „ყოვლად წმიდაო ღვთის-მშობელო, მომიტევე მე ცოდვილსა!“ კედლის საათი მართა ათს საათს აჩვენებდა; გვიან არ იყო, მაგრამ მთელი სოფელი ღრმა ძილით იყო მოცული; მხოლოდ მღვდლის სახლში, ხატების წინ, კიდევ ანათებდა სანთელი, სადაც ოთხ-კუთხიან სტოლს აქეთ-იქით უსხდა თეთრ ხალათებში ჩაცმული ორი პირი. მშვენიერათ გაწმენდილი იატაკი, დაფარული ფარდაგებით. კედლები რელიგიოზურ შინაარსიან სურათებით შემკულნი და ღამის სიმშვიდეს, სწორეთ რომ რაღაც შესანიშნავ სილამაზეს ჰყენდა სოფლის მღვდლის სახლს. სახლი, განათებული სანთლებით, მოაგონებდა

კაცს რომელიმე მოხუცი ბერის წყნარ ბინას, ვიდრე მეოჯახისას. თეთრ ხალათებში მსხდომნი მობაასენიკ დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდნენ კაცზე ამ მშვენიერ ღამეში. ერთი იმათგანი თმით და წვერ-ულვაშით თავის პერანგის მზგავსათ იყო გათეთრებული, მეორე კი მაყვალსავით შავი თვალებით და თმით იყო შემოსილი. ესენი იყვნენ ორნი ერთმანეთთან დაახლოებულინი არსებანი—მამა და შვილი ორივენი მღვდელნი: ერთი ასრულებს თავის ცხოვრებას, მეორე კი ეხლა იწყებს. ერთი იყო სამოც-და-ათ წელზედ გადაშორებული—მეორე კი ოც-და-ხუთის ანუ ოცდაექვსისა. საწოლ ოთახში კითხულობდა ლოცვას მოხუცი მღვდლის ცოლი და ახალ-გაზდა მღვდლის მეთუღე კი ლოგინში იწვა. მოხუცი მღვდლის შვილი—ახალ-გაზდა მღვდელი მოვიდა მოხუცი მშობლების სანახავათ. იგი ახალ-გაზდა მეორე წელიწადია, რაც მღვდლათაა, მაგრამ ძლიერ სამწელო აღსასრულებლათ მოეჩვენა მას სასულიერო სამსახური. იგი არ იყო კმაყოფილი თავის ბედისა, თავის მდგომარეობისა; არ მოსწონდა მას არც ტანისამოსი და არც სამსახური. თავის ბედის უკმაყოფილებით ის გაანჩნლებული და დანადგლიანებული იქამდის შეწუხებულია, რომ თავის მამას თითქმის უკმაყოფილებას უცხადებს და ზიზღით აუწყებს მას თავის მდგომარეობას და ბედს.

— წარმოიდგინეთ, მამაო, თვითებული გლეხის დამოკიდებულების ქვეშე უნდა ვიყვეთ, გაეზღით ყველასაგან დაცინვის საგნათ, ასე გაზინჯე, რომ სოფლის მწერალიც კი დაგეცინის, ვთმენულობთ ყოველ

გვარ ტანჯვას და სიღარიბეს და ამასთან ემღაბლებოთ თავს ყველას წინაშე.

— აი ჩემო საყვარელო მეგობარო, ესეები ყოფილან და იქნებიან, მაგრამ ღვთის შემწეობით კიდევ ცოცხალნი ვართ: ყოველ წოდებაში, და ყოველ საქმეში შეუძლია, შეილო, შრომის და ბედნიერების სიტკბოს გაგება კაცს, თუ ღმერთი არ ღავიწყებია.

— ეს ყველაფერი ასეა, მაშო, მაგრამ ყველა ფერ ჩვენ საქმეში დამაბრკოლებელი გარემოებანი გვეჩხირებიან გზაში; ვერაფერ საქმისათვის რიგიანი გზა ვერ მიგვიცია, რომ მართებლობამ რაიმე სხვა მიზანი არ მოგვაწეროს.

— შენ, ჩემო მეგობარო, კიდევ ახალ-გაზდა ხარ და მიტომ ფიცხოვ. და ჯაერდები ეგრე... მე მოგიყვები, შეილო, ჩემი ცხოვრების ამბავს, თუ როგორ დავიწყე ცხოვრება, როგორ მიცხოვრნია და ან როგორ მოვახწიე აქამომდე. ეს შენ გამოგადგება, მით უმეტეს, რომ ის გარემოებანი და ფიქრები, რომელნიც შენ გაფიცებენ და გაჯაერებენ, შენსდროს მეც მაფიქრებდნენ და ეგრე მტანჯავდნენ. მეც შეილო, იმავე სულიერს სიმძიმეს ვგრძნობდი, რომელიც შენს სულს სტანჯავს ამ ქაშათ.

II.

გრძელთა ჩემი ცხოვრების აღწერა, დაიწყო თავის მოთხრობა მოხუცმა. ეს მეორმოც და-ათე წელიწადია, რაც მღვდლათ ვა' და ემსახურებ, როდესაც

მოციფიქრებ, მოვიგონებ ყველაფერს დადაუკვირდები
კარგათ, ვიტყვი: მეც ვიყავი ერთ ღროს ახალ-გაზდა,
ჩემს მკერდშიდაც სცემდა ერთ ღროს ახალ-გაზდური
გული, ჩემს ცოდვილს აგებულებასაც იზიდავდნენ
ხორციელნი ნეტარებანი, ჩემს გულსაც მოსწონდა
და იზიდავდა, არამც თუ სასულიერო წოდებაში სამ-
სახური, არამც თუ სოფლის მღვდლის თანამღებობა,
არამედ მივიღტოდი ქვეყნიურის ცხოვრებისადმი, და
სახორციელო სამსახურისადმი, რომელი სამსახურიც
მე მომწონდა. მაგრამ უფალს ღმერთს ნებავდა ჩემი
მოწოდება მღვდლათ: ჩემი ფიქრები ისევ ფიქრებად
დამჩნენ და ღვთის ნება აღსრულდა ჩემზედ. რო-
გორც ეხლაც წარმოვიდგენ ხოლმე ჩემ თავს, მე
ვიყავი მაშინ სულ 22 წლისა, როდესაც პირველათ
ჩაიციე მღვდლის შესამოსელი და მივიღე მღვდლობა.
მაშინდელს ჩემს ახალ-გაზდა გულში და თავშიდაც
იყო იდეალები, მიმრავლოებოდნენ სურვათნი ყვე-
ლაფერი ჩემებურათ გადამებრუნებია. მსურდა ჩვენს
მივიწყებულ უწყებაში ნათელი მომეფინა, მსურდა
ერთგვარი და გაჭიანურებული დიაკენის გალობა შე-
მცვალა მშვენიერის და განწყობილის გალობით,
წიგნებიდან წაკითხულის ქადაგების მაგიერ ახალ-
ახალი ქადაგებანი თვითონვე დამეწერა და მექადაგნა
ხალხისათვის... წავედი ქალაქიდან, შუაგულ სო-
ფელში, სადაც ვიყავი მღვდლათ დანიშნული და ვერ-
ლევო ფიქრებს: ვაწყობ პლანებს სხვა-და-სხვა ცელი-
ლებისას, რომელიც უნდა მოვახდინო ჩემს ახალს
ადგილზედ. ჩემი ახალ-გაზდა მეუღლეც როდესაც

შენიშნავდა, რომ მე დაფიქრდებოდი, მეუბნებოდა: „რა დაგემართა, რომ სულ ასე დაფიქრებული ხარ, მე მაინც დამელაპარაკე—მოესწრები ფიქრს და დარდებსაც!“ დაუწყებ მას მუსაიფს ამაზე, იმაზე, აქაურზე, იქაურზედ, მაგრამ ამ ცვლილების ფიქრები თავიდან მაინც არ მშორდებიან. აი მივედი იმ ადგილამდისაც, სადაც მე უნდა დამეწყო ცხოვრება, სადაც მე უნდა შემწყსო სამწყსო ქრისტესი. ეს იყო შემოდგომის დამლევს. სახლი, რომელიც შევიძინე, იყო ძლიერ ცივი. შეშაც ერთი ღერი არ მქონდა, ბედელში პური არ იყო და ჯიბეში ფული მხოლოდ სამი მანეთი-ლა მეგდო! მიედივარ დილას ეკკლესიაში-- აქაც სიცივე, სინოტავე და სიღარიბე მეცა თვალში. დავბრუნდი გულ-შეწუხებული ისევ შინ... დამხვდა შინ გლეზი და მთხოვა სახლის მოკურთხევა და ყმაწვილის მონათვლა. მჭევრტლიანი სახლი, ყოველ მხრივ კარებ დაღებული, კენესა მშობიარე ქალისა, ტირილი ახალი დაბადებულისა. აი რა წარმოუდგა ჩემს თვალებს. უკოთხე ქალს ლოცვას და თვითონ კი გული მიცემს. რადგან მიჩვეული არ ვიყავი. ვასრულებ ნათლის-ღების წესს და თვალებიდან ცრემლები მომცივა; არ არის წმინდა ჭინჭი, არ არის პატარა მიტკლის ნაჭერი, რომ ახლად მონათლული ყმაწვილი გავხვიოთ. მე კი გამოტეხით უნდა გითხრა, ვაპირებდი ნათლის ღების შესრულების შემდეგ ამეხსნა ხალხისათვის: რას ნიშნავს თეთრი ტანასამოსი ნათლის ღების დროს, რომელშიდაც გაახვევენ მონათლულს, ან რას ნიშნავს ემბაზის გარს შემოვლა

და კმევა, მაგრამ როდესაც თეთრი ტანისამოსის მაგიერ ყმაწვილო რაღაც ძველ ძონძში იყო გახვეული და ემბაზის მაგიერ რაღაც სხვს როფი მომიტანეს, ეს მომზადებულნი ახსნანი ჩემთანვე დარჩნენ!..

შევასრულე ნათლის-ღებაც, გავიძრე შესამოსი და მედავითნეს მიეცეო. მონათლულის მამამ დაჯდომაც აღარ მაცალა, ფეხ-ქვეშ დამივარდა და დამიწყო თხოვნა. რა ამბავია, გამიკვირდა!

— რა გინდა შეილო, აღექ და უთაყვანისცემოთ მითხარი.

— მაპატივით, სულიერო მამავ, რომ ოჯახში ერთი გროშიც არ მომეპოვება...

— კარგი, შეილო, კარგი, მეჩე ე მაგისტვის რა საჭირო იყო თაყვანის ცემა!

— ეს როგორ შეიძლება, მამაო, გააწყვეტია მღვდელს იქვე მდგომმა მოხუცებულმა დიაკონმა ივანემ, თუ სოფელში შენ, მამაო, აგრე აძლიე და აპატივე ყველას, კარგი იქნება.

— მაშ რა უყოთ, როდესაც ოჯახში ერთი გროშიც არ მოიპოვება, შენთვის ხომ არ წაეა და არ მოიპარავს, უთხარი დიაკონს და თან ეაჩვენე ხელით ამ გლეხზედ.

— ჩვენ რაღა უნდა ვქნათ, როდესაც მეც რეა შეილის პატრონი კაცი ვარ? რით უნდა ვარჩინო, ვასაზრდოვო ივანი?

აქ მე სრულიად დავიკარგე; არ ვიცოდი, რა პასუხი მიმეცა. შემდეგ მოვჭკიდე ხელი და უთხარი: ივანე, შეილო, ნუ ჯავრდები, შენ რამდენიც ვერგებოდა

იმ გლეხიდან, მე ჩემი ჯიბიდან მომიცია.

— ლოცვისათვის ორი შაური მერგება და ნათელისაც კიდევ ათი შაური, სულ სამი აბაზი მერგება.

— კეთილი.

დავიხურე ქუდი და უცებ გამოველი გლეხის ქოხიდან. მსურდა აქ ნახულ სურათების შთაბეჭდილება თავიდან გამეფანტა, მაგრამ, როდესაც ეზოში გამოვედი, რალაც ხმაურობა მომესმა.

— ივანე, ძმაო, თქვენნი ღეთის-გულისათვის, შეგვიწყალებ, უკანასკნელი პური გვაქვს და ისიც პრ — ვებს გამოვართვი. ენდევ ღმერთს, რომ ძუძუს მაგიერ საჭმელი პურიც არ აქვს ყმაწვილს.

მე არ ვიცოდი, რაში იყო საქმე; მხოლოდ ვხედავდი, რომ მომქმედი პირი ჩემი დიაკონი იყო, რომელიც მაშინვე მომეწია ილიაში პურით. ეხლა კი გავიგე, რაში იყო საქმე, გლეხს არ უნდოდა, რომ დიაკვნისათვის პური გამოეტანებო, რადგანაც ყმაწვილის საჭმელათ მეტი არაფერი გააჩნდა. დიაკონს კი არამც თუ ჩვეულებისამებრ უნდოდა პურის წამოღება, არამედ ის უფრო აწუხებდა, რომ არც თერთონ ჰქონდა ოჯახში პური და ცოლ-შვილი შიმშილით ეხოცებოდა...

— ოხ, შეილო, შეევსრულე პირველათ ჩემ ცხოვრებაში ამგვარი ნითლის-ღება, დაებრუნდი შინ, იმ აზრით, რომ უმჯობესი იყო არ დავბადებულყავი ამ წუთის სოფლად, ვიდრე ამ გეარ ცხოვრებას გაე-

ცნობილად და ყველა მისი ნაკლულევენება ჩემის თვალთი მენახა.

III.

როდესაც კარგა დაუკვირდი ჩემი მრევლის ცხოვრებას, რომელიც სამი პატარა სოფლისაგან შესდგებოდა ორა'ს ოთხი სულით, შევამჩნიე, რომ დიდი სიღარიბე სუფევდა მათში. დიაკონმა მიაშო, რომ წინეთ გლეხები უფრო მდიდრულათ სცხოვრებდნენო, მაგრამ სამი წლის უმოუსაფლობამ და მასთან ახალი მებატონის სასტიკმა მოთხოვნილებამ გლეხები მთლათ გაანადგურაო.

— წინეთ დრო იყო, როდესაც აღდგომების დღესასწაულზე შევიდოდით გლეხთან და ყველგან დიდი პატივისცემა და დიდი პატიჟობა გექონდა— ახლა კი სადღაა ესეები, მომიყუა ჩემი დიაკონი. რომელიც ჩვენს კრებულში ირიცხებოდა.

ჩემ სოფელში მოსვლისა სამი დღის შემდეგ მოვიდა ჩემთან დიაკონი ივანე, გამომართვა ეკლესიის გასაღები და წავიდა ეკლესიის დასაწმენდათ და გასათბობათ, რომელიც კვირეში ერთ ჯერ თბებოდა და თან თავის თხანით თითქო გაკერით მითხრა:

— თქვენ კი უნდა მიბრძანებულიყავით, მამაო, ბატონთან, თორემ მე, როგორც გავიგე, ძლიერ გიჯავრდებათ, რომ აქამდის არ გამოეცხადეთ.

— ეს მეც ვიცი, რომ უნდა გამოეცხადო ბატონს, მაგრამ ჰხედავ, რომ არაფერ ჯერ მოწყო

ბილი, ვერ ჰხედავ, სახლიც არ მაქვს თბილი, როგორც რიგია.

ივანემ არაფერი არ მითხრა, წავიდა ეკლესიის გასათბობათ.

გათენდა პირველი კვირის დილა. მე ამ დღეს პირველად უნდა დამეწყო ჩემი მსახურება — მღვთისადმი. დილის ზუთ საათზედ მოვიდა ჩემთან დიაკონი და მოხოვა ნება დარეკისა. მეც უბრძანე დარეკა. მესმის, რომ დიაკონი რეკავს პატარა ზარებით. მივედი ეკლესიაში და დიაკონსაც შენიშვნა მივეცი, და უთხარი რიგია: დღეს დიდი ზარებით უნდა დარეკა.

— არ მაქვს ნაბრძანები, წყნარ ათ სთქვა ივანემ.

-- ეის არ უბრძანებია?

— ბატონს.

ეს განა მისი საქმეა? *

— არ ვიცი, სხვა ნაირად სთქვა დიაკონმა და თან დაუმატა, რომ უწინდელი მებატონის ბრძანებით დიდი ზარებით მხოლოდ კვირაობით ერეკდით და ესლანდელმა კი გვიბრძანა, რომ ცისკარზე პატარა ზარებით დარეკეთო.

— შენი ბატონი, ვგონებ, ეკლესიის უსტავედ მეტი არ არის; ჩვენ გვაქვს ჩვენი წესები და მებატონის მაგვარ მოთხოვნილებას არ ვემორჩილებით.

— როგორც გნებავდეს, ცბიერათ სთქვა ივანემ.

ამ დროს ხალხი კიდევ შეკრებილიყო ეკლესიაში და ჩვენი მუსაიფი წირვის გამოსვლამდის ყველა

აწნობეს მებატონესაც. ცისკარი გავათავე .მშვიდობით, თუმც სიბნელე, სინოტივე და სხვა ნაკლულევენება მიწუხებდა სულს. საყდრიდგან გამოასვლის დროს შემომესიენ გლოჩხები და მთხოვდნენ ლოცვა-კურთხევას და თან მილოცადნენ მშვიდობით მოსვლას და მრავალ წელს მათში მღვდლად სამსახურს. ეხედავთ, ხალხი კარგი მიმღები, ალერსიანი და პატიოსანია, მაგრამ გაუბედავი და ღარიბია. ცისკრის და წირვის შუა, რაც რიგი იყო, კიდევაც წავიკითხე; ამ დროს დიაკონმა ჩემდა უკითხველად დაუწყო რეკა დიდ ზარებს, რომელმაც ძლიერ გამაკვირვა; მაგრამ აღმოჩნდა, რომ დიდი ხნიდან ყოფილა დადგენილი ეს ჩვეულება: ყოველთვის კვირა-უქმ დღეს დარეკონ დიდი ზარები ცხრა საათის ნახევარზედ, როდესაც მებატონის ეზოშიდაც დარეკენ.

წირვაზედ იმდენი ხალხი შეიკრიბა, რომ მთელი ეკლესია გაივსო. მე ჩავიცვი სადღესასწაულო შესამოსელი და დავიწყე ლიტურგიის პირველი ნაწილი. დიაკონმა წაიკითხა, რაც წასაკითხი იყო, პირველი ნაწილი, ესე იგი კვეთა გავათავე, მაგრამ დიაკონი, მაინც არ მირჩევდა წირვის დაწყებას მებატონეების მოსვლამდის. საეკლესიო საათი აჩვენებდა ათის ნახევარს, ხალხი აუარებელი იდგა ეკლესიაში, სადაც რაღაც წარმოუდგენელი სიმშვიდე სუფევდა. ჩემს თავს ძლიერ ცუდათ ვგრძნობდი; ახალ გაზღური და შეიძლება პატიოსნური და გამოუტყდელი გული კი მეუბნებოდა: ნუ დემორჩილები მებატონის ჟინს, განაგრძე წირვა: და აი უცებ გაწყვეტი

ვიწყებ: „კუთხეულ არს მეუფება მამისა და ძისა და სულისა წმინდისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ღიაკონი“ მთლად გადირია და „ამინის“ თქმის მაგიერ შემოვარდა ჩემთან საკუთხეველში და შემომძახა: „რას შერებით, რას? ჯერ მებატონეები კიდევ არ მოსულან,“!

—იგალობე შეეყვირე ღიაკონს, და მან დაიწყო: „ამინ“.

მამობ ასამაღლებელს და ღიაკონს კი რაღაც შიშისაგან გული უძაგძაგობს. ხალხი პირჯვარს იწერს და ღიაკონი კი სულ თანჯარაში იცქირება მებატონის სახლისაკენ. წირვა მიდის თავის წესით ღიაკონმა „რომელი ქერობიმთას“ გალობა დაიწყო უცებ ეკლესიის კარები გაიღო და ეკლესიაში მებატონეს ოჯახი შემობრძანდა, მლოცველები გაიწვამოიწიენ და ბატონი მიუშვეს თავის დანიშნულ ალაგას. ბატონი ხმა მალლა აცხადებდა ჩემზედ თავის უკმაყოფილებას, რომ მას არ მოუცაღედ და წირვას ისე შეუდექი. ივანე ღიაკონმა მომიტანა საცცხლოური და წამომიჩურჩულა: „აკმიე ჯერ საკუთხეველში, მერმეთ მებატონეს და ბოლოს ხატებს.“

—ეს რა გემართება, ივანე, რას ამბობ?!

—თუ ღმერთი გწამს, ნუ იღუპავ თავს!

მე მაინც არ დაუჯერე ღიაკონს: ეაკმიე ჯერ საკუთხეველში, შემდეგ ადგილობრივ ხატებს უკმიე, ამის შემდეგ მებატონის ოჯახს და მლოცველ გლეხობას. ჭველა ამაებს ისე გაუჯავრებია ჩვენი მებატონე, რომ როდესაც წმინდა ზიარებით გამოველ

საკუთხეელიდგან, გლეხებმა ყველამ მუხლი მოიდრიკეს და მებატონემ კი ზურგი შემომამოშვია და შრანკასულათ რაღაც წაიბუტბუტა, ალბათ ჩემზედ ზიზი და უკმაყოფილებას იტყოდა.

წირვის შესრულების შემდეგ მინდოდა მკირე სიტყვა მეთქვა მრევლისათვის. ზამოვედი ამბიონზედ დაედექ დანიშნულ ალაგს უწიგნოთ და ურვეულოთ, რომელსაც ახლა „მოუმზადებლათ“ უწოდებენ და ჩვენ ღროში კი ამ გვარი ქადაგებას უწოდებდნენ „ნიქით“ ქადაგებას და დავიწყე სახარების სიტყვებით: „ეძიეთ უწინარეს ყოვლისა სასუფიველი ღვთისა და სიმართლე მისი...“

„ბრა ერთისა მწუხარებითა შემოვდივარ მე თქვენში, საყვარელნო შეიღონო; არა უმწუხაროთ მეთქი, მიტომ, რომ ვხედავ იმ სიღარიბეს, რომელიც აგრე გტანჯავს, ვხედავ თქვენზედ ღვთის წყრომას...“ წარმოვსთქვი თუ არა ეს სიტყვები, რომელნიც მას აქეთ კიდევ არ დამეიწყებია, ყველას ეკკლესიაში მყოფ ხალხს დიდს, პატარას, მოხუცებულს და ახალგაზდას ყველას თვალეზედ ცრემლები მოუვიდათ და მებატონემ შემომხედდა არამც თუ მითხრარამე, არამედ ხმა მაღლა შემომიყვია „სულელო“.

მე იმ წამსვე როგორღაც თვალეები დამიბნელდა, ყურებში ბუბუნნი დამიწყა, მინდოდა სიტყვისათვის თავი დამენებებია, მაგრამ უფაღმა ღმერთმა შემამაგრა, და ისევ განვაგრძე ჩემი სიტყვა. „რა უნდა გითხრათ სანუგეშო, მართლ მაღიდებელნო, სად არის საშუალება უბედურების და ტანჯვებისაგან

განთავისუფლებისათვის? ეძიეთ ნუგეში ისევ უფაღ ღმერთში, იგია ჩვენი მფარველი, გამომხსნელი და დამჯილდოვებელი. ბახსოვდესთ მეგობარნო, ჩემნო, რომ ყველაფერი უბედურება, ბედნიერება, ცეცხლი, ავათ-მყოფობა, მოუსაფლიანი წელიწადი და სხვანი იგზავნება ღვთისაგან. იგია თვით-წყრობელი, რომელიც გსჯისთ თქვენ უსამართლო მსაჯულებით, შემავეწრობელი მებატონეებით და სხვანი “ ამ სიტყვებმა გამოიწვია ხალხში არამც თუ მართო ცრემლი, ხმა მალლა ტირილიც; მაგრამ ამავე სიტყვებმა მომაცუნა უსიამოვნებაც.

მორი თვის მღვდელი ვიყავი, ჯერ კიდევ არ ვიყავი შეჩვეული ჩემს პრეულთან, ადგილობრივ გარემოებასთან, რომ უცერივ მოარბის ჩემთან მებატონისაგან გამოგზავნილი კაცი და მეუბნება, რომ მებატონე ფიცხლავ თავის კანტორაში გიბარებსო. რა ამბავია, ეფიქრობ ჩემთვის: მებატონემ პირველი დღესე ჩემი სამსახურის დაწყებისა არ მიმიღო, თავის შინაური სამსახურისათვის ყოველთვის მეზობელ მღვდელს პატივობდა, ეკლესიაშიდაც სხვაგან მახლობელ სოფელში დადიოდა, მაგრამ მაინც ჩაეცვი ტანისამოსი და წავედი ბრძანების: მებრ. კანტორა მდებარეობდა მებატონის სახლის პირ-და-პირ. ერთ ეზოში. შევედი ეზოში და გული კი მიწუხს, ჯერ მისთვის, რომ არ ვიცოდი, რასთვის მიწოდებდნ და მეორეც ძაღლების გროვისა, რომელთაც მისვლისა თანავე შემომიტყევეს. ძაღლები შემომესიენ ყოველ მხრივ და არ ვიცოდი რა მექნა: მხოლოდ ერთი ვიღაც კე-

თილი კაცი მომეშველა, ვგონებ მზარეული იყო, მაგრამ შეხედა თუ არა მას ბატონმა, ერთი სასტიკის ხმით შეჰყვ-
ირა: „ივანე, შენს ადგილას დადექ! ძაცი, რომელიც
უნდა მომზარებოდა, მაშინვე უკან დაბრუნდა და
სამზარეულოში შეეარდა და ჩემს საბედნიეროთ,
ძაღლებიც მას თან ეჰყვნენ. შევდივარ კანტორაში
და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება— ეხედავ ადგილო-
ბრივ ბლალოჩინს და დეჰუტატს.

ბლალოჩინმა არც კი მომცა ნება, რომ თავი
დამეკრა, როგორც რიგი იყო ისე შემომიბთია:

— მს რა მოგიფიქრია, ეს რა გიქნია მიყვირო-
და მ. ბლალოჩინი.

— მე არაფერი არ მიქნია და არც არაფერი ვიცი.
მე ისიც არ ვიცი, რაზედ ჰკითხავთ, მამავო ბლალოჩინო.

— ორ იცი? მანებელი სწავლის გავრცელება
ხომ კარგათ იცი ხალხში?

აქ უნდა შევნიშნო, რომ ორმოც-და-ათ წლის
უკან რუსეთში ვერ გაიგონებდით ამ გვარ სიტყვებს,
რომლებიც ასე გავრცელებულია ეხლა ჩვენში, მაგ.
ნიგილისტი, სოციალისტი, ლიბერალი, კომუნისტი
და სხვანი და ყველა ამ სიტყვებს უწოდებდნენ ერთ
სახელს „მასიონ.“ ამ გვარი სწავლის გავრცელება
მომაწერა მეც მამა ბლალოჩინმა, მაგრამ თავისით კი
არა არამედ იმ დაბეჭდებით, რომელიც იყო გაგზავნი-
ლი ჩემზე მებატონისაგან მოსკოვის მიტროპოლიტ
ფილარეტთან, რომელმაც ეს ქალაქი ყოვლად
სამღვდელოს გარდმოსცა.

მებატონე სწერდა ჩემზედ მიტროპოლიტს, რომ

თითქო მე გლეხებს ეაჯანყებდნენ მებატონეს წინააღმდეგ: რომ მე პირველ წირებაზედ ვიქადაგე ჩემი „ჰკუთი“, რომელშიდაც გავატარე ის აზრი, რომ გლეხებს მებატონეები სიცოცხლეს უშწარებენ, ავიწროებენ, და მეც მის აზრით მათგანელი კაცების კრებას ვეკუთენი. ამ დაბეზლების გამო იყო ჩემზე დანიშნული სასტიკი გამოძიება, რომელიც ჰქონდა მინდობილი მ. ბლაღოჩინს დადებულა.

ჯერ შემომიყვარა, შემუხა და შემდეგ მიჰყო ხელი გამოძიებას მამა ბლაღოჩინმა, ჯერ სიტყვიერათ, თუ როგორ და რაზედ ესტკეი ამ პირველ წირებაზედ ეკლესიაში და შემდეგ მომთხოვა, რომ იქვე, კანტორაში სიტყვა სიტყაზედ დამეწერა ის სიტყვა ქალღმერთს, რომელიც ეკლესიაში წარმოვსტკეი. ჩამომართვეს ჩვენება, მიიღო ჩემგან დაწერილი სიტყვაც და შემდეგ შეუდგენ გლეხების ჰკითხვას: ჯერ დააფიცეს ყველანი და აუხსნეს ფიცის ძალა, რომ ვალდებული არიან სრული სიმართლე და ჭეშმარიტება აჩვენონ. სანამ გლეხების კითხვას დაიწყებდნენ, შემოვიდა კანტორაში თვითონ მებატონე და დაუგდო ყური გლეხების ჩვენებას, რომელსაც მამა ბლაღოჩინი ართმევდა.

აი, აქ კი, ჩემო საყვარელო მეგობარო, ვიგრძნე მთელი ძალა სასულიერო სამსახურის დიდებისა! გლეხები ერთბაშათ ამტკიცებდნენ, რომ მათში არაფერი აჯანყება არ მომიხდენია, რომ ვერ გამაძლარან ჩემი მშვენიერი მღვთის მსახურების სმენით ეკლესიაში რომლისათვის უფალს მადლობას სწირავენ, რომ ჩემში მან მოანიჭათ გლეხოებას მკვიდრი მამა.

ამ გვარ ჩვენების ყურების დროს ვერ შევიკავე ცრემლები და ტირილი დავიწყე; დეპუტატმა¹ მიიქცია პირი ფანჯრისაკენ და დაიწყო ტირილი, მაგრამ მ. ბლალოჩინი ისე გამაგრდა, როგორც კლდე, მებატონე კი როგორც გაფითრებული მხეცი ისე იყურებოდა. საღამოს ქაშს მებატონეს სამეჯინიზოდგან გამოისმოდა ტირილი და ყვირილი საბრალო იმ გლეხისა, რომლებიც გაროზზე მებატონემ ჩემდა სასარგებლო ჩვენების მიცემისათვის.

პლედელ-მთავარმა ნახა თუ არა ჩემი ღარიბი სოფელი, დაწერა ურთი-ერთ შორის მშვიდობიანობა და თანხმობა. თითქო მისი ლოცვა-კურთხევით უფალმა მოგვივლინა იმ წელიწადს მშვენიერი მოსავალი ყველაფრისა. სამი წლის სამსახურის შემდეგ მყავდა ექვსი ძროხა და ათამდის ცხვარი და ცხენი. ვერ ვიტყვი, ცხოვრება ადვილი იყოს, არა ჩემო მეგობარო, მე თვითონ ვზიდავდი წყალს, მე ვასმევდი საქონელს წყალს, მევე უნდა წავსულიყავ ტყეში, მომეჭრა შეშა და შინ მოჰეტანა. შემდეგ მიწოდორში მივიღიოდი და ჩემის ხელით ვმუშაობდი უამისობა მანც არ შეიძლებოდა, ჩემი ცოლი ბავშვებს უვლიდა რომელსაც უფალი ყოველ წელს მაძლევდა და მე კი ოჯახში ვმუშაობდი და ამ ნაირათ ორთავე ხელი-ხელს მიცემული ვშრომობდით. პირველათ კიდევაც გერცხვენოდა მუშაობა და თანაც ვწუხდით. ვფიქრობდი: რათ გვასწავლიდნენ ტყუილათ ლათინურს და ბერძნულს მეთქი, მაგრამ ახლა ისე მივიჩივის შრომას რომ უმუშევრათ კიდევაც მომწყინდე. ხოლმე ძნელი იყო ცხოვრების დაწყება, მაგრამ კიდე

უფრო საძნელო იყო შვილების აღზრდა-განვითარება. მაგალითად დადიწყებდით თქვენ სწავლებას: ან, ბან,, და უცებ ვხედავ, რომ ვიღაც მოვიდა და სახლის მოკურთხებას მთხოვს, მივდივარ, ეასრულებ მოთხოვნილებას, მოვდივარ შინ, კიდევ დაღამდა. ახლა საქონელია მოსაველედი; რასაკვირველია, მივდივარ მის მოსაველელათ. ზაფხულში ღლე ღიდა, მაგრამ სამუშეოარიც ძლიერ ბევრია: ისე ბევრია, რომ მინდვრიდგან შინაც ვეღარ მოდიხარ. ზაფხულზედ ვერც თქვენ სწავლობდით, გინდოდან სეირნობა და თამაში, მაგრამ მე მაინც მოგამზადეთ სასწავლებლისათვის. ა'რც თქვენი შენახვა იყო ადვილი. მართი და ორი რომ ყოფილიყავით სასწავებელში, კიდევ არაფერი, მაგრამ როდესაც ხუთივე ერთად სწავლობდით, სამი ერთად და ორი ცალკე სემინარიაში; მაშინ იყო ჩემი მწუხარება. თქვენ ნააღდგომეც, მაგალითად, გჭირდებოდათ რვა თუმანი და მე კი ძლიეს-ძლიეობით ვშოვობდი თხუთმეტს მანეთს. ბინდა თუ არა, უნდა მიხეიდე მდიდარ გლეხთან და თავყანის ცემით სთხოვო, ეგებ ორიოდე გროში გათხოვოს ადღგომამდის. გაგზავნაღით ხოლმე თქვენ და ჩვენ კი მარტო ძროხის რძის მეტი აღარა გეჩებოდა; ასე რომ კარებიც რომ არ დაგეცხურა, ქურდი მაინც ვერას აპოენიდა ჩემს სახლში წასაღებს, ისე ვიყავით ყველაფრისაგან „განწმენდილი“. ხარჯის გარდა მშობლების გული სწუხდებოდა. მაგალ. გაგზავნიდით თუ არა, იმ წამს მწარე ფიქრები შეგვიპყრობდა: ღლე და ღამე სულ იმის ფიქრში ვიყავით: სწავლობთ

თუ არა, ტან-მთელათ იმყოფებით თუ არა, მშვიდობიანი ცხოვრება: გაქვსთ ერთმანეთს შორის, თუ ხშირად კინწლაობთ. ან და კიდევ აღდგომისათვის დათხოვის დროს თქენი ცხენებით წაყვანა არ შემეძლო, ქვეითად გაგიშობდით და ჯავრი მაწუხებდა რადგან მდინარეში ცუდი წავით უნდა გასულიყავით. სანამ მდინარეში გასულს შეგხედავდით სულ გული გეიძიგებოდა. როგორც გახვიდოდით მდინარეს გაღმა, თქვენს სამშობლოს თავს დაუკრავდით და სიყვარულით გამოეთხოვებოდით ხოლმე.— და მარტო თქვენი თეთრი პარკები პრჭყვინავდა ხოლმე, მე და დედა თქვენი თვალ-ცრემლიანი უკანვე დავბრუნდებოდით და გსწუხდით. მაგრამ რამდენ სიამოვნებას და სიხარულს გრძნობდა ჩვენი გული, როდესაც თქვენ კარგათ სწავლობდით და კლასიდან კლასებში პირველ შეგირდებათ გადადიოდით.

ამ სიხარულის გრძნობა მხოლოდ იმ შემთხვევებს შეუძლიათ, ვისაც შეილები სასწავლებელში ჰყავსთ.

თქვენ გარდა ჩვენი ეალი იყო მოგვემზადებია მიგვეცა სასწავლებელში სამი თქვენი დებიც. ჩვენ დროს საქალბო სასწავლებლების ხსენებაც არ იყო: არც საქალბო გიმნაზია, არც ეპარქიალური სასწავლებელი და არც რაიმე სხვანი. იყო მხოლოდ სააზნაურო ინსტიტუტები; სადაც მხოლოდ აზნაური შეილებს ღებულობდნენ, ჩვენ კი ჩვენი ქალიშვილებს ბისთვის უნდა შინვე გვესწავლებია. მაშინ ქალებს ბევრი მაინც არაფერი მოეთხოვებოდა: საქირო, იყო რომ კარგათ და საფუძელიანათ სკოდნებოდა მეოჯა-

ხობა, ვიდრე მაღალ საგნებზედ სჯა და მუსაიფი. ჩემი მოხუცებული აზრითაც ასე სჯობია. თუმც ვისმესთვის საჭიროა ნასწავლი ქალი— საჭიროა მღვდლისთვის ე. ი. არც იმდენიც სწავლული, რამდენი მეოჯახე და გულ-კეთილი უნდა იყოს მღვდლის ცოლი. როგორც მე, ისე მთელ სამღვდლოებას ქალიშვილები შინ უნდა აღვეზარდა და ამას გარდა კაპეიკი კაპეიკზედ უნდა გვემატა და მზითვეისათვის ფული შეგვეგროვებია. ჩვენ სამღვდლოებას გვაყვებოდნენ სიძუნწეს, მაგრამ ეს ყველაზე ჩვენთვის პატიოსანია და არა უპატიოსნო. თუმც სადმეა საჭირო, სწორეთ ჩვენ მდგომარეობაში სიძუნწე არ არის სისულელე, უმჯობესია, შენ მოიკლო რაზე და შეილები კი მისცე აღსაზრდელად! აი ამ ნაირათ, ჩემო საყვარელო მეგობარო, მე და დედა შენმა აღგზარდეთ და, მადლობა ღმერთს, რომ გასწავლეთ და ადგილიც გიშოენეთ; ეხლა ჩვენ მოხუცებულებს ბევრიც გვეზარებინან! არ იფიქრო შეილო, რომ მეც შენს დროს ეყოფილიყო კმაყოფილი ჩემის ბედისა. არა შეილო, მაშინვე სიზალოგაზდემივე მაწუხებდა და ვწვალობდი ჩუმათ. მაგალითად ერთხელ მიედივარ ქალაქში, მიედივარ კონსისტორიაში და ვხედავ, რომ მოდის ჩემ. კენ ვილაც დიდი კაცი და დამიწყო ცქერა, შემდეგ კიდევაც დამიძახა სახელი და და მივბრუნდი, ვხედავ და ჩემ თვალებს არ უჯერი. ეს დიდი კაცი იყო ჩემი ამხანაგი სემინარიაში. გამოგვითხეთ ერთი-ერთმანეთს ჩვენი ამბავი. ამ ამხანაგმა მიპასუხა:

— ემსახურებ, ძმაო, ლუბერნიის სამმართველოში,

სადაც სოვეტნიკის ადგილი მიჭერია. ჩვენში უმჯობესია სამსახური, ვიდრე სოფელში „უფალო შეგვიწყალეს“ გალობა. მოდი ოთხ საათზედ ჩემთან ოჯახში სადილათ და მაშინ შეიტყობთ, თუ როგორ ესცხოვრებ.

მიედივარ დანიშნულ დროზედ, შემხედება კარებში ლაქია და არ მიშვებს შინ, თუ ბატონს არ ეაცნობე თქვენი ვინაობაო. როგორც იქმნა, შევედი შინ, ჩემმა ამხანაგმა თავისი ცოლ-შვილი გამაცნო, რომელსაც გარშემო მოსამსახურე ქალები ეხვიენ ისეთ წმინდათ და ძვირფასად ჩაცმულნი, რომ ჩემს ცოლსაც არ ეცვა უკეთესი ტანისამოსი. სტოლზედ ყოველ კუთხივ ძვირფასი ნივთები ეწყო. ვისადილე ჩემს მეგობართან იმ დღეს, გამოვეყთოვე და წამოველ ჩემს ქოხში. გავიხსენებდი ხშირათ ამ მეგობარს და მწარეთ დავღონდებოდი ხოლმე ჩემს ზვედრზედ. გავიდა ამის შემდეგ ათი წელიწადი. მე ხელ-ახლავ მომიხედა იმ გუბერნიის ქალაქში ჩასვლა და წარმოიღვინე ჩემი გაკვირვება; შემხედა ეს ჩემი მეგობარი მდიდარი და კარგი ადგილის კაცი ჩამოიძლიო, ჩაყვითლებული და სრულიად გაქალაქებული. მე იმას ვერასოდეს ვერ ვიცნობდი, მაგრამ თითონ მიცნო და მკითხა. როგორ, რა ამბაია, სიდგან და სხვანი, აგრეთვე მეც ვკითხე:

---ღამითოვეს, ძმაო, სამსახურიდგან. თავის დროზედ ვერ შევავროვე ფულები „შავიდილისთვის“ და ახლა გთხოვ, ძმაო, ერთი მანეთი მომცე, რეა უკული და ცოლი მეხოცება შიმშილით, სახლის ქი-

რა მისაცემი მაქვს და ჯიბეში კი გროშიც არ არის. ამოვიღე ჯიბიდან ქისა და მივეცი ჩემს ამხანაგს, უწინდელს დიდ-კაცს ერთი მანეთი და შევხედე, რომ თვალებიდან ცრემლები გადმოაცივდა. როდესაც ამის შემდეგ შინ დაებრუნდი და ჩემი მდგომარეობას თვალი გადავაღე, ისე მშვენიერათ მეჩვენა, რომ სრულიად ბედნიერათ ვსთვლიდი ჩემს თავს. ან კიდევ, როდესაც რამოდენიმე კაცი — მღვდლები შევიკრიბებით ერთად დღესასწაულზედ, გადავკრამთ საღვთაგანებს, წამოვსწევით მინდორზედ და დავიწყებთ მუსაიფს არქიელებზედ, რექტორებზედ ინსპექტორებზედ, და სხვა ზე სრულიად ბედნიერად ვსლით ჩვენს თავს რადგან ჩვენე წრეში ვართ და თავისუფლათ ვცხოვრობთ. აი მაგ. დღეს დრო სულ სხვა ნაირია. მღვდლები თუმც მიდიან ერთმანეთთან, მაგრამ სრულიად სხვა საგნებზედ აქვსთ მუსაიფი და მსჯელობა: არ არის მათ შორის ის გულის სიწმინდე და უმანკოება, რომელიც მეფობდა უწინდელ დროში. მაშ რისთვის მე მეზიზღება თვალით დასანახავათ კარტის თამაში, რომელშიაც ჩვენ მოძებნე — მღვდლები, ეკლესიაში და მღვთის მსახურებაში ნაშოვნ ორიოდ გროშს აგებენ!..

შენც ამბობ, რომ მძიმეა სამღვდელოების ხეცდარი და ამას არამც თუ მარტო სამღვდელოება, არამედ ბევრი საერო პირნიც გრძნობენ. ამაში არ შემიძლია დაგეთანხმო. შენ ამბობ, რომ ხშირად ამ გვარი მწარე ხეცდარი იმორჩილებს სამღვდელოებას და აძაბლებს მათ ზნეობითად. მე ვფიქრობ, რომ

როდესაც ადამიანი უბედურებაშია, როდესაც მას მწარე ხვედრი რეგებია ბედისაგან — მაშინ უნდა სიმ-
ხნევე და გამაგრება. ადამიანი უბედურების დროს
გაიცნობა. რასაკვირველია, ძნელი არ არის ცხოვრება
მაშინ, როდესაც ყველაფერი უბნით გაქვს; რიგიანათ
ყველა კი იცხოვრებს ამ დროს. საქმე ის არის, მწა-
რე ხვედრით იცხოვრო ისე, რომ ზნეობით მალლა
იღგე, ბრწყინვალე და ნათელიც იყო! შემდეგ, ჩე-
მო საყვარელო მეგობარო. ჩვენც დიდი დანაშაული
ვართ იმაში, რომ ასე სასაცილო საგნათ შევიქცენით,
საზოგადოებაში ხშირათ ეღებულობთ მონაწილეობას
ისეთ მუსაიფში, რომელიც ჩვენ სრულიად არ გეყვება;
ყველას გასაგონათ აღვიარებთ უკმაყოფილებას ჩვენს
ხვედრზედ; ეხლანდელ დროში ისეთი სულიერი მამე-
ბიც ბრძანდებიან, რომელნიც ყველას გასაგონათ
აღიარებენ, რომ მათი ტანისამოსი არ ეარება, რადგან
მისს ჩაცმით ადამიანი მახინჯდება და სხვ. არა, ეს
ასე არ არის. ჩვენ უნდა მოვიქცეთ ჩვენი წოდების
შესაფერად და პატივს უნდა ვცემდეთ მას, რადგან
ჩვენი წოდება უსათუოთ თხოულობს, რომ საზოგა-
დოებაში ზრდილობიანათ წყნარათ ეიყვნეთ. ამ გვა
რია ჩვენი ხვედრი. რაიცა შეეცება ზოგიერთ პირე-
ბს, რადგან სხვისგან ვერ დაუმსახურებიათ პატივის-
ცემა — ფიქრობენ, რომ არავის პატივისცემა არ
შეიძლება. იგინი ჩვენ დაგვცინიან, მაგრამ თავის უყ-
როსების წინ კი ჭიასავით მიზოხავენ მიწაზე. არ ე-
მბობ, მეგობარო, რომ სასიამოვნოა, უზრდელი შე-
ურაცყოფის ატანა, მაგრამ შეიძლება თვითონ შეურა-

ცხყოფელი დააყენო ისეთ მდგომარეობაში, რომ თვითონ დაგიჩოქოს და მიტევება გათხოვოს. ერთხელ აი მე რა შემემთხვა:

ერთხელ მოვდავარ დატვირთული ურმით ქალაქიდან, ჩემი ცხენი წელის სიარულით მოდიოდა. დამეწიენ ვიღაც ახალ-გაზდა ორი ვაჭართან. მე გაეპარუნე გვერდზედ ცხენი, რომ მიშეცა გზა ამ უკანასკნელებისათვის; მაგრამ, საუბედუროდ, გვერდის აელის დროს მოედევნ ჩემ მარხილის გოგორას და თოვლში გადავარდნენ. ხომ ხედავთ, რომ მე არაფერი დამნაშავე არ ვიყავი, მაგრამ ერთმა იმათგანმა გადმოძკრა თავზე მათრახი გაჯავრებულის ხმით მითხრა:

— რატომ ფრთხილათ არა ხარ, თვალებს არ გამოახელ!... ამ სიტყვებზედ დანარჩენთა გაიცინეს. და წავიდნენ. — რა უნდა მექნა? მე გადმოვხტენი მარხილიდან, მოვიხედე ქუდი, დავლოცე იგი და უთხარი: კურთხეულ იყოს გზა თქვენი, ახალ-გაზდებო; თქვენ მცემთ ქუჩერის მათრახით და მე კი გლოცავთ ჯვრითა უფლისათა. შენ რას იფიქრებდი? ჩემი შეურაცხყოფელნი იმ წამსვე დაბრუნდნენ უკანვე დადევნ ჩემს ფეხთ ქვეშ და პატივება მთხოვეს.

ბაეიდა თითქმის ნახევარი წელიწადი ამ გვარ უსიამოვნო შემთხვევის შემდეგ, რომელიც აქამდის არავისთვის მითქვამს; ერთხელ კვირა ღღეს მივიღო. დი ეკკლესიაში, ეხედავ რომ ვიღაც უცნობი ახალ-გაზდა მოდის ჩემკენ — მოვიდა ჩემთან ახლოს, მოიხადა ქუდი და ლოცვა-კურთხევა მსთხოვა — მეც და-

ვლოცე. შემდეგ ამოიღო ჯიბიდან დაბეჭდილი წერილი და მომცა, ვისგან არის ეს წერილი? ეკითხა.

— როდესაც წაიკითხავთ—გაიგებთ, სთქვამს ეს ამ ყმაწვილმა, გამომემშვიდობა და წავიდა. ჩაეიდევნა წერილი ჯიბეში და მხოლოდ, წირვის შემდეგ, როდესაც შინ დაებრუნდი, მაშინ გაეხსენებოდა ყმაწვილი ენც იუო. გაეხსენი ბარათი, რომელშიდაც ხუთი თუმანი იდგა და წაეიკითხე შემდეგი: “ღირს პატივცემულო მამაო! მას შემდეგ, რაც ერთმა ჩვენგანმა უბრალოთ შეურაცყოფა მოგაყენათ გზაში და გცემით მათრახით — ჩვენ სინილისი გვაწუხებს და გეტანჯავს. თუ ღმერთი გრწამსთ—გვაპატივეთ—თქვენი უბრალო შეურაცყოფისათვის ჩვენ ღმერთმა დაგვსჯა ერთი თქვენი გამლახველთაგანი გაგვიციდა მას შემდეგ დაკინალამ სულიარ დალია, გვაპატივე, გთხოვთ და იმედოვ გვაქვს თქვენი კეთილი გულისა, რომ კიდევაც გვაპატივებ, რადგან მთელ ოლქში ყველა გაქვბსთ, როგორც კეთილ ადამიანს და ოქროს გულისა მქონეს“. ვინ იყვენ ჩემი შეურაცმყოფელნი, რომლებსაც იმ დღესვე ვაპატივე, — დღესაც არ ვიცი.

მჯერა და ჩემს თავზედაც გამომიცდია, რომ ახალ-გაზდა მღვდელს ძალიერ გაუჭირდება ცხოვრება მარტო შემოსავლით. მაგრამ საშუალება საზრდოს მოპოვებისა ერთი და იგივეა სარწმუნოების სასულიერო წოდებათა. რაიმე მღვდელთ-მოქმედებისათვის სასულიერო წოდება თვითონ კი არ უნდა სთხოვდეს სამწყსოს საფასოს, არამედ უნდა მიიყვანოს

ხალხი იქამდის, რომ თავის-თავათ გაგიჩინონ საშუალება საცხოვრებლათ. როგორ უნდა მოიქცეთ აქ? რასაკვირველია, ეს ძლიერ ძნელია. მაგრამ გამოცდილებით ვიცი. თუმცა — მღვდელი დიდხანს იმყოფება ერთ და იგივე მრევლში, იგი უსათუოთ იძენს ამ გვარ სიყვარულს, რადგან სახელის და პატივისცემა მოიპოვების ხანგრძლივი სამსახურით. მართალი რომ გითხრა, ჩემს სამრევლოშიარამც თუ ყველას უყურთხე გვირგვინი, არამეთ ყველა თითქმის ჩემი მონათლულია! შვილის-შვილს, მამას, დედას ყველას ვიცნობ და ვიცი, ვინ ვისი შვილია, ამისათვის არის, რომ უყვარვარ ჩემ მრევლში, ყველა კრძალვით და შიშით მექცევა და მეც ისე უყურებ მათ.

თავის დროზე, როდესაც ახალ-გაზდა ვიყავი, მეც ხშირად ვფიქრობდი სახორციელო სამსახურზედ, მომწონდა აღმატება მოსამსახურე პირებისა თან-და-თან, მაგრამ, ჩემო საყვარელო შვილო, ამ გვარი ფიქრებიც ცრუა, როგორც გამოცდილება გვაჩვენებს. **თქვენ** თუ გეშურებათ სახორციელო სამსახური; მით უმეტეს მათ ეშურებათ ჩვენი სამსახური: არა მართლაც. რაც უნდა დამდაბლებულათ სთვლიდეს თავს სასულიერო წოდება, მაინც აქვს მას მინიჭებული ზოგიერთი ისეთი უფლებები, რომელნიც არავის არა აქვს. ვის შეუძლია მაგალითად ხალხის სწავლება ტაძარში, ვის შეუძლია საზოგადოებაში შეგონება, დარიგება, და მხელა ხალხისა? არავის გარდა ეკლესიის მწყემსთა. სახორციელო პირნი, რაც უნდა დიდი ადვილი ეპიროსთ მათ, მაინც უნდა ელოდნ

თავიანთ უმფროსიდან: “ჩაჩუმდი, ბევრს ნუ ლაპარაკობ.” არა, მეგობარო ჩემო, ჩვენ ღეთის მოსაგ სახურებს გვაქვს ძლიერ დიდი პატივი და წოდება, მხოლოდ საჭიროა მღვდლებმა შეიგნოს ეს წარმოიადგინე მხოლოდ ერთი. ათასი ხალხი მუხლს იდრეკს და შენც, მუხლ-მოდრეკილს ხელები ზევით აღვიპყრია და ლოცულობ შენთვის და ამოდენა ხალხისათვის, მოიგონე წმინდა მასილის წირვაში სახმარებელი სიტყვები, სადაც ღეთის საიდუმლოს აღმსარებელი ლოცვილობს: „მოიხსენე, უფალო ერთი წმინდა კათოლიკე სამოციქულო ეკლესია და სხვანი...”

ზაიხსენე, მეგობარო ჩემო, ის სულიერი მდგომარეობა, რომელიც გაიძულებს ამ ლოცვის დროს დასტოვო ქვეყნიური ყველაფერი, გაიხსენე ის სულიერი თრთოლვა, რომელიც შეგიპყრობს ამ დროს. და შენ არასოდეს და არაფრის გულისათვის არ გასცელი რამეში შენ მოწოდებას, არაფრითა და ქვეყნიური აღმატებისათვის.

ან და წარმოიდგინე, სურათი შენდამი შენანებული პირისა, რომელსაც ჭეშმარიტად სწამს უფალი და ელის მისგან ყოველ გვარ-ნუგეშს შენ ჯვარისა და სახარების წინ და შენ წინაშე დგას მონანებული პირი. ყველაფერს, რაც კი მის სულს სტანჯავდა, ყველაფერს, რასაც ათავის მეგობრებს, ამხანაგებს და ნათესაებს უფარავდა, დღეს შენ წინაშე ნათლად აღვიარებს, გთხოვს და უგდებ შეუამდგომლად უფალთან და შენანებული მიდის თავის-თავის. ეს განა შენთვის დიდი სიხარული და სიამოვნება არ არის!...

მეგობარო ჩემო, შენ ამბობ, რომ მღვდლებს ნებას არ გვაძლევენ რაიმე ახალი შევიტანოთ ჩვენს წოდებაშიო. რიგიც ასეა, ჩემო მეგობარო, ნურაფერი გეწყინება ჩემგან, რადგან ერთი ფეხი სამარესკენ მაქვს და ყველაფერს გეუბნები გულ-წრფელად. ქრისტიის სარწმუნოება და ეკლესია გაუმჯობესობას არ საჭიროებს. იგინი ყოველთვის წმინდანი ყოფილან და უნდა იყვნენ კიდევაც შეუცვლელნი.

როგორც ვატყობ, ჩემო ძვირფასო სტუმარო, ჩვენ დიდი ხანია, რაც ესხედვართ, მეთხე საათია. მე უნდა მოვემზადო და ცისკარზედ წასვლის დროც არის, მამა ღენისმა გალიცვა კისერზედ ოლარი, დადგა ხატების წინ და ლოცვილობდა. მისი შვილი, ახალგაზდა მღვდელი კი დაწვა დასაძინებლად, მაგრამ ძილში სულ ის ახსოვდა, რომ მღვდლისათვის ყველაზედ უფრო საჭიროა—ჰქონდეს მას „ოქროს გული“.



საბიბლიოგრაფიო შენიშვნები

(საუბაწეილო ჟურნალი „ჯეჯილი“ № 1).

II

საბიბლიოგრაფიო შენიშვნები.

(საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ № 1.)

ამ ახალს წელიწადს ბედნიერი ფეხი ჰქონდა, დადგა თუ არა, სასიამოვნო და ტკბილი სანუკარი მოგვილოცა. ჩვენს ნორჩს მწერლობას ახალმა წელიწადმა ერთი ძვირფასი განძი შესძინა. პირველს იანვარს ჩვენს ახალგაზღვრულს, ამ იმედსა და სასოებას ჩვენის ქვეყნისას, კნ. ან. თუმანიშვილისამ უძღვნა საჩუქრად საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილის“ პირველი წიგნი.

სასიხარულოა, ჰეშმარიტად, ეს ამბავი. სასიხარულო და სასიამოვნოა მით უმეტეს, რომ დღეს ჩვენში, არამც თუ საყმაწვილო, არამედ დიდებისათვისაც ცოტაოდნად ხეირიანს საკითხავს წიგნებსაც-კი მოკლებულნი ვართ.

სანუგეშოდ, ხალხი თანდათან იღვიძებს, სკოლები მრავლდება, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი მატულობს და საზოგადოდ ქართულ წიგნების კითხვის სურვილი ძლიერდება. ჩვენი მოვალეობაა გონიერად გაუძღვეთ ამ სურვილს. ამ გაძღოლისთვის საჭიროა კარგათ, გონიერებით დაწერილი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომელიც სამწუხაროდ ძლიერ ნაკლებად მოგვეპოვება.

ამისთანა ყოფაში იმისთანა გამოცემა, როგო-
რიც ჟურნალი „ჯეჯილია“, სწორედ მისწრებაა ჩე-
ნის მოზარდ თაობისათვის. მოზარდ თაობას გარდა,
ეს ჟურნალი ზოგიერთ ჩეენებურ ღედათა და მამათა-
თვისაც არ იქნება უსარგებლო საკითხავი წიგნი. სა-
სიამოვნო და ადვილად საკითხავი ამბები დაჰბადეს
მათ შორის სურვილს წიგნის კითხვისას: ადვილად
საკითხავს მოჰყვება სხვა გვარი, უფრო მძიმე საკით-
ხავიც. გონების ვარჯიში წინ წასწევს ჩეენებურს
ოჯახს, შეუცვლის ფერსა და იერს. რამდენადაც გო-
ნება წარმატებულ ღედ-მამის ხელში იქნება აღრზდი-
ლი ყმაწვილი, იმდენად რასაკვირველია, უფრო გო-
ნიერად მოემზადება ცხოვრებისთვის, იმდენად სასარ-
გებლო წიერს აჩუქებს ღედ-მამა თავის ქვეყანას.

ყველამ კარგათ ვიცით, რომ ადამიანის ცხოვ-
რების წარმატებაში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს
ჯერ საზოგადოდ აღზრდა-განვითარებას და უმეტესად
პირველივე ოჯახში აღზრდა არის ის ღედა-ბოძი, ის
შეურყეველი ბურჯი, რომელზედაც უნდა დამყარდეს
შემდგომში ადამიანის ბედი და უბედობა. ოჯახია ის
პირველი მოედანი, რომელზედაც ავარჯიშებს ყმაწ-
ვილი თავისს ჯერ ისევ ნორჩს, ფრთა-გაუშლელს
ხორცსა და სულს. ჩეენებური ღედ-მამანი, იმედია,
ჟურნალ „ჯეჯილის“ კითხვით ბერის სასარგებლო
ცოდნას შეიძენენ და, თვით წახალისებულნი ქარ-
თულ წიგნების კითხვით, თავიანთი ყმაწვილებსაც
წახალისებენ.

გარეგნობა „ჯეჯილის“ მშენიერი აქვს, საუც-

ხოვო ქალღმერთად არის დაბეჭდილი წმინდად და ფაქიზად. ენახოთ შინაარსიცა და შეუწონოთ გარეგნობას, იქნება შინაარსმა კიდევ გადააჭარბოს გარეგნობას შვენიერებით. მაშ გადამწალოთ და ენახოთ.

საყმაწვილო ქურნალის პირველს გვერდს ამშვენებენ ბნ მღვიმელის ლექსი „ჯეჯილი“. ეს პატარა ლექსი ძლიერ მოსწონთ პატარა მკითხველებს. პირველი ღირსება ამ ლექსისა ის არის, რომ მისი 'შინაარსი მკაფიო და ადვილის ენით არის გადმოცემული. არც ძალადობა, არც მაღალ-აზროვნანი ფრაზები და არც იდეის დაბნელება, ძნელად გამოცნობა არ ემჩნევა, ლექსი სწორედ რომ ყმაწვილურობის ენით არის დაწერილი და შეეფერება კიდევ იმათს ცოდნას, იმათს გაგებას. არც შემცდარა რედაქცია, რომ ამ ლექსისთვის პირველი ადგილი დაუთმოთ ქურნალში.

არც მგორე ლექსი „ჯეჯილი“ ეაქა-ფშაველასი ჩამორჩება უკან პირველს. ეაქა-ფშაველა ახალგაზდა პოეტია. საზოგადოდ იმის ნაწერებში და განსაკუთრებით ლექს-პოემებში მაღალი ლეთიური პოეზია ტრიალებს. ვიპ-კი დააკვირდება იმის ნაწერების შინაარსს, დარწმუნდება, რომ პოეტი თავისუფალ შემოქმედობას ემორჩილება, შინაარსად საზოგადო იდეას აქცევს უმეტესს ყურადღებას, კიდრე ფრაზებს, ანუ იმ სიტყვებს, რომლის შემწეობითაც ჰსურს გამოგინათოს თავის ნაწერების დედა-აზრი. იმის ლექსებში უმეტეს ნაწილად პროვინციალიზმებსა და ხალხურ სიტყვებს შეხედებით. ამის გამო ჩვენს

ქვეყნის ზოგიერთ კუთხეებში ეაჟა-ფშაველას ლექსები ცოტა არ იყოს, ძნელი საკითხავია.

რამდენადაც შინაარსიანია იმისი ლექსები, რამდენადაც მდიდარია როგორც მაღალის პოეზიით, ისე ღვდა-აზრით, იმდენად მძიმე საკითხავი და ძნელი დასასწავლი.

ავტორს ეტყობა, რომ ეს თავისი პატარა ლექსი შეუმუშავებია, შეუფარდებია ყზაწვილების გონება-გახსნილობისათვის, მაგრამ, ჩვენის აზრით, მღვიმელის ლექსს მაინც ვერ შესწვდება ღვდა-აზრას მკაფიოდ გამოთქმითა და ენის სიმარტივით.

დიდი განსხვავება არის ეაჟა-ფშაველას ლექსსა და პროზაში. ეაჟა-ფშაველას პროზა სწორედ რომ ღვთიურის ნიჭით მიმადლებულ კალმის ნაწარმოებია. მისი პროზა თითქმის „ხელის-ხელ საგოგმანებელი მარგალიტია“, არამც თუ მარტო „ჯეჯილში“, არამედ მთელს ჩვენს ღარიბს ლიტერატურაშიაც. ვისაც კი ეს მოთხრობები წაუკითხავს და ცოტად მაინც იცნობს იმ ცხოვრებას, რომელსაც შეეხება მისი მოთხრობები, დამერწმუნება, რომ ამ ახალგაზდა მწერლისაგან ბევრს, ძლიერ ბევრს, უნდა მოელოდეს ჩვენი ბელეტრისტიკა. როგორც ყველა თავის ნაწერში, ისე იმ პატარა ამბავშიაც, რომელიც დაბეჭდილია „ჯეჯილში“, ავტორი ისეთის ცოცხალს, მკაფიო, ადვილად გასაგებისა და ნიჭიერის ენით გვიხატავს შინაურს ფრინველებში მამლის გამირობას, ეზოში იმის პამპლაუშობასა და თავხედობას, რომ ამ მოთხრობის წაკითხვის დროს მხატვარს ადვილად

შეუძლიან მთელი და ცხოველი სურათი დაჰხატოს მამლის გმირულის ცხოვრებისა.

რომელს ყმაწვილს მიიყენებთ, რომ „ჩვენი მამალი“-ს ამბავი ორჯელ-სამჯერ მაინც დიდის სიამოვნებით არ წაეკითხოს და სიხარულით გულ-გამზიარულეზულმა არ გადაიკასკასოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ავტორი აგვიწერს ომს მამლისა და ინდაურებისას. ასეთი ომი და ჩხუბი ისეთი ამბავია ფრინველების ცხოვრებაში, რომ ყმაწვილები თითქმის ყოველ დღე ჰხედავენ, ყოველ დღე თვით არიან იმის მოწმენი და ხშირად საცოდავს მამალს შებრალებით მიეშველებიან ხოლმე, მეტადრე მაშინ, როდესაც შეამჩნევენ, რომ ბაიყუშმა ინდაურებმა აჯობეს ჩვენს თავ-მომწონე მამალსაო.

ვაჟა-ფშაველას ამ გეარ მოთხრობებით. ასეთის წმინდა ქართულითა და სიმაართლით დაწერილებით, „ჯეჯილი“ დიდს ბიჯს წაადგამს წინ. ყმაწვილები ისე შეიყვარებენ ამ ჟურნალს, რომ ძალითაც ველარ წაართმევთ ხელიდან.

რაც შეეხება ჩვენის საყვარელ პოეტის აკაკის ლექსს: „მერცხალისა და ქივჭავის ომი“ და ბნელია ჭაფეჭაძის ლექსს: „ბაზალეთის ტბა“, ესორი ლექსი თავისის შინაარსით, მიმართულებითა და ბავშვებისათვის გაუგებარის იდეით, ჩვენის აზრით, სრულიად უადგილოა და უდროოდ დაბეჭდილი საყმაწვილო ჟურნალში.

ვაჟა-ფშაველას ნაწერს შემდეგ, „ჯეჯილის“ მეორე ძვირფასი მარგალიტია „ღეთის შვილი“ ქნ-

გვ. გაბაშვილისა. პატივცემული ავტორი გვიამბობს ისეთს ამბავს, ჩვენი ცხოვრების ისეთს გარემოებას, რომელიც თითოეულს ჩვენგანს დიდიდგან ზატაზამდის გვინახავს, გვიგრძენია და შეგვიბრალეზია ისინი, ვის არა სანუგეშო ბედსაც გამოუწვევია ამ ამბის დაწერა.

მართლა-და ვინ არ შეხვედრია ჩვენ ქალაქ-დაბასოფლებში ყაეილისაგან დამახინჯებულს დაკენკილსა და მხედველობას მოკლებულს აშულებს, რომელიც ხელით დაჰყავთ ღუქნიდგან-ღუქნამდე, ოჯახიდგან-ოჯახამდე და დიდიდგან დაწყებული საღამომდის ძალ-ძალად, უგულოდ, და საცოდავის ხმით გაჰკივიან თუთიყუშივით უაზროდ დაზებირებულს ლექსებს, ვინ იცის, სადაურს, ან როგორს ჰანგზედ. ავტორს მშვენიერის, გრძნობით საესე სიტყვებით, მარტივის ფრაზებითა და ადვილად გასაგების ენით აქვს აწერილი ეს ამბავი. განსაკუთრებით ის ადგილია კარგი, სადაც ავტორი დარჩუას ხელობას აგვიწერს ისეთის კილოთი და ისეთის სინამდვილით გვინახტავს საბრალო ობოლ და ბრმა ლექსოს ტანჯვა—წვალეზას, სასტიკ სასჯელისა და ცემა-ტყეზის ატანას, ძალით ჩონგურისა და სიმღერების დასწაელის დროს, რომ სწორედ ქვის გული უნდა ჰქონდეს ადამიანს, საბრალო ბრმა მეჩონგურე არ შეეცოდოს და შეძლებისა გეარად დასახმარებლად ხელი არ გაუწოდოს. ავტორი უნებლიედ ჰბადაეს გრძნობას სიბრალულისა და გულკეთილობისას მკითხველთა შორის.

ამ ქალბატონის თითქმის ყველა ნაწერს ერთი

დიდი ღირსება აქვს. ეს ღირსება გახლავთ მოთხრობის ამბების სინამდვილე, ხალხის ცხოვრების ცოდნა, იმის ვარამისა და გულის კვნესის გაგება. ყველაამას გაუზვიადებლად, მარტივად მოგვითხრობს ეს ბელეტრისტი-ქალი. ესეთი თვისება, რასაკვირველია, ყოველის მწერლისთვის აუცილებელი საჭიროებაა, მაგრამ უმეტესად-კი საყმაწვილო მწერლებს უნდა ჰქონდეთ მიმადლებული.

ამბავი „გიგლიას სიზმარი შობა ღამეს“ გეიხატავს იმ სიხარულს, იმ სიამოვნებითა და აღუწერელ აღტაცებით შობის დღესასწაულის მიგებებს, რომელსაც ჰგრძნობენ გლეხის ოჯახის წევრნი და განსაკუთრებით ყმაწვილები შობა ღამეს. ყმაწვილების აღტაცებასა და სიმხიარულეს საზღვარი არა აქვს. მზა-მზარეული ხორაგეულობა: შემწვარი და მოხარშული ქათმებ-გოჭები, დამზადებული შობისათვის, ყმაწვილებს არ აძინებს. ხორაგეულის დანახვაზე „ნერწყვი მოსდით პირში და მსუნავ კატასავით ტუჩებს აცმაცუნებენ“, მაგრამ დედის სიტყვები სწამთ, დედის დარიგება გულში სწვდებათ. დედა ეუბნება: „ამალამ ქრისტე დაიბადება, ცა გაიხსნება და, თუ პირ-გაუხსნელი იქნები, რასაც ინატრებ, აგისრულდებაო“. ამ გვარი დარიგება დედისა გლეხის ოჯახში სრულიად ნამდვილს გარემოებასა ჰგავს და ადვილი დასაჯერებელია, რომ ეგ აგრე უნდა იყოს ყველგან გლეხ კაცობის ოჯახობაში.

ეს პატარა ამბავი ზნეობის მხრივაც შესანიშნავია, რადგან ასწავლის ყმაწვილს მშობლების მალალს

პატივის-ცემას, მორჩილება-გაგონებასა და განუხაზ-
ღერელს სიყვარულს. პატარა გიგლიას იქამდის უყ
ვარს თავისი მამა, რომ შობა ღამეს არც შემწვარი
გოჭი ახარებს და არც მოხარშულ ღორის ხორცისა-
კენ იცქირება, იმიტომ, რომ თავისი საყვარელი მა-
მა შინ არა ჰყავს, მამის მოსვლას ელის, მამის ფიქ-
რშია გართული და აი ამ ფიქრით მოღალუღლს მიე-
ლოულება თვალები და გიგლია ძილს ეძლევა. გიგლია
სიზმარში მამასა ჰხედავს, მაგრამ ვაი იმისთანა ნახვას.
მამა მწყემსია და თხა მცხვარს უდგია. ერთი თხა მა-
ღალ კლტებზედ ავიდა. გიგლიას მამაც უკან გამოე-
დევნა და დაბრუნება უნდოდა, მაგრამ უცბად თხა
მოუბრუნდა გიგლიას მამას, დაეჯახა და უფსკრულს
კლდეში გადასჩეხა. ამის მნახველი გიგლია შეწუხე-
ბული შესძახებს ძილში: „ვაიმე, მამილოვო!“, გა-
მოელეჩება და თავის საყვარელს მამას-კი დაინახავს;
გიგლიას ახლა-კი სწორედ ბედნიერი შობა უთენდება
რადგან მამა მოუვიდა მშვიდობით.

ეს ამბავი კარგის ენით არაღს მოთხრობილი. ყმაწვი-
ლები ღიღის სიამოვნებით წაიკითხავენ, რადგან ყო-
ველი გარემოება იმისი ადვილი წარმოსადგენია, ად-
ვილად მოსაგალია, და ნამდვილ ცხოვრების ამბებს-
კი ყმაწვილები საზოგადოდ ღიღის სიამოვნებით ეტანე-
ბიან თუ ჰნახეს წიგნში.

ქ-ნ ეკ. გ.—ის მოთხრობას მოსდევს ბ-ნ ალ.
კ.—ძის ისტორიული წერილი „თეზეოსი“. ეს წერილი
იმდენად უადგილოდ და უღროოდ მიგვაჩნია, რომ
უსათუოდ უნდა ეიკითხოთ: რა აზრი ჰქონდა ბ-ნს აე-

ტორს, რომ ამოდენა ნახტომი უქნია? იმ დროს, როდესაც ჩვენის ცხოვრების წარსული საესეა ამ გვარის ისტორიულ გმირებით, იმ დროს, როდესაც ჩვენი, არამც თუ მოზარდი თაობა, დიდებიც არ იცნობენ ჩვენს ისტორიულს გმირებს, არ იციან იმათი ეაქცალობა, მამაკაცობა და ქველობა, ბ-ნი ჰ—ნა-ძე უცხო ქვეყნის—საბერძნეთის ისტორიულ გმირების ამბებს გვიწერს და გვასწავლის. ეს იმასა ჰგავს, რომ მეგრელს ჰკითხეს:

—მეგრელო, ყური სად გაბია?

—აი, ყურიო, —მიუგო მეგრელმა და თან მარჯვენა ხელი მარცხენა ყურზედ მოიკიდა.

ერთი ჰკითხოს კაცმა: განა მარჯვენა ხელთან მარჯვენა ყური უფრო ახლოს არ იყო?!

რასაკვირველია, ყმაწვილებისათვის საჭიროა საბერძნეთისა და სხვა შესანიშნავ ქვეყნების ისტორიულ გმირების გაცნობა, მაგრამ ყველაფერს თავისი ადგილი და დრო გააჩნია. ამ გვარი წერილი-კი, ჩვენის აზრით, ჯერ ძალიან ადრეა და პირველ ნომერში მაინც სრულიად არა აქვს ადგილი.

რომელ ყმაწვილის მესხიერებას შეუძლიან დაიხსოვოს ისეთი ენის მოძტეზი და გამოსათქმელ-დასასწავლელი სიტყვები, რომლითაც საესეა ეს წერილი. აი მაგალითად: ეგეას, თრეზენი, კითეას, ეფრა, ერეხთეს, ეზიდაერი, პერიტეთი, კრომოონის ტახი, სკირონი, კორინთის ყელი, პროკრუსტი, მარათონი, ლაბირინტი და მრავალი კიდევ სხვანი.

წერილს ეტყობა შემუშავება, მაგრამ ალაგ-

ალაგ გრძელი წინადადებანია და მაღალ-აზროვნ ფრაზების გამო ძნელი საკითხავია ყმაწვილებისათვის.

ქ-ნ ეფ. ჭ—ძის წერილი „ჭინჭველები“ სამეცნიერო წერილია, საზოგადოდ სამეცნიერო წერილების წერა ყველას არ შეუძლიან, მეტადრე ყმაწვილებისათვის. ამ შემთხვევაში, ჩიენის აზრით, ისეთ საექვო საგნებს, რომელიც ჯერ კიდევ არ არის მეცნიერთაგან გამოკვლეული და დამტკიცებული, რაც შეიძლება, ავტორი უნდა მოერიდოს, გვერდი აუაროს. შეიძლება აცნობოს თავის ნორჩ მკითხველებს ის, რაც დამტკიცებულია, რაც უკვე ცნობილია მეცნიერთაგან, და იმ გვარ ფრაზებს-კი საყმაწვილო წერილებში აღგილი არ უნდა ჰქონდეს; როგორც მაგალითად ეს არის: „...რა სახით სცნობენ მტერ-მოყვარეს ჭინჭველები—ყნოსვით, სმენით თუ შეხებით—ეს არ ვიცი“. ეს ფრაზა სულ შეიძლებოდა გამოეტოვა პატივცემულ ავტორს, რითაც წერილის ღირსებას სრულიად არაფერი არა დააკლდებოდა. ამასთან ამ გვარი ნამდვილი მეცნიერული გამოკვლევაც ძნელი მისაწვდენი და დასაჯერებელია ყმაწვილის გონებისათვის: „მაბალი ჭინჭველის რთული თვალი შესდგება 1200 პატარა თვალისაგან. მუშა ჭინჭველის თვალში-კი 500 პატარა თვალია“ და სხვანი,

—როგორ, თვალში კიდევ თვალია და კიდევ 1200, 500 და სხვანი? იმ წამსვე იკითხავს ცნობის მოყვარე ყმაწვილი.

მოდი და დაუმტკიცე, რომ ეს სწორედ ასეა?!

ერთ ადგილას ავტორი გვიამბობს: „ჭიანჭველას მუცელში აქვს ნაწლები, კუჭი და სხვანი“. ცოტა ქვევით-კი ამბობს: „ესლა ჩვენ ვიცით ჭიანჭველების გარეგნობა“. ჭკუა-გამჭრიახი და თამამი ყმაწვილი მოგახსენებთ, პატივცემულო ავტორო, რომ, არამც თუ გარეგნობა, შინაგნობაც გაგვაცან ზეითო, მაშ ეს ფრაზა სრულიად მეტი და უადგილოა წერილში.

დანარჩენი წერილები ზოგი თარგმანია და ზოგიც სახალხო ნაწარმოებს ეკუთვნის. თარგმამები კარგის ენით არის დაწერილი, მაგრამ ჩვენს ცხოვრებას მაინც დაშორებულია და თუ პატივცემული რედაქცია თარგმანს უფრო ნაკლებს ადგილს მისცემს ჟურნალში ურიგოდ არ მოიქცევა.

რაც შეეხება სახალხო ნაწარმოებს, მათ შესახებ არაფრის თქმა არ შეგვიძლიან, რადგან ხალხი თივის ნაწარმოებში არჩევს თავის ცხოვრების ყოველ საგანს. იქ ნათლად იხატება მისი გონება, ზნეობა, სარწმუნოება და ქონება-დოვლათი. თავის ნაწარმოებში ხალხი გვაჩვენებს ნათლად და მკაფიოდ თავის ცხოვრებას, ხასიათსა და მდგომარეობას. ხალხი ძლიერ იშვიათად შესცდება თავის ნაწარმოებში. საყმაწვილო ჟურნალში რაც მეტი ხალხის ნაწარმოებია, მით მეტის ხალხით იკითხვენ ყმაწვილები.

არ შეგვიძლიან ორიოდ სატყუა ჟურნალში მოთავსებულ მხატვრობის გამოც არა ვსთქვათ. საყმაწვილო ჟურნალში ყოველ მხატვრობას, ყოველ სურათს თავისი ადგილი და თავისი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. მხატვრობა ჟურნალში თითქმის იგი-

ვე თვალსაჩინო სწავლა. ყმაწვილი რასაც ჰკითხულობს, იმასვე, იქვე გვერდზედ დახატულ სურათზედ ჰხედავს და თვალთა ნახულ-გარჩეული ბეჭედივით აჩნდება იმის ნორჩს გონებას. „ჯეჯილში“ თითქმის ყოველ ადგილას წერილების შინაარსის შესაფერი სურათია ჩართული. ერთს ადგილას, მაგალითად, „ბაზალეთის ტბაზედ“ სურათი სწორედ რომ მშვენიერია და სასიამოვნოც, მაგრამ ორი წერილი: „გიგლიას სიზმარი შობა ღამეს“ და „ღეთის შვილი“ კი სრულიად არ შეუფერდებიათ შიგ ჩართულ სურათებისათვის. აი, მაგ., „გიგლიას სიზმარი“. ამ წერილის ბოლოში დახატულია გლეხის დედაკაცი, ზურგზედ შეშა-მოკიდებული, ტყიდგან მოდის და თან პატარა ბავში ახლავს. მეორე წერილის დასაწყისში ჩიტის ბუდეა დახატული და ბოლოში-კი შემით სავსე ურმით გლეხი-კაცი თავის განუშორებელ მეგობრით — მურიათი. არც ერთსა და არც მეორეს სრულიად არავითარი კავშირი არა აქვს წეროლის შინაარსთან. ამ გვარის სურათების უაზროდ და უადგილოდ ბეჭდვას უმჯობესია, ჩვენის აზრით, სულ არ დაბეჭდონ და ადგილი ცარიელი დაჩვენონ.

დასასრულ, სულითა და გულით ვისურვებთ „ჯეჯილის“ წარმატებას, იმის კეთილსა და გონიერს გზაზე დადგომას, აყვავებას, „ოქროს თავთავის დასხმასა და ზღუასავით აღელვებას“, რომ თითოეულის მის მკითხველს გრძნობითა და გაუწითლებლივ შესძლებოდეს შემდეგის სიტყვების წარმოთქმა:

„მომკენ, მოლენწენ, კალოს პირს,

დადგება წითლად ხეავია,
და გაიხარებს გულითა
იმისი დამთესავია“.

„იაგნანამ რა ჰქმნა?“

მოთხრობა იაკობ გოგებაშვილის-მიერ.

შოველ გვარ მწერლობაში საყმაწვილო მწერლობა უფრო ძნელია, საყმაწვილო მწერლობას დიდი ნიჭი, სიფრთხილე და სიფაქიზე ეჭირება. მოთხრობების წერა ჯერ საზოგადოდ და განსაკუთრებით ყმაწვილების გონება განვითარების შეთანხმებით ერთს უძნელეს და არა ყველასთვის მინიჭებულს ღირსებას შეადგენს. აქ თვითმეულის სიტყვას, თვითმეულის აზრს და მიმართულებას, როგორც გზის ჩვენება გახსნა და განვითარება შეუძლია, აგრეთვე სრულიად დამახინჯება, გარყვნა და გაოხრებაც შეუძლია მისი მსმენელი ყმაწვილისა.

თითქმის ყველასთვის გაცვეთილი ჰეშმარიტებაა, რომ წიგნი ყმაწვილის გონებრივი საზრდოს მძლეველია. ეს საზრდო შემდეგ ძეაღსა და რბილში უჯდება ყმაწვილს და ნუ თუ ფრთხილად და სასტიკ დაკვირვებით არ უნდა იყოს ამ გვარი საზრდოს მძლეველი, რომ საუკუნოთ გონება არ დაუჩლოუნგოს და სიცოცხლე არ მოუშხამოს. მწერლის ზნეო-

ბითი ეალია ეს საზრდო, რაც შეიძლება, წმიდათ, ფაქიზათ და ყოველგვარ საკანმეულობით შეზავებული მიაწოდოს თავის აღსაზრდელს.

ერთი ამ გვარ გონებითი საზრდოს ეკუთვნის ჩვენი პატივცემული პედალოლ-ლიტერატორის იაკობ გოგმაშვილს საყმაწვილო მოთხოვნა: „იანანამ რა ჰქნა“, რომლითაც ახალი წელიწადი მიულოცნია ჩვენ მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ეს პატარა ამბავი ავტორს წიგნაკად გამოუცია, შეძლებისა და გვარად, სუფთად და ფაქიზად. შინაარსი მარტივი და ადვილი გასაგებია, რომ უფრო მარტივის ფრაზებით ადვილი და ყმაწვილურის ენით იყოს დაწერილი. შინაარსი ამ პატარა წიგნაკისა მდგომარეობს იმაში, რომ კახეთის ერთს სოფ. ვაშლოვანში სცხოვრებდა თავადი ზურაბ ქართველადე, რომელიც განთქმული იყო მთელს კახეთში თავისი სიმდიდრით და პურადობით. ცოლად მასს ჰყვანდა ქართლიდგან მოყვანილი ქალი მაგდანი. ყოველ გვარ ღირსებასთან, რომელითაც მაგდანი შემკული იყო, ერთი ღირსება უფრო აყვასებდა და სახელს უდიდებდა მას. მაგდანს მშვენიერი ხმა ჰქონდა და თავისი მშვენიერი სიმღერით განთქმული იყო მთელს იმ მხარეში. მისი ხმა უცნაურად ააჟრჟოლებდა, აკანკალებდა და დაუეწიარ შთაბეჭდილების კეალს დააჩენდა ყოველს მსმენელზედ.

ზურაბი და მაგდანი სულ ხუთი-ექვსი წლის ჯვარ დაწერილნი იყვნენ. შეილად ჰყავდათ ერთად ერთი ქალი — ქეთო, რომელიც მესამე წელიწადში იღვა

მეტად საყვარელი ბავში იყო ქეთო. ამასთან საშინლად უყვარდა მას დედის სიმღერა და ზშირადაც ამღერებდა ხოლმე. დედმამას საშინლად უყვარდათ პატარა ქეთო.

ამ სოფელში დაიარებოდა კაი ხნიდგან საეკლესიო ორი ბაჯაჯგუნა ლეკი, ეს ორი ლეკი მოიტაცებდა პატარა ქეთოს და დაღესტანში ერთს მდიდარს უშვილო ნაიბს მიჰყიდის. ქეთოს დედმამა გულგამსკდარნი და შეწუხებულნი ეძებენ თავიანთ უკანასკნელ იმედს, თავიანთ სულს და გულს—პატარა ქეთოს, მაგრამ სულ ამაოდ: რამოდენიმე წლის შემდეგ ქართველადე შეიტყობს, რომ მისი ქალი დაღესტანში ნაიბს ჰყავს ნაშვილები და ზრდისო. ზურაბ ქართველადე იმ წამსვე წავა დაღესტანში, მივა ნაიბთან, ეტყვის საქმის გარემოებას, მისეღის მიზანს და სთხოვს ეს ქალი მისი შვილია და შინ გაატანოს. ამაზედ ნაიბი და მისი ცოლი დიდს უარს ეუბნებიან, რადგან ჩვენც ისე შევეზარდეთ, ისე შევეჩვიეთ ამ ქალს, როგორც ნამდვილი დედმამა და მშობლებია და, ამის წართმევა მხოლოდ ზენაარსს ძალის შეუძლიან და არა სხვას ვისმეს და რასმესო. ზურაბმა არ იცის რა ჰქნას, გულშეწუხებული, ცარიელ ტარიელი დაბრუნდება უკანვე და სხვა ღონის ძიებას ხმარობს, ეხლა უნდა ჩუმათ მოიტაცოს პატარა ქეთო. სთქვა და დაუდარაჯდა იმ გზაზედ, სადაც პატარა ქეთოს უყვარდა თითქმის ყოველს დღეს სეირნობა. ერთი ტყის პირას გზა მიდიოდა და მასზე მიმდევალ პატარა ქეთოს სტაცა ხელი ზურაბ ქართველადემ და უცებ

თავის სახლში ამოაყოფა თავი. მაგდანის სიხარული აღუწერელია. მეზობლებით აღიესო: სახლი და ეალერსებიან პატარა დაკარგულ და გაღეკებულ ქეთოს, მაგრამ რამდენად ქეთოს ნახვით გაიხარა მისმა მშობლებმა, იმდენი და იმაზე მეტი მწუხარება, ვარამი და გულის ძგერა სტანჯავდა, ჰქენჯნიდა საბრალოდ ნორჩს და გამოუცდელს პატარა ქეთოს ბუნებას.

ქეთო რომელ უსჯულოთა სახლშია, ქეთო რამ მოიყვანა ამ უცხო სახლში, ვინ გაუწევს მას ნაიბის და მისი ცოლის მაგიერობას. ეს და ასი და ათასი ამგვარი ფიქრები სთუთქავდნენ პატარა ქეთოს ნორჩ გულს. ამგვარ ტანჯვაში გადიოდა ღღევები. დედა ჯავრისაგან ლამის ავით გახდა, რადგან ქეთო სრულებით ვალეკებულიყო და ღედმამის სრულებით არაფერი ეყურებოდა.

საბრალო მაგდანმა ვერაფრით ვერ დაარწმუნა პატარა ქეთო, რომ იგია მისი მშობელი დედა, იგია ცხრა თთვეს მისი მუცლით მტარებელი, ის არის პატარა ქეთოს „ვაით“ და მწუხარებით მშობელი ღვიძლი დედა. სდგას და ჰკითხავს თავის თავს: რატომ ერთი ამგვარადანი მაინც არ ახსოვს, რატომ ერთს მაინც არ აფასებს, არ აქცევს ყურადღებას, რას აღმოუფხვრია ასე ძირიანად ნორჩი გულიდგან ღედმამის სიყვარული, პატივისცემა და მორჩილება. ამ გვარი მწუხარება მაგდანს უეცრივ ჩააფიქრებს, ოთახის კუთხეში მიჯდება და მოწყენილის ხმით „იავნანას“ ამოიღიღინებს. „იავნანას“ გაგონება პატარა ქეთოს სიამოვნებით უვსებს გულს და მხიარულებით აღტა-

ცებული ქეთო უცებ მივარდება მაგდანს, „დედავ“ დაუძახებს და ჩაეკერება გულში.

პატარა ხნის უკან ზურაბიც შემოვა, ქეთო დედას თავს დაანებებს, მიეგებება მემოსულს და დაუძახებს „მამა“ და მოეხვევა იმასაც კისერზედ. მშობლები აღტაცებულნი არიან სიხარულით, და დიდ ხანს ვერ მიხედებიან, რამ მოიყვინა გონზე პატარა ქეთო, რამ წარმოათქმევინა ქართულად ეს ორი სიტყვა „დედა და მამა“. თურმე ნუ იტყვით, დედის ტკბილ ძუძუსთან სამი წლის განმავლობაში წყნარი და ნარნარის ხმით ნაგალობი „იანანა“ ერთად შეზრდია პატარა ქეთოს, გახორცებულა მის ნორჩ გონებაში, გაუდგამს ისეთი ღრმა და მაგარი ფესვები, რომ შვიდი წლის დაღესტანში ლეკვში ცხოვრებას ტყვილათაც ვერ შეურყევია, ვერ ამოუფხვრია პის გონებიდან.

ტკბილმა დედის ხმით ნაგალობებმა „იანანამ“ ყველაფერი მოაგონა პატარა ქეთოს. ახლა კი დარწმუნდა, რომ თავის მშობლების სახლშია. იმ წამსვე გაიძრო ლეკური ტანისამოსი და თავისი ქართული კაბა ჩაიცვა.

დღეები მიდიოდა და ქეთო თან და თან იგონებდა ყველაფერს და ბოლოს მშვენიერად იწყო ქართული ლაპარაკი, მაგრამ მის გონებიდან მაინც არ ამოსულან ნაიბი და მისი ცოლი, რომელიც განუსაზღვრელად უყვარდა, როგორც დედობილ-მამობილი. რამოდენიმე წლის შემდეგ ქეთო ასაკში

მოვიდა და ქართლში თავის დედის სამშობლოში გათხოვდა.

ქეთოს დედამა სრულიად ბედნიერი იყვნენ. ყოველს წელს, რთველის დროს ქართლიდან თავისი ქალი და სიძე მოვიდოდა ხოლმე და დაღესტნიდან ნაიბი და მისი ცოლი. მათ მეგობრულ ალერსს, სიყვარულს და მზიარულებას საზღვარი არ ჰქონდა.

პატივცემული ავტორი ამით ათაყებს თავის მოთხრობას.

უმთავრესი დედა აზრი ანუ იდეა ამ პატარა მოთხრობისა იმაზედ არის დამყარებული, რომ პირველ დღეებში მიღებულ შთაბეჭდილებას ყმაწვილის გონებაში დიდი მნიშვნელობა აქვს და არასფერს მისი ძირიდან ამოხოცვა, ამოფხვრა არ შეუძლია, რაც უნდა გარემოებათა ანუ პირობათა გავლენის ქვეშ იმყოფებოდეს ადამიანი დროთა ვითარების გამო.

მართლაც ვინ არ დაეთანხმება პატივცემულ ავტორს, რომ ყველაფერი, რაც ადამიანს გარს არტყია, რაც პატარაობიდანვე ჩანერგულა, გაუცოცხლებია და გაუღვამს მაგარი ფესვები მის ნორჩ ყმაწვილურს მიმზიდველს ბუნებაში, ამისი შემდეგში ძირიანად ამოძრობა, ამოფხვრა და გაქარწყლება სრულებით არასფერს ძალას არ შეუძლია, რადგან ეს ბუნების წესია და ბუნების წესების წინააღმდეგ, ჩვენის აზრით, ძნელია და ხანდისხან თითქმის სრულებით უსარგებლოც ყოველ გვარ ბრძოლა, შრომა და საცადი.

ადამიანი თითქმის უნებლიედ, თავის შეუმჩნეველად ინერგავს ითვისებს და მკვიდრად იბეჭდავს გო-

ნებაში ყველასთვის რასაც კი მოუხდენია მასზედ შთაბეჭდილება, რასაც კი დაუჩინია მის გონებაში შესაძენევი კვალი. ამის შესახებ ერთი გასოჩენილი მეცნიერი პედაგოგი ამბობს, რომ არასფერს მეცნიერს, არასფერს მქვერმეტყველს პროფესორს არ შეუძლია შეარყოს და სრულებით განაქარწყლოს თავის მსმენელ სტუდენტში ის რწმუნებანი, ის ღრმით ჩანერგული შთაბეჭდილებანი, რომელიც მასზედ თავის ყმაწვილობას, თავის სამშობლო გარშემორტყმულ საზოგადოებას მოუხდენიაო.

მოთხრობაში ამას ცოცხლად გვიმტკიცებს მშობლის მდგომარეობა და განცვიფრება იმ დროს, როდესაც პატარა ქეთო მშობლების მოულოდნელად წიშლიძახებს ქართულად სიტყვებს: „დედა“, „მამა“! განცვიფრებულნი მშობლები დიდხანს ვერ მიხვდებიან, თუ რამ მოიყვანა გონზედ პატარა ქეთო, რამ წარმოათქმევინა ქართულად ეს ორი სიტყვა: „დედა“ და „მამა“. თურმე ნუ იტყვიოთ; დედის ტკბილ ძუძუსთან სამი წლის განმავლობაში წყნარის და ნარნარის ხმით ნაგალობი „იანანა“ ერთად შეზრდია პატარა ქეთოს, განხორციელებულა, მის ნორჩ გონებაში გაუდგამს ისეთი ღრმა და მაგარი საიმედო ფესვები, რომ შეიდი წლის დაღესტანში ლეკებში ცხოვრებას ტყვილადაც ვერ შეუნძრევია, ვერ ამოუფხვრია ქეთოს გონებიდან.

პატარა ქეთო აქ ნათლად და ცოცხლად გვიხატავს იმ მდგომარეობას, როდესაც იგი თავის მკვიდრ დედამისს ოჯახს, ვილაც ურწმუნო, უცხო

კაცის ოჯახად სთვლიდა და უჩინარის მწუხარებით და სევდით იყო შეპყრობილი. ამ დროს სამშობლო ხმამ „იენანამ“ — ამ პირველ ღღერებში ქეთოს ნორჩ გონებაში ჩარჩენილმა და ჩაბეჭდილმა ხმამ გამოიხსნა საბრალო ქალი რამოდენიმე დღის სულიერ ტანჯვა-წვალებისაგან. მან მოიყვანა გონზედ და გაახსენა თავისი ვინაობა, ამის შემდეგ ნუ თუ ამგვარს მოვლენას ადამიანის ცხოვრებაში განუსაზღვრელი და თითქმის დაუფასებელი მნიშვნელობა არ აქვს და მაშასადამე ამგვარ გრძნობის და იდეების ჩანერგვა და განვითარება მოზარდ თაობის გონებაში დიდს პატივს და დიდებას მოუპოვებს ყოველ საყმაწვილო წიგნების მწერალს. აქ ყმაწვილს კიდევ უფრო მეტი სიყვარული, მეტი პატივის ცემა და მითვისება ებადვის გულში და უნებლიედ თავის მკვიდრ თანშობილს და ერთად შეზრდილს შთაბეჭდილებას იგონებს და მოწიწებით თაყვანსა სცემს და მუხლს იდრეკს მათ წინაშე, ვისაც ან რასაც აღუნიშნავს მათზედ ეს დაუფიქარი და მუდამ წარუხოცელი კვალი. ამგვარი აზროვანი მოთხრობა, რამდენად უფრო ადვილი სიტყვებით და მარტივი ფრაზებით არის დაწერილი, იმდენს უფრო მეტს სიყვარულს და სიამოვნებას, შეერთებულს სარგებლობასთან, მოუტანს ყმაწვილებს რომელ ასაკსაც არ უნდა ეკუთნოდნენ, მაგრამ საუბედუროდ ამის თქმა არ შეეძლოა „იენანამ“ რა ქნა ზედ. აქ ამ გვარი ფრაზები, როგორც მაგალითად ესენია: „მაგდანის ხმამ უწია ქეთოს გონების სიღრმემდის“... ქეთოც თითქმის სჭამდა თვალით დედის

პირის სახეს... გონების ძირიდგან რალაც სანატრელი მოგონება აპირებდა ამოხეთქას და სხვანი, ბევრია და ძნელ გასაგებად ხდიან ყმაწვილებისთვის ამ პატარა მოთხრობას.

ყველაფერს რომ თავი დაენებოთ, ბ. ავტორს ერთი ისეთი შეცდომა აქვს, ერთი ისეთი ნაკლი გამოსჩანს ამ პატარა მოთხრობაში, რომ უნებლიედ იწვევს თქვენგან განკვირვებას და ეჭვში შედიხარ ამ გეარის მოვლენის სინამდვილით. ეს ის სცენა გახლავთ, სადაც ავტორი დიდის ალტაცებით აღგვიწერს იმ წუთს, როდესაც დედამ „იანანა“ იმღერა და ქეთომ ყველაფერი გაიხსენა. „იანანა“ ეს სიმღერა. საზოგადოდ, მიღებულია ჩვენში იმ დროს იმღერონ, როდესაც ავადმყოფი შეპყრობილია, რაიმე სენისაგან, როგორც მაგ. ყვავილისაგან, წითელასაგან და სხვა გადამდებ სნეულებათაგან, სარეცელად გღია და გასართობად, ავადმყოფის სასიამოვნოდ მნახველები და შინაურები ხშირად უთევენ ღამეს და ამ ტკბილ სიმღერას უღიღინებენ. ამას დიდების შესახებ ვამცობთ, რაც შეეხება პატარებს, იმათ კი ეს ტკბილი სიმღერის ხმები დედის ტკბილ ძუძუსთან თითქმის ერთად ეზრდებოდათ, რადგან აკვანში დასაძინებელ ყმაწვილს დედები ხშირად უმღერენ ამ სასიამოვნო ხმებს, თუ არ ამ შემთხვევით ამ სიმღერას თითქმის არსად არ მღერიან და ნეტავი რამ აიძულა პატარა ქეთოს დედა, რომ სიხარულით ალტაცებულმა „იანანა“ დაიწყო და არა სხვა. როდესაც მისი შვილი სრულე-

რაც უფრო მეტი წიგნები დაიბეჭდება და გაეცელება ხალხში, მით უმეტეს ხალხის გონებითი განვითარება მალე აიწევს და მათი ეკონომიური მდგომარეობაც შეიცვლება, გაუმჯობესდება და განვითარდება.

ყოველი ჟურნალ გაზეთი, ყოველგვარი ნაბეჭდი სიტყვა მკითხველ საზოგადოების მასწავლებელია. იგია მისი მიმართულების მიმცემი, გონიერ აზრის და გზის მჩვენებელი. ჟურნალ გაზეთების შემწეობით ხალხს ენა უუმჯობესდება, აზრები ეწმინდება და გონებითად ვითარდება. ჩვენი ხალხი დღეს მოზარდ ყმაწვილს ემგზავსება. იგი თითქმის, ეხლა ეჩვევა ჟურნალ გაზეთების კითხვას. მაშასადამე, როგორც გონიერი მასწავლებელი ისე ჩვენი ჟურნალ გაზეთებიც აღჭურვილნი უნდა იყვნენ იმ აზრით, რომ მათგან მინაწოდები გონებითი საზრდო სუფთა და შესარგებელი იყოს და არა შემადგენელი იმისა, რაც თან შეზრდით და განხორციელებულა მათში.

ეს თითქმის გაცვეთილი ჰერმარიტებაა, რომ უწინარეს ყოელისა გაზეთისათვის ენაა საჭირო. ყოველგვარი მეცნიერული ცოდნა და აზრი მაშინ მიიწევს თავის დანიშნულებას, თავის მიზანს, როდესაც ეს აზრი წმინდა ენით ხალხის გასაგებ ფრაზებით და მის გონების განვითარებასთან შეთანხმებით არის გამოხატული.

გაზეთი გამწმედი და გამასუფთავებელი იარაღია იმ ენისა, რომელზედაც იბეჭდება. საუკეთესო ფრაზები, უმშვენიერესი აზრები და იდეები გაზეთმა

უნდა მიაწოდოს თავის მკითხველს. ეს ყველაფერი, თითქმის, ლიტერატურული ანბანია, მაგრამ, საუბედუროთ, უნებლიეთ მათქმევია „მოამბის“ პირველი ნომრის ქართულმა თარგმანმა.

ამ თარგმანმა იმდენათ მიიქცია ჩემი ყურადღება ისეთი მწარე ფიქრები აღძრა ჩემში, რომ არ შემიძლია ეს ფიქრები არ გაუზიარო მკითხველ საზოგადოებასაც.

გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ ეს თარგმანი ორჯერ გადავიკითხე და ისიც დიდის ყურადღებით, შემდეგ დავკეცე და ჩაეფიქრდი:

— ეს გაზეთი საქართველოს სატახტო ქალაქ თფილისში დაიბეჭდა, ესთქვი ჩემთვის. თფილისში დღეს ბევრია განათლებული ქართული ყმაწვილკაცობა, რომლებმაც, თითქმის, ზედ მიწვევით იცის თავიანთი სამშობლო ლიტერატურა.

ამ თარგმანსაც ეტყობა, რომ ქართველის ნათარგმნია, მაშ რათ მოუნდომებია ამ პატიოსან ქართველ მთარგმნელს თავის ლეიძლი ენის შეურაცყოფა, შებლაღვა და დამახინჯება?! ვის აწოდებს ეს პატიოსანი პირი იმ გვარ ფრაზებით დაწერილ სტატიებს, როგორითაც ეს თარგმანია საეცე? ნეტავი გეაცოდინა სადაური ქარიუღლია ამ გვარი ფრაზები: „დაყენებულს სრულებით მეცნიერულად და საგნის შესაფერად გამოცემას მ. დეკ. ხელიძისას .შეცდომა ძალიან დიდ ხანს გეეწივა სამსახური მამულის საქიროებისათვის“. სად გაიგონა ან წაიკითხაბ. მთარგმნელმა ამ გვარად „დაყონებული“ წინადადება ან

და ჩა სიტყვა არის „გვეწვივა“ საიდგან წარმოსდგება ამ სიტყვის ძირი? არის ქართულ ენაზე სიტყვა „გაწევა“ აქიდგან, „გაწევა“ და არა „გვეწევა“ ის (საეკლესიო მხარეებელი მ. ხელიძისა) იყო მეტის მეტი სანეცნეილო და ამისგანა არ ეთანამება-ბამებოდა აღგილობრივ დროთა კითხვებს, ან თუ იმხტომ, რომ ეერ მოიპოვა შემწეობა და დახმარება იქ და იმ მხარიდგან, საიდგანაც საჭირო იყო ეს აღმოჩენიყო მას, მაინც და მაინც, სამწუხაროთ ყველა სასულიერო განათლების მოყვარეეთათვის, ბოლოს ეს გამოცემა შესწყდა. მასეა გვხვდეს, რომ ამ გვარი ფრაზები წუ თუ გაბილობის ენის შერევას არ ემგზავსება? ერთი მიზრსანეთ რა სიტყვა არის „ე თ ა ნ ა მ ე ს ა ბ ა მ ე ბ რ დ ა“ ვნ ვის „მეუზ-ლია ამის გამოთქმა. აბა მიხჯეთ თქვენზე ბ. შთარ-გმწელო, და სამჯერ წედოზედ წარმოსთქვი ეს სიტყვა და მაშინ იგრძნობთ მის უცარისობას, წინადა-დებაში ხმარების დროს. რასაკვირველია თუ „საეკლესიო მხარეებელი“ ამ გვარის წიხით იყო დაბეჭ-დილი ეერ მოიპოვებდა შემწეობას და დახმარებას იქ და იმ მხარიდგან, საიდგანაც საჭირო იყო ეს აღ-მოჩენიყო მას.

ამას, თუ გნებავს, თავი დაუხვევოთ. ესლა კიდეც დაუგნებლოთ? „მეუღებო“ რა აღსრულებას მოვალეობისას, დაკისრებულს უმაღლესსა მთავრო-ვისაგან და სხვ. სიტყვა „დაკისრებული“ საშინლად ერთიანება ქართველის ყურს და არც ესკით, რომ ეს სიტყვა ჩვენში საღზე იხმარებოდა. „იმედი“ აქვს

საქართველოს შეიქმნა, რომელიც მიუღიათ და-
ლალი სალეთის-მეტყველო განათლება. ამგვარმა ქა-
რთულმა ერთ კომედიაში მიკითხუას სიტყვები გმირს-
განა; რომელიც ამბობს: „იხ, რა მზელმა ყოფილა როცა
ფულმა არ არისა და სხე. ბატ. მთარგმნელო,
იმედი მაქვს ვისი? შენა, ჩემი შეილის, მაშის და სხე.
შენგან, მაშისგან ან შეილისგან იმედი მაქვსო. ასეა
ჩვენში არამც თუ ამ საუკუნეში, არამედ არცერთ
ქართულ საუკუნეში არ ღვაწაუკობდნენ და არც
სწერდნენ.“

ნუ თუ მთარგმნელს არ გაუგონია, რომ ქარ-
თულ ენას არ მოსწონს ჯერ საზოგადოთ, და
განსაკუთრებით ზოგიერთი სიტყვების შრავლობითი
რიცხვი?

მაგალ: ჩვენში ძირითადად იშვიათად გაიგონებთ.
„თოვლები, ღამეები, შრომები და სხვანი“. მაშ რათ
ხმარობთ შრომები თქვენ თარგმანებში. ეს პირ-
და პირი თარგმანია რუსული სიტყვის „труды“
ყველას რომ თავი დავანებოთ, რათ იხება, ბ. მთარ-
გმნელიმა ასე შერცხენა და შეურაცყოფა თავისი
დედაენის, იმ აღმზრდელი ენისა რომელიც ჩაუნერგავს
მასში ყმაწვილობის უმჯობესი ნახსოვრობანი. რათ
ინება შემოტანა ჩვენში იმ გვარ უცხო სიტყვებისა
რომლებიც ჩვენ დიდი ხნებიდგან გვაქვს და ვხმარობთ;
ნუ თუ ჩვენ ენაზედ არ არის სიტყვა „სტაროსტა,
ლიაკონი“ და სხვანი; მაშ რათ ქართულად არ ინებეთ
გადათარგმნა და ისე დაბეკედვა? მაშ რათ ინებეთ
ასე არეგ დარევა ქართულ-რუსული ენისა?!

ან და ეს რაღა ქართულია: „კლასნი ზუღოჲ-
ნიკი მესამე ხარისხის გადაყვანილ იქმნა და სხვანი“
მესამე ხარისხის თუ გადათარგმნეთ ამ „კლასნი ზუ-
ღოჲნიკს“ რაღა ღმერთი გაუარისხდა? ასე არეფ და-
რეფას ბარემც არის ვიტყვადი: „კლასნი ზუღოჲნიკი
ტრეტი სტეპენისა“ და მოერჩებოდით.

ერთი სიტყვით იმ გვარის სიტყვით არის ნათა-
რგმნი ეს ნომერი რომ უნებლიეთ დააფიქრებს მკითხ-
ველს ნუ თუ ბ. მთარგმელი ენის გაფუჭებას არაფერს
მნიშვნელობას აძლევს ნუ თუ ამას დამლუპველი გაე-
ლენა არ ექნება ხალხის გონებითი განვითარებაზედ
და მით უმეტეს მის ენის დამახინჯებაზედ?! თუ ამას
ჰფიქრობს, მოგაგონებ ჩვენ პოეტის სიტყვებს:

„რა ენა წაზდეს,

ერი დაეცეს და სხვანი...

წაეცზოს ჩირქა ტაძარსა წმინდას.“

სასურველია რომ ეს სიტყვები გაიხსენოს ხოლმე ბ.
მთარგმნელმა, როდესაც ამ გვარ სტატიების თარგმნას
ჰკიდებს ხელს.

ნეკროლოგები

ანდრია იაგორის ძე მრეკალიშვილი

წასრულ სექტემბრის ხუთს გაუმძღარმა და დაუნდობელმა სიკვდილმა მოაკლო პატიოსან მშრომელ გუნდს ერთი ღრმათ პატივცემული და დამსახურებული, ტკბილი მოხუცი, ანდრია იაგორის ძე მრეკალიშვილი.

ბანსეგნებულმა ანდრია იაგორის ძემ მიიღო განათლება თიფლისის სასულიერო სემინარიაში, სადაც დაასრულა სწავლა ერთ უკეთეს შეგირდათ. თუმცე განსეგნებულს სოფლის მღვდლის ასპარეზზედ საშრომლად ამზადებდნენ, მაგრამ მისი სულიერი მოთხოვნილება, მისი ნამდვილი მოწოდება კი სულ სხვა ასპარეზზედ იწედა სამუშაოდ. ბანსეგნებულს კარგათ ჰქონდა შეგნებული მაღალი მნიშვნელობა, როგორც სოფლის მღვდლის სამსახურისა, აგრეთვე სახალხო მასწავლებლისა და რადგან სოფლის მღვდელი და სახალხო მასწავლებელი თითქმის ერთსა და იმავე წმ. ტაძარს-ხალხის გონებით და ზნეობით ამალლებას ემსახურებიან, აირჩია პედაგოგიური ასპარეზი და კიდევ შესწირა მას თავისი ნორჩი ძალა. ემსახურა მას წმინდათ, ნათლად და ხანგრძლივით ორმოცი წლის განმავლობაში. არ იზიდავდა მას ამ

ასპარეზზედ არც დიდი ჯამაგირი, არც ორდენები, არც თვალთ საჩინო ადგილი საზოგადოებაში, არამედ სრული იმედი და რწმუნება—სიყვარული იმ თაობისა, იმ პატარა თავის მეგობრებისა, რომელნიც შეადგენენ ჩვენი სამშობლოს დედა ბოძს და შეურყეველს ბურჯსა.

ვანსევენებული სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ერთი სიღარიბის დამხობი და დამამცირებელი სახსარი ხალხის გონებითი განვითარება არის. რამდენათ გონება განვითარებულია კაცი, რამდენი მეტი ცოდნა და გამოცდილება შეუძენია, იმდენათ იმისი ეკონომიური კეთილ დღეობაც უმჯობესია, იმდენად უფრო წარმატებაში შედის იმისი ცხოვრებაო, იტყოდა ზოლმე განსევენებული და ხშირად ამ აზრით აღჭურვილი ისეთ მოზარდ ყმაწვილებს ღებულობდა თავის სასწავლებელში, რომ ერთ დროს ქუთაისში მოსწავლეთ შორას ხშირად გაიგონებდით ამ გეარ ფრაზებს: „შენ, ძმაო, იმოდენა ხარ, რომ მრევლოვის კლასშიდაც აღარ მიგიღებენო.“

უკანასკნელს დროს განსევენებული ქუთაისის ორ კლასიან ნორმალურ სასწავლებლის ზედამხედველად ითვლებოდა, სანამ ამ სასწავლებელს დღევანდელ სამოქალაქო სასწავლებლად გადააკეთებდნენ. ამ სასწავლებელს ხალხი „მრევლოვის კლასს“ ეძახდა.

ერთხელ ერთს ჩემს შეგირდთაგანსაო, მიაშო განსევენებულმა, დიდ მთავარ მიხაილ ნიკოლოზის ძისათვის მიუერთმევია თხოვნაო და შიგ დაუწერია:

„გაერთავე მრეელოვის კლასიო და სხეანი.“

დიდ მთაერს გაჰკვირებია და დირექტორისათვის მიუწერია: მაცნობეთ რა სკოლა არის ეს „მრეელოვის კლასიო“.

ამ სასწავლებელში სწორეთ რომ ნამდვილ პედაგოგიურად და რაციონალურად ჰქონდა ყველაფერი მოწყობილი. როგორც სასწავლებელში, აგრეთვე გარეთ ცხოვრებაში მოსწავლე ყმაწვილებს გვერდს უდგა მასწავლებელი ამხანაგი, გონიერ გზის მაჩვენებელი გამწვრთნელი ანდრია იაგორის ძე მრეელი-წილი და ყველაფერს, რასაც ცელქი და დაუდგრომელი ყმაწვილების ბუნება და ცნობის მოყვარეობა მოითხოვდა—აცნობებდა, უხსნიდა და გონებით ავარჯიშებდა მათ. ყმაწვილები მასში ხედავდნენ წყნარს, ტკბილს თავის ღლეში გაუჯავრებელს უფროსს ამხანაგს და სანდო მეგობარს, ვიდრე სახაზავით და ცემა ტყეპით აღჭურვილ დესპოტ მასწავლებელს.

თუ მოთმინებიდან გამოიყვანდი, ამას გეტყვოდა და იმასაც მზიარულის სახით: „ჩემო ბაბბის ტომარაო, გინდ ისწავლე, გინდ არაო.“ ეს იყო იმისი დასჯა, ეს იყო იმისი სასიკედიწო განჩინება. ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება ერთი შემთხვევა: სასულიერო სასწავლებელში ესწავლობდი: მეოთხე გაკვეთილზედ მასწავლებელი არ გეყავდა და „მრეელოვის“ კლასშიდ წავედიო საყურებლად, რადგან იქაური შეგირდები გვეჯიბრებოდნენ, ჩვენ უფრო კარგათ გეასწავლიანო. ამ დროს ეს სასწავლებელი

სილაზედ იყო მოთავსებული. შევედით ეზოში, გაკეთილი დაწყებულია და იმ კლასში, რომელშიდაც ჩვენ პირველად მოგვიხდა შესვლა, მამა ზებედაშილი ასწავლიდა საღმრთო წერილს. შესვლისთანავე გაგვიჯავრდა მამა ზებედაშილი და გამოგვყარა გარედ. მამა ზებედაშილის ხმაზედ მეორე კლასიდგან უეცრივ თავი გამოყო ტკბილის სახის მოხუცებულმა მასწავლებელმა, რომელმაც ჯერ გაგვილიმა, მერმე მიგვიწოდა, შეგვიყვანა კლასში; დაგვაჯინა და მთელი საათი გვასმენია გეომეტრიის გაკეთილი, რომელმაც ძრიელ გვასიამოვნა და გავახარა. შემდეგ მამა შეილუჟად და ტკბილის სიტყვით დაგვარეგა, რომ ასე ტყუილად უბრალოდ გაკეთილების დროს სხვა მასწავლებელში თრევა-ხეტიალს ნუ დაიწყებთო. ეცადეთ და ისწავლეთ, რომ კარგი კაცები გამოგვიდეთო და სხ.

ბანსენებულის კარგათ ჰქონდა შეგნებული, თუ რა ზედადამურენი და ღრმა ზნეობითი გაიღენა აქვს მოზარდ თაობაზედ გალობას და მუსიკას, გრძნობდა კარგათ, თუ როგორ სწმენდს, აკეთილ-მოზილებს და ზნეობას უმაღლებს მოზარდ თაობას გალობა.

გრძნობდა და კიდევაც აგვირგვინებდა ამ გრძნობას. მშენიერად ჰქონდა შესწავლული ქართული სახალხო და საეკლესიო საგალიობებო და გავრცელებული ხალხში. სასიამოვნო საყურებელი იყო, როდესაც ჰქალარა, ტკბილი მოხუცი ანდრია იაგორის ძე შუაში იდგა და გარშემო სამი გათხო-

ვილი ქალიშვილი ორი სიძით მშვენიერის კარბე-
ლოვის კილოთი იგალობეს ერთხელ ჰვირილის
ნათლისმცემლის ეკლესიაში. მოხუცის მწყნარი,
მშვიდი და ტბილი ხმა გარმონიულად უერთდებოდა
ნაზს, წმინდას და ნარ-ნარს ქალიშვილების ხმებს.
და ერთად ამ გვარად შეზავებულმა გალობამ ასეთი
ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზედ, რომ
არც ერთ იქ მდგომს ქართველ გულს მისი გულიდ-
გან ამოხოცვა არ შეუძლია. განსვენებულს ხშირად
სიღარიბის გემოც უნახავს და გამოუცდია, მაგრამ
ნეტავი იმ ცხოვრებას და სიღარიბესაც, სწაღაც კაცი
კაცსა სცნობს, გული გულსა გრძნობს და სული
სულს იზიდავს?! ნეტავი იმ სიღარიბეს, რომელიც
შენის მოძმის შენის უნცროსის ძმის საკეთილ-დღე-
ოდ და საბედნიეროდ მოგნიჭებია. ნეტარ ხსენებული
ყოველი კაცის მოსიყვარულე და შემგზავნებელი
იყო და ისიც განუსაზღვრელად უყვარდა ყველას.
პირველ შეხედვაზედ უცნობიც კი იკითხავდა: ეს
ტბილი მოხუცი ვინ არისო? განსვენებული თუმც
გარდაიცვალა, მოგეშორდა საუკუნოთ ამიერ წუთი-
სოფლისგან, მაგრამ სახელი მისი ღიღხანს დარჩება
ჩვენში დაუვიწყარი. ყოველ მის ნაცნობს თვალწინ
წარმოუდგება მისი მშვიდი, ნაზი და შრომით დაღ-
ლილ-დაქანცული აჩრდილი და ჩაგონებით ჩამოსხა-
ხებს პოეტის სიტყვებს:

„არ არის მკედარი, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს ღღენია;
მკედრად იგი თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“.

რაჟდენ ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძე.

(აღიხუბნული)

Какъ мало прожито,
Какъ много пережито.
С. Надсонъ.

ღაუნდობელმა სიკვდილმა კიდევ მოსტაცა ახალთაობის დასს ერთი პატიოსანი და ახალგაზრდა მშრომელი პირი. უდროვო სიკვდილმა ამ დღეებში გამოასალმა საუკუნოთ ამიერ წუთი სოფელს იმედით საესე და წრეელი ახალგაზრდა რაჟდენ ნიკოლოზის ძე ჩიკვაიძე. განსვენებული დაიბადა ზემოიძმერეთის ს. აღიხუბანში კეთილშობილ და პატიოსან მშობლებისაგან. განსვენებული მშობლებმა ქუთაისის ღიმნაზიაში მიაბარეს, სადაც სწავლობდა მეხუთე თუ მეექვსე კლასამდის და შემდეგ „მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა“ გამოვიდა ღიმნაზიიდან. ყველას ეგონა, რომ ახალგაზრდა რაჟდენს სწავლა-მეცადინობა შესძულდა და ღიმნაზიასაც მიტომ დაანება თავიო, მაგრამ საღი და გამჟრიახი გონება რაჟდენის, მოწიწებით ღტოლვილება და სურვილი სწავლისადმი ყოველს ღღეს აწუხებდა განსვენებულს და შეუბრალებლად უხილაყად ჰქენჯნიდა მის ნორჩ გულს, საბრალო ორ ცეცხლ-შუა იყო. ერთის მხრით მამა უჯავრდებოდა სწავლის თავის დანებებისათვის და

მეორეს მხრით არ იცოდა რა საქმეზედ დამდგარიყო. განსვენებულმა კარგათ იცოდა, რომ შრომას, „ენერგიას და მოთმინებას დიდი რამ შეეძლო“. წაკითხული და შეგნებულიც ჰქონდა თუ პატიოსნურ შრომას და მძლავრ ენერგიას რამდენი კარგი და გასაკვირველი საქმე გაუჩინებია კაცობრიობის ცხოვრების ისტორიაში. სწავლა-მეცნიერების მიღების წყურვილმა იქამდის მიიყვანა, რომ ერთს მშვენიერს დღეს გამოემშვიდობა თავის საყვარელ ქვეყანას და რუსეთის ერთ ერთ ქალაქისკენ გაემგზავრა, რათა აქ მაღალ სასწავლებელში თავისუფალ მსმენლად შესულიყო და უფრო განვითარებული დაბრუნებულიყო თავის სამშობლოში.

რუსეთის ჰაერმა დამლუპველი გავლენა იქონია საბრალო რაჟდენის აგებულობაზედ. ისეთაც სუსტი აგებულება განსვენებულისა უცხო ქვეყნის ჰაერმა და განუსაზღვრელმა შრომამ კიდევ უფრო დაასუსტა დაამჟღევინა და ღონე მთლად გამოუღო.

რაჟდენი ჰაინც არ ეშვებოდა სწავლას. დაბოლოს ექიმებმა ურჩიეს სამშობლოში დაბრუნებულიყო და თავის ამღვრდელ ქვეყნის ჰაერით ეცოცხლა. ეს ხუთი-ექვსი წელიწადია რაც ქუთაისში სცხოვრებდა და თავის შრომით ირჩენდა თავს. განსვენებული ყოველთვის მოწიწებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენს ნოაჩ ლიტერატურას და მის წარმატებას შეხაროდა. იმ დროს, როდესაც ბ. აბაშიძემ „თეატრის“ გამოცემა დაიწყო, განსვენებული რაჟდენი ახალი ჩამოსული იყო რუსეთიდან და სამშობლო ჰაერით ცოტაშეფაფლუ-

ლი, ცოტა მოსურსუმაღებული იმ წამსვე შეუდგა ამ გაზეთის თანამშრომლობას და დაწერა შემდეგი ლექსები, რომლებიც დაბეჭდილია 1885 წლის „თეატრის“ ნომრებში: ლეგენდა, * * *, * * *, ზამთარი, გამოსაღმება, ებრაული მელოდია (ბაირონიდგან), მუზას, №-ს, მიბაძეა პორტუგალსკისადმი (ბაირონიდგან), მგოსანი, №....ს. ამ ლექსებს გარდა იმავე წელში და იმავე გაზეთში დაბეჭდა რამოდენიმე კრიტიკული სტატიები ჩვენს ლიტერატურაზე და ერთი მოთხრობაც „ნაძრახი ადგილი“; განსვენებულის ყველა ნაწერებში ნათლად გამოსჩანს სიცოცხლის უმადურობა, ამიერ წუთის სოფლისადმი ჩივილი, ახალგაზღვრიდანვე გულ დაკადილობა და სრული უიმედობა. ახალგაზღვდა პოეტს ამიერ წუთის სოფლის არაფერი სწამს, არაფრის იმედი არა აქვს და რაღაც უიმედობას, რაღაც უზილავს დამტანჯველს სენს შესჩივის, რომელიც ასე დაუზოგველად ღირღნის მის ნორჩ ქმნილებას და უდროვით ასალმებს საყვარელს სამშობლოს, პატიოსან მშრომელთ დასს, ტოლს და ამხანაგს. თითქმის ერთ ლექს ვერ იპოვნით მთელ მის ნაწერებში, რომელშიდაც ცხოვრების კმაყოფილება იხატებოდეს. საბრალო ერთ ადგილას ამბობს:

„გულის ჩამჯდარა მხოლოდ ენება;
იდელი არ იტაცებს,
იგი დარდით მოცულია:
თრთის, ყინდება და ცახცახებს.

ველარ იკრებს ჯან-ლონესა,
ენებისაგან ნატამალი;
არ ახარებს მას წასრული,
არ ახარებს მომადალი.“

მეორე ადგილს კიდევ უფრო გულ დასათუთ-
ქავ სიტყვებს ამბობს. ისეთი სიტყვები გესმისთ მი-
საგან, რომლებსაც მოხუცი, ბევრისაგან ბევრის მნა-
ხელი, გამოცდილი და ნაღვაწ-ნაწვალებიდგანა იშ-
ვიათად გაიგონებთ. განსვენებული რაჟდენი კი სულ
25—26 წლის თუ იყო და იმედების მაგიერ აი ჩას
გვეუბნებოდა:

„მე სიცოცხლე შხამსა მასმევს,
იტანჯება გლახ-სენებით,
თვით ოცნება არ ტყუედება
დაკარგული იმედებით.“

განსვენებული თითქმის მთელი წელიწადი თანა-
მშრომლობდა ამ ვაზეთში და შემდეგ, როდესაც რე-
დაქცია ხან ერთი: რედაქტორის ხელში იყო და ხან
მეორისაში განსვენებულმა რაჟდენმა, უცებ შესწყვიტა
წერა. შემთხვევით შეეხედი ქ— ში და ეკითხე:— რაჟდენ
ეს რა ამბავია, რომ აღარ გეწყალობ და შენის გო-
ნებითი ნაწარმოებით აღარ გვატკობ?

— მეტის წერას ველარ ებედავ, რადგან რე-
დაქციაში დღეს ისეთი პირებია, რომლებიც ჩემებრ
გამოუცდელნი და ნორჩნი მწერალნი არიან და ჩემ
ნაწერებს გამოცდილი ლიტერატორების სალაშანი
ექიერებაო. ეს არის ძმაო მიზეზი, რომ წერას

თავი ღვაწეგეთ და ვეკილობას ვეშადებო. მართ-
ლაც განსვენებულ ცოტას ხნის განმელობაში
მოემზადა, საქებურად დაიჭირა ვეშამენი და მიი-
ლო ნება კერძო ვეკილობისა. მას შემდეგ სცხოვ-
რებდა განსვენებული ქუთაისში და თავს ირჩენდა
თავისის შრომა-ღვაწლით.



